ISSN 2587-4713 6-9 2020

ECONOMICS

ეკონომიკა

1918

მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS ” - Monthly International reviewed and refereed scientific journal

6-9, 2020

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; ლ. ბახტაძე; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღაგთაძე; გ. ყუფუნია; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია.

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Бахтадзе Л., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (**Россия**), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А, . Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Читанава Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; L. BAKHTADZE; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა
და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.

**The Author is responsible for plagiarism
and for the accuracy of the facts, data given in the article.**

თბილისი - 2020

შინაარსი

რევაზ შენგელია - ჟურნალი „ეკონომიკა“ 102 წლისაა!
(102 years Anniversary of the Journal “Economics “!) ---------- 6

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პროგლემები და პერსპექტივები

რუსუდან პაპასკირი - დაგროვებითი საპენსიო სისტემის
პრობლემები საქართველოში---------- 8

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პროგლემები

უშანგი სამადაშვილი - კორონა პანდემია, როგორც
გლობალიზაციის დეფექტი და ეფექტი----------18
გიორგი ჯვარიძე - უთანაბრობა შემოსავლებში როგორც
ხარისხიან განათლებაზე და სამედიცინო მომსახურებაზე
ხელმიუწვდომლობის საფუძველი ----------34
თამარ დუდაური, ნინო სამჭკუაშვილი - კორონავირუსის
პანდემიის გავლენის თავისებურებები ქვეყნის ეკონომიკებზე----43
სალომე დანელია - ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის
ინდექსის მნიშვნელობა საქართველოში ----------54
მაია ჩინჩალაძე, ნინო დარსაველიძე, ლელა ბოჭოიძე -
ეკონომიკური კრიზისი, როგორც განვითარების ინსტრუმენტი---69

რეგიონული ეკონომიკა

გიორგი ჯვარიძე - სამეწარმეო განათლების ამაღლება
მოსახლეობაში ეკონომიკური უთანასწორობის
შემცირების ერთ - ერთი გზაა ----------74
ივლია ონიანი, ნონა ახვლედიანი - მთლიანი რეგიონული
პროდუქტის (მრპ) გაანგარიშების სრულყოფის
ძირითადი მიმართულებები----------82

დარგობრივი ეკონომიკა

დავით ლორია - საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები ---------- 94
თამარ ღამბაშიძე, ნინო ხუჭუა - ავიაკომპანიის მომსახურების რანჟირება მგზვრთა იდენტიფიცირებული სეგმენტების მიხედვით ---------- 109

ახალი ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში

ალექსანდრე სხირტლაძე - ახალი ინოვაციური პრეპარატი სოფლის მეურნეობაში ---------- 117
რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია, ნათია შენგელია - გლობალური სასურსათო პრობლემის გადაჭრის ერთ - ერთი უმთავრესი საშუალების შესახებ (შპს „სამეცნიერო - საწარმოო გაერთიანება ევრიკას“ მაგალითზე) -- 130

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

გურამ სამხარაძე - მენეჯერული გადაწყვეტილებების შეფასება დანახარჯების პოზიციიდან---------- 137
ნინო დარსაველიძე, ლელა ბოჭოიძე , მაია ჩინჩალაძე, ანა კურტანიძე - კორონავირუსის პანდემია - DIGITAL (ციფრული) მარკეტინგის წამყვანი ---------- 145
თამარი დევიძე - სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება: მითი და რეალობა---------- 152
ეკატერინე ვეფხვიაშვილი - სახელმწიფო შესყიდვებში ბაზრის შესწავლის პრობლემები ---------- 160
სოფიკო ღვინიანიძე - ფარმაცევტულ ბიზნესში მმართველობითი სისტემის ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი მიმართულებები---------- 168
ქეთევან ომანაძე - ენტროპიული მენეჯმენტის საკითხები ჯანდაცვაში ---------- 175

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი----- 182

CONTENTS

Revaz Shengelia - Journal "**Economics**" - 102 Years Anniversary------- 6

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Rusudan Papaskiri - Problems of the Accumulative
Pension System in Georgia---------- 8

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Ushangi Samadashvili –The Corona Pandemic,
as the Defect and Effect of Globalization----------18
Giorgi Jvaridze - inequality in incomes as a basis
of lack access for quality education and medical services----------34
Tamar Dudauri, Nino Samchkuashvili - Peculiarities of the impact
of the coronavirus pandemic on the economies of the country ----------43
Salome Danelia - The importance of ke (knowledge economy)
Index in Georgia----------54
Maia Chinchaladze, Nino Darsavelidze, Lela Bochoidze -
Economic Crisis as a Tool for Development ----------69

REGIONAL ECONOMICS

Giorgi jvaridze - reducing economic inequality
by increasing entrepreneurial education in the population ----------74
Ivlia Oniani, Nona Akhvlediani - The Main Directions
of Gross Regional Product (grp) Calculation Perfection ----------82

SECTORAL ECONOMY

Davit Loria - economic development perspectives
of coal industry of georgia ----------94
Tamar Gambashidze, Nino Xuchua - Airline Service
Arrangement According to Identified Passenger Group Segment ----- 109

NEW TECHNOOGIES IN AGRICULTURE

Alexander Skhirtladze - a New Innovative Drug in Agriculture------ 117
Revaz Shengelia, Jujuna Tsiklauri - Shengelia, Natia Shengelia - For the Issue of One Main Way How To Solve the Global Food Supplementary Problem (on the example of "Scientific - Industrial Association Eureka") ---------- 130

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Guram Samkharadze - The Evaluation of Managerial Decisions From the Position of Costs ---------- 137
Nino Darsavelidze, Lela Bochoidze, Maia Chinchaladze, Ana Kurtanidze - The Coronavirus Pandemic - digital Marketing Lead---------- 145
Tamari Devidze - Improving the Entrepreneurial Environment: Myth and Reality ---------- 152
Ekaterine Vepkhviashvili - Problems of Market Research in Public Procurement ---------- 160
Sofiko Gvinianidze - The Main Directions of Increasing the Efficiency of the Management System in the Pharmaceutical Business---------- 168
Ketevan Omanadze Entropic Management Issues In Healthcare ---- 175

Publication Requirements ---------- 183

ჟურნალი „ეკონომიკა“ 102 წლისაა !

ძვირფასო კოლეგებო, ეკონომისტებო და ეკონომიკური პროფილის სტუდენტებო!

ზუსტად 102 წლის წინ, 1918 წლის 13 სექტემბერს (თვის მეორე პარასკევს), გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“, ამჟამად „ეკონომიკის“ პირველი ნომერი.

უკვე ოცი წელია, რაც საქართველოს ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინიციატივით პრაქტიკულად ყოველი სექტემბრის მეორე პარასკევს ქართველი ეკონომისტები აღნიშნავენ პროფესიულ დღესასწაულს - ეკონომისტის დღეს, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 1999 წ. ბრძანებით დაწესდა.

ჟურნალ „ეკონომიკის“ 100 წლისთავი საკმაოდ მასშტაბურად აღინიშნა 2018 წ. 13 სექტემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. ამ იუბილეს აღსანიშნავად შევძელით მკითხველებისათვის სპეციალური გამოშვებით მიგვეწოდებინა ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველსავე წელს (1918) ორივე ენაზე გამოსული სულ 6-ვე ნომრის მთლიანი მასალა (N9,2018 წ.). მასში მოცემული თემატიკა აქტუალურია დღესაც და დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის გამოცდილების თვალსაზრისით, მით უმეტეს როცა ჟურნალის პირველი ნომრების გამოცემის პერიოდი, ეპოქა და დღევანდელობა გარკვეულწილად ერთმანეთს მიესადაგება.

მნიშვნელოვანი იყო მთავრობის მხრიდან ჟურნალი „ეკონომიკის“ რედაქციისადმი **საქართველოს პრემიერ მინისტრის მოლოცვა**. თითქმის არ დარჩენილა არცერთი ეკონომიკური პროფილის სამთავრობო დაწესებულება თუ კერძო სტრუქტურა, უმაღლესი სასწავლებლები, ეკონომიკური პროფილის ჟურნალები და გაზეთები, სწავლული ეკონომისტები, რომლებიც არ გამოხმაურებიან ამ ღონისძიებას. ყოველივე ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ჟურნალის რედაქციას. გვჯერა, რომ დიდი ტრადიცია გამოვლილი 102 წლის ჟურნალი მომავალშიც კვლავ მაღალი ენთუზიაზმით გააგრძელებს თავის შემოქმედებით საქმიანობას და ჯეროვან წვლილს შეიტანს ეროვნული ეკონომიკის აღორძინების საქმეში.

რევაზ შენგელია
მთ. რედაქტორი, ემდ, სტუ პროფესორი

102 YEARS ANNIVERSARY OF THE JOURNAL "ECONOMICS!

Dear Colleagues, economists and students of economic profile!

Exactly 102 years ago, on September 13th, 1918 (the second Friday of the month), the first issue of the scientific Journal "Georgian Economist", now "Economics" was published.

Already twenty years have passed, when by the initiative of the former Minister of Economy of Georgia, Academician Vladimer Papava, Georgian economists have been celebrating a professional holiday on the second Friday of every September - **the Economist's Day**, which was firstly celebrated in 1999 by the President's Order.

The 100th anniversary of the journal "**Economics**" was celebrated on a large scale on 13th September, 2018 at the Georgian National Academy of Sciences. To celebrate this anniversary, we were able to provide readers with a special edition of the entire material (#9, 2018) of *all first 6 issues* of journal published in both languages *in the first year* of the country's independence (1918). The topics covered in it are still relevant today and are of great importance for the state-building of Georgia today in terms of experience, especially when the period, epoch and present of the first issues of the scientific economic journal are somewhat compatible.

Moreover, it was important from the government side, congratulations of **the Prime Minister of Georgia** to the editorial board of the journal "**Economics**". There are almost no government institutions or private structures of economic profile, higher education institutions, magazines and newspapers of economic profile, educated economists who do not respond to this event. All this imposes a great responsibility for the editors of this journal. We believe that the 102-year-old journal, which has a great tradition, will continue its creative activity with high enthusiasm in the future and will make a significant contribution to the revival of the national economy.

REVAZ SHENGELIA
Chief-in-Editor, PhD, GTU Professor

დაგროვებითი საპენსიო სისტემის პრობლემები საქართველოში

რუსუდან პაპასკირი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

განხილულია ზოგადად საპენსიო სისტემის და პენსიის არსი, მისი არსებობის საჭიროება, განვითარების პერიოდები, მისი პირველი დამფუძნებელი მსოფლიოში, საპენსიო სისტემის სახეები და ა.შ.

საქართველოში 2018 წელს საპენსიო რეფორმის განხორციელება (რაც დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღებაში გამოიხატა), სტატიაში ახსნილია ხანშიშესული მოსახლეობის მნიშვნელოვანი მატებით, რაც წლიდან-წლამდე ზრდიდა ბიუჯეტიდან მათთვის გასაცემ საპენსიო ხარჯებს. აქედან გამომდინარე, დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღება, სტატიაში ჩათვლილია ეფექტურ ღონისძიებად, მხლოდ გამოთქმულია გარკვეული ეჭვი მისგან დადებითი მოლოდინის შესახებ. ამ ეჭვს საფუძვლად უდევს ავტორის მიერ ქ. თბილისის მოსახლეობაში ამ საკითხზე ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის შედეგად აღმოჩნდა, რომ გამოკითხულ მოსახლეობის 57,5% არ ენდობა ახალ საპენსიო სისტემას, ნაწილობრივ ენდობა 29,5%, ხოლო ენდობა 20%.

ავტორი თვლის, რომ ნეგატიურად განწყობილი მოსახლეობის ასეთ დიდ ხვედრით წილს, განაპირობებს ქვეყნის არასტაბილურობა და მაღალი ინფლაცია, რომელმაც შეიძლება მთლიანად გააუფასუროს დაგროვილი საპენსიო თანხები.

საკვანძო სიტყვები: პენსია, განაწილებითი საპენსიო სისტემა; დაგროვებითი საპენსიო სისტემა; მოსახლეობის დაბერება.

შესავალი

ქვეყნის ხანდაზმულ მოსახლეობაზე ზრუნვა ყველა ქვეყანაში სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ამ მიზნით საჭირო რესურსი ძირითადად ბიუჯეტიდან იხარჯება, ამდენად, პენსიის სიდიდე ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობაზეა დამოკიდებული. ამას ემატება მოსახლოების დაბერების პროცესის ინტენსივობა და ხანდაზმულთა რიცხვის მატება. 2016 წელს, როცა დაიწყო საქართველოში საპენსიო რეფორმის გატარების მოსამზადებელი სამუშაოები, ქვეყანა ორივე ამ გამოწვევის პირისპირ იდგა.

ძირითადი ტექსტი

საპენსიო სისტემა ხანდაზმულობის ასაკში მოსახლეობის ჯანმრთელი, უსაფრთხო სიცოცხლისთვის არის შექმნილი. მისი ძირითადი კომპონენტი არის პენსია. პენსია, ეს არის სახელმწიფოს მიერ არაშრომისუნარიანი მოქალაქეებისთვის რეგულარული, უწყვეტი ფულადი გადახდები, რომლებიც ინიშნება: საპენსიო ასაკის მიღწევისას, ინვალიდობის დადგენის შემთხვევაში, ოჯახის მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში, ხანგრძლივი პროფესიული საქმიანობის შემთხვევაში.

საპენსიო სისტემის ფორმირება ყოველთვის წარმოადგენდა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიმართულებას, რაც სიბერეში მყოფ მოსახლეობაზე ზრუნვაში გამოიხატებოდა. სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა დროს აიღო ეს ვალდებულება მთავრობამ თავის თავზე. პირველი ქვეყანა, სადაც საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა დაინერგა, იყო გერმანია. 1989 წელს, კანცლერ ოტო ფონ ბისმარკის ინიციატივით, გერმანიაში მიიღეს სიბერისა და შრომისუუნარობის დაზღვევის კანონი და შეიქმნა სოციალური დაზღვევის სისტემა. იგი ფინანსდებოდა სახელმწიფოს, დამსაქმებლის და დასაქმებულთა შენატანებით.

საქართველოში პენსიების შემოღება, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მის შესვლას უკავშირდება და იმ დღიდან და-

წყებული, საქართველოს საპენსიო სისტემა იყო ჯერ რუსეთის საპენსიო სისტემის, ხოლო შემდეგ, საბჭოთა კავშირის საპენსიო სისტემის ანალოგიური.

1991 წელს, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო დამოუკიდებელი გახდა, მან მემკვიდროებით საბჭოთა საპენსიო სისტემა მიიღო. ეს იყო განაწილებითი საპენსიო სისტემა. გადანაწილებითი საპენსიო სისტემა ცნობილია როგორც „Pay as you go“, და, იგი გულისხმობს დღევანდელი დასაქმებულის მიერ გადახდილი გადასახადიდან დღევანდელი ხანდაზმულების პენსიის ფორმირებას [1, გვ. 160]. ასე მოვიდა საქართველო 2018 წლამდე, ანუ მანამდე, სანამ საქართველოში არ გატარდა საპენსიო რეფორმა და გადანაწილებითი საპენსიო სისტემა არ შეიცვალა დაგროვებითი საპენსიო სისტემით. ამის აუცილებლობის მრავალი მიზეზი არსებობდა. მაგრამ მათ შორის მთავარი მიზეზი იყო დემოგრაფიული პრობლემები და მოსახლეობის დაბერება.

მოსახლეობის დაბერება გლობალური, შეუქცევადი და გარდაუვალი დემოგრაფიული პროცესია. დღეს ეს მოვლენა ყველა ქვეყნისთვის დიდ გამოწვევად იქცა, რადგან, დღეს, დემოგრაფიულ განვითარებას ახასიათებს შობადობის შემცირება, სიცოცხლის გახანგრძლივება, რისი შედეგიც არის მოსახლეობის ინტენსიური დაბერება, ანუ შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირება. არსებობს პროგნოზი, რომ 2015-2055 წლებისთვის ევროპაში შრომისუნარიანი მოსახლეობა 20%-ზე მეტით შემცირდება, რაც რა თქმა უნდა, გამოიწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის შემცირებასაც [2, გვ. 7].

მსგავსი პროგნოზი აქვს საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებასაც. თუ დღეს საქართველოს მოსახლეობაში 65 წლის და უფროსი ასაკის პირთა წილი 7%-ია, 2050 წლისთვის, იგი 23%-ს მიაღწევს [3]. ეს რა თქმა უნდა, გამოიწვევს დასაქმებულთა დატვირთვის კოეფიციენტის გაზრდას და ეს მოხდება მოსახლეობის დაბერების ზრდის ხარჯზე. დღევანდელი დასაქმებული ახალგაზრდა თავისი გადასახადით პენსიას „აძლევს“ დღევანდელ ხანდაზმულს. როცა დასაქმებულ ახალგაზრდებსა

და ხანდაზმულ პენსიონერთა თანაფარდობა მკვეთრად ირღვევა, ანუ პენსიონერთა რიცხვი მკვეთრად იზრდება, მაშინ ახალგაზრდების ეკონომიკური ტვირთი მეტად მძიმდება [4, გვ. 118] და იგი ქვეყნის ბიუჯეტზეც ნეგატიურად აისახება [5, გვ. 118-120]. თუ 2015 წელს, საქართველოში ასაკით პენსიონრების პენსიით უზრუნველყოფისთვის საჭირო იყო 1303 მლნ ლარი, 2018 წლისთვის ამ სახსრებმა შეადგინა 1605 მლნ ლარი, ე. ი. გაიზარდა 23%-ზე მეტად. ეს გამოიწვია იმან, რომ 2015 წელს, საქართველოში ირიცხებოდა 707709 პენსიის მიმღები, 2018 წელს კი - 745001. არსებობს ვარაუდი, რომ 2050 წლისთვის პენსიონერთა რაოდენობა, მოსახლეობის 25%-ს მიაღწევს [1, გვ. 94].

ცხადია, ეს მძიმე წნეხი იქნება საქართველოს ბიუჯეტისთვის და მის შესამსუბუქებლად 2016 წელს, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, მსოფლიო ბანკის აქტიური მონაწილეობით, შეიმუშავა საპენსიო რეფორმის მოდელი, რომელიც გულისხმობდა გადანაწილებითი მოდელის ჩანაცვლებას, დაგროვებითი საპენსიო მოდელით. ქვეყნის მთავრობამ გაითვალისწინა ის მდგომარეობა, რომ 65 წელზე უხნესი მოსახლეობის ხვედრითი წილი ქვეყანაში საგრძნობლად მატულობს და თუ ასე გაგრძელდა და ამის პროგნოზი არის, მომავალში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვნად გაუჭირდება ხანდაზმულთა უზრუნველყოფა პენსიით. ეს გადაწყვეტილება უცბად არ მიღებულა. განიხილებოდა საკითხი იმის შესახებ, რომ თუ სახელმწიფო პენსიის ოდენობა მომავალში გაიზრდებოდა საშუალო ხელფასის ზრდის პროპორციულად, მაშინ, საპენსიო ხარჯები, 2060 წლისთვის მშპ-ს 10% გახდებოდა (2016 წელს, იგი 4,4%-ს შეადგენდა) და ეს მდგომარეობა, მწირი საბიუჯეტო რესურსების გამო, საქართველოს საპენსიო სისტემის მდგრადობას საფრთხეს შეუქმნიდა. განიხილებოდა დამატებითი რესურსების მოძიების გაზრდის საკითხიც, კერძოდ, გადასახადების გაზრდით, მაგრამ საქართველოში ამ ღონისძიებას არავინ დაუჭერდა მხარს. ასე რომ, დაგროვებითი პენსიის შემოღება იყო სრულიად სწორი ნაბიჯი. თუმცა, თუ როგორ იმუშავებს იგი, ეს მომავალ წლებში გაირკვევა. ეს არა მხოლოდ

პირადად ჩვენი აზრია, არამედ, ფართო საზოგადოების აზრიცაა, რომლის ერთ ნაწილთან ჩვენ ამ საკითხზე კვლევა ჩავატარეთ. ჩვენი მიზანი იყო, გაგვერკვია, საზოგადოების განწყობა დაგროვებით საპენსიო სისტემის შესახებ.

კვლევამ მოიცვა ქ. თბილისში მცხოვრები 100 ადამიანი, 18 წელზე მეტი ასაკის (მ. შ. 57 ქალი, 43 მამაკაცი). კვლევა ჩატარდა პირისპირ. რესპოდენტებისთვის დასმული იყო 10 კითხვა, რომლებიც დაგროვებით პენსიის შემოღებასთან მათ დამოკიდებულებას ეხებოდა (იხ. ცხრილი 1). მათი დიდი ნაწილის პასუხი ან იყო უარყოფითი, ან, საკითხში გაუთვითცნობიერებლობის გამო, კითხვას უპასუხოდ ტოვებდა. მაგალითად, კითხვაზე - „მოგწონთ თუ არა დაგროვებითი საპენსიო სისტემა?“ 45%-მა უარყოფითი პასუხი („არა“) გაგვცა, 24,2%-მა კი, „არ ვიცი“ გვიპასუხა. თითქმის ასეთივე შედეგები მივიღეთ ყველა საკვანძო კითხვებზე. ჩვენი აზრით, ასეთი შედეგი დადგა იმიტომ, რომ საპენსიო რეფორმის გატარებით მის შესახებ არ გავათვითცნობიერეთ საზოგადოება, არ გავმართეთ სჯა-ბაასი, გნებავთ, კამათი მედიასაშუალებებში, სხვადასხვა პროფესიულ ასოციაციებსა და კავშირებში და სხვაგან.

ცხრილი 1
ქ. თბილისში მცხოვრები 100 კაციანი ფოკუს-ჯგუფის დამოკიდებულება დაგროვებით პენსიის შემოღებაზე საქართველოში

კითხვები	%-ში
1. **ხართ თუ არა დასაქმებული?**	
• დასაქმებული	5,2
• უმუშევარი	11,5
• სტუდენტი	21,8
• თვითდასაქმებული	61,5

2. **მოგწონთ თუ არა დაგროვებითი საპენსიო სისტემა?** ● დიახ ● არა ● არ ვიცი	 0,8 45,0 24,2
3. **საიდან მიიღეთ ინფორმაცია ახალი საპენსიო სისტემის შესახებ?** ● მედია-საშუალებებიდან ● დამსაქმებლებიდან ● ახლობლებისგან ● სხვა გზებით	 61,2 13,1 9,3 16,4
4. **როგორ შეაფასებთ ახალ საპენსიო სისტემას?** ● ნეგატიურად ● პოზიტიურად ● არ ვიცი	 47 14,5 37,5
5. **შეიტანდით თუ არა ცვლილებებს საპენსიო სისტემაში?** ● დიახ ● არა	 23,7 76,3
6. **რამდენად ენდობით ახალ საპენსიო სისტემას?** ● ვენდობი ● არ ვენდობი ● ნაწილობრივ ვენდობი	 21,3 57 21,7
7. **რამდენად ენდობით საქართველოს საპენსიო სააგენტოს?** ● ვენდობი ● არ ვენდობი ● ნაწილობრივ ვენდობი	 15,3 71 13,7
8. **რა იქნებოდა თქვენი სიბერის უზრუნველყოფგის საუკეთესო საშუალება?** ● სავალდებულო დაგროვებითი სისტემა ● ნებაყოფლობითი დაგროვებითი სისტემა ● სახელმწიფო გადანაწილებითი საპენსიო სისტემა ● არ ვიცი	 14,0 41,0 45,0 -
9. **თვლით თუ არა, რომ ახალი საპენსიო სისტემით თქვენი დანაზოგები მართლაც მნიშვნელოვნად გაიზრდება?** ● დიახ ● არა ● არ ვიცი	 10,4 32,5 57,5

10. **ახალ საპენსიო სისტემაში თქვენს სავალდებულო ჩართვაზე რა აზრის ხართ?** ● არ მიმაჩნია სწორად ● სწორად მიმაჩნია ● არ ვიცი	 41,6 21,4 37,0
11. **იცნობთ თუ არა და ენდობით თუ არა იმ პიროვნებას, რომელიც მართავს საქართველოში საპენსიო ფონდს?** ● არ ვიცნობ და არ ვენდობი ● ვენდობი ● ნაწილობრივ ვენდობი	 100 - -
12. **რას ურჩევდით საქართელოს საპენსიო ფონდის ხელმძღვანელს სად დააბანდოს ფონდში დაგროვილი სახსრები, რომ თქვენი საპენსიო შემოსავლები მაქსიმალურად გაიზარდოს?** ● საქართველოს ბანკებში ● უცხოეთის ბანკებში ● საქართველოს ტოტალიზატორებსა და კაზინოებში ● საქართველოს სარესტორნო ბიზნესში ● საქართველოს სამშენებლო ბიზნესში	 5,2 10,3 4,7 30,8 49,0

ამას ემატება, ის რისკები, რაც საქართველოს მოსახლეობამ ნახა საბჭოური შემნახველი სალაროს ანაბრების დაკარგვით, შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, კერძო ბანკებში („ამიკო“, „ოქროს თევზი“ და სხვები) შენახული ფულის დაკარგვა, საქართველოდან ამ ბანკების გაქცევის გამო და სხვა. ამ ყველაფერმა საქართველოს მოსახლეობას ნდობა დაუკარგა როგორც სახელმწიფო, ისე კომერციული (კერძო) ინსტიტუტების მიმართ, არადა, დაგროვებითი საპენსიო პოლიტიკა სწორედ მოსახლეობის ნდობაზე დგას. და, რადგან, საქართველოში მოსახლეობა მას არ ენდობა, ამიტომ 40 წლამდე ასაკის დასაქმებული მოსახლეობისთვის იგი სავალდებულო გახადეს, მართალია, დასაქმებულებს უარის თქმის უფლებაც მისცეს, მაგრამ ამ უარის უკან „იმალებოდა“ სამსახურის დაკარგვის დიდი შიში, რის გამოც, უარის თქმის მსურველთა 90%-მა, ვერ თქვა უარი.

კითხვაზე - „იცნობთ თუ არა და ენდობით თუ არა იმ პირო-

ვნებას, რომელიც საპენსიო ფონდს მართავს საქართველოში?“ რესპოდენტთა 100%-მა გვიპასუხა, რომ არც იცნობენ და, რა თქმა უნდა, არც ენდობიან. ასეთ დროს, ეს არის პირი, რომელსაც უფლება აქვს დამოუკიდებლად განკარგოის ფონდის აქტივები [6, გვ. 148].

გამოკითხულ რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ შეგროვილი საპენსიო ფონდი ბანკში კი არ უნდა იყოს განთავსებული, როგორც ამჟამად არის, არამედ, საქართველოს სამშენებლო ბიზნესში (49%) და სარესტორნო ბიზნესში (30,8%). რესპონდენტები უპირატესობას სამშენებლო ბიზნესს იმიტომ აძლევენ, რომ მათთან საინვესტიციო შეთანხმების პირობებში გარანტად, სამშენებლო ფართობები შეიძლება ჩაიდოს, რომელსაც ფონდი მიიღებს მშენებლების მხრიდან დარღვევის შემთხვევაში.

დასკვნა

სახელმწიფო გადანაწილებითმა საპენსიო სისტემამ, დღემდე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ასაკოვანი მოსახლეობის სიღარიბის შემცირებაში. დღეს არა მხოლოდ საქართველო, არამედ, მთელი მსოფლიოს მოსახლეობა დაბერების, ე. ი. ხანდაზმულთა მნიშვნელოვანი მატების დიდი გამოწვევის წინაშე დადგა. ისეთი მწირი საბიუჯეტო რესურსების პატრონს, როგორიც საქართველოა, გაუჭირდებოდა გადანაწილებითი საპენსიო პოლიტიკით, პენსიონრების პენსიით უზრუნველყოფა. ამიტომ, გადაიდგა სრულიად სწორი ნაბიჯი - ქვეყანა დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადავიდა.

ამ ღონისძიებების ნაკლი მხოლოდ ის იყო (და არის), რომ მას მოსახლეობა მოუმზადებელი შეხვდა. სათანადო სახელმწიფო ინსტიტუტებს არ ჩაუტარებიათ ამ საკითხზე გაშლილი, ფართო კამპანია. ეს, ან ამ ღონისძიების გატარების დაჩქარების გამო მოხდა, ან იქ დასაქმებული კადრების უცოდინრობით. არცერთი საპატიო არ არის. მათთვის სახელმწიფო ორგანოების ორიენტირი ყოველთვის საქართველოს მოსახლეობა უნდა იყოს, მით უფრო, ისეთ საკითხებში, რომელიც მოსახლეობის საკუთარ ფულს ეხება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროტაძე ჯ. „საქართველოს საპენსიო პოლიტიკა და მსოფლიო გამოცდილება“. თბ., 2018.

2. Рональд Л. Эндрю М. (2017). „Цена старения. Финансы и развитие“.

3. UN. (2017). World Population Prospects: The 2017 Revision. NY: United Nations, Department of Economic and Social Affairs.

4. Bengtsson T. & Scott J. (2010). The Ageing Population, the Case of Sweden. Springer.

5. წიკლაური შ. „მოსახლეობის დაბერება საქართველოში, როგორც ქვეყნის ეკონომიკის დემოგრაფიული ხაფანგი“. ჟ. „ეკონომისტი“, ტ. XIII, #3, 2017.

6. მაისურაძე მ. „საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების აღრიცხვის საკითხები“, თსუ-ს საერთაშორისო კონფერენციის - „თანამედროვე ბიზნესი: სიახლეები, პრობლემები“. შრომების კრებული, თბ., 2014.

REFERENCES:

1. Urotadze J. “Pension Policy of Georgia and World Experience”, Tbilisi 2018 (In Georgian Language);

2. Ronald L. Andrew M. (2017), “Cost of Ageing. Finances and Development” (In Russian Language);

3. UN (2017). World Population Prospects: The 2017 Revision. NY: United Nations, Department of Economic and Social Affairs (In English language);

4. Bengtsson T. & Scott J. (2010). The Ageing Population, the Case of Sweden. Springer (In English Language);

5. Tsiklauri Sh. “Population ageing in Georgia, as demographic trap of the country’s economic”. Journal “ Economist” v. XIII, #3, 2017 (In Georgian Language);

6. Maisuradze M. “Pension Provision Program Registration Issues”, TSU International Conference – “Modern Business Novelty and Problems”, Collection of Studies, Tbilisi, 2014 (In Georgian Language).

PROBLEMS OF THE ACCUMULATIVE PENSION SYSTEM IN GEORGIA

Rusudan Papaskiri
Sokhumi State University
Associated Professor

RESUME

In the Article "**Problems of the Accumulative Pension System in Georgia**", there have been discussed the essence of the pension system and pension in general, necessity of its presence, periods of development, its first founder in the world, the types of the pension system and etc..

In the Article there have been explained the implementation of the pension reform in Georgia, in 2018 (that was expressed by the introduction of the accumulative pension system) by the significant growth of the old-age population, which have increased the pension funds to be paid to them. Due to this, the introduction of the accumulative pension system is deemed in the Article as an effective measure. There is only expressed a doubt about the positive expectations. Such doubt is based on the results of the research conducted in Tbilisi population. As these results showed, the 57, 5% of the persons interviewed did not trust a new pension system, 29, 5% - trust partially, and 20% of them - trust it.

The author deems that such great share of the people of negative attitude is caused by the instability and high inflation in the country, which may entail the devaluation of the pension funds.

Key words: pension, distributive pension system, accumulative pension system, ageing of the population.

კორონა პანდემია, როგორც გლობალიზაციის დეფექტი და ეფექტი

უშანგი სამადაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

რეზიუმე

გლობალურ ეკონომიკაში, ანუ ეკონომიკურად დაკავშირებულ ქვეყნებში, თავისუფლად მოძრაობს არა მხოლოდ საქონელი, კაპიტალი, სამუშაო ძალა, ცოდნა თუ ტურისტი, არამედ ეპიდემიაც, რომელიც იძენს თვისებრივად ახალი, გლობალური დაავადების ანუ პანდემიის სახეს და დიდ ზიანს აყენებს მთლიანად გლობალურ ეკონომიკას. **ამ შემთხვევაში კორონა პანდემია ცალსახად გლობალიზაციის დეფექტია, რადგანაც მოიცვა მსოფლიოს ყველა კონტინენტი ქვეყნებითურთ (ანტარქტიდის გარდა) და ჩაითრია კრიზისში.**

ზემო ჩამოთვლილ დეფექტებს, რომელიმე ცალკე აღებული ქვეყანა ვერ გაუმკლავდება. ამიტომაც, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, კორონა პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში სოლიდარულია მსოფლიოს ყველა ქვეყანა, მათ შორის ერთმანეთთან დაპირისპირებული ქვეყნებიც. **ეს კი, უდაოდ, გლობალიზაციის პოზიტურ ეფექტზე მეტყველებს.**

საკვანძო სიტყვები: კორონა პანდემია, გლობალიზაციის დეფექტი, გლობალიზაციის ეფექტი, კრიზისი, პოპულისტური პოლიტიკა, რეალისტური პოლიტიკა, წინაკრიზისული, ანტიკრიზისული, პოსტკრიზისული მენეჯმენტი.

ძირითადი ტექსტი

გლობალიზაცია არის მსოფლიოს ერთ დიდ ქვეყნად გადაქცევა. გლობალიზაცია არა სტატიკური, არამედ დინამიური, მიმდინარე პროცესია, რომელიც აღრმავებს და აფართოებს ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირებს. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე კი, ამ ერთიან, გლობალურ ეკონომიკაში, ანუ ეკონომიკურად დაკავშირებულ ქვეყნებში, თავისუფლად მოძრაობს არა მხოლოდ საქონელი, კაპიტალი, სამუშაო ძალა, ცოდნა თუ ტურისტი, არამედ ეპიდემიაც, რომელიც იძენს თვისებრივად ახალი, გლობალური დაავადების ანუ პანდემიის სახეს და დიდ ზიანს აყენებს მთლიანად გლობალურ ეკონომიკას. **ამ შემთხვევაში კორონა პანდემია ცალსახად გლობალიზაციის დეფექტია, რადგანაც მოიცვა მსოფლიოს ყველა კონტინენტი ქვეყნებითურთ (ანტარქტიდის გარდა) და ჩაითრია კრიზისში.**

დასაწყისში მოკლედ შევჩერდეთ კორონა პანდემიის არსზე და გენეზისზე. 2019 წლის 26 დეკემბერს პნევმონიის 4 არასტანდარტული შემთხვევა დაფიქსირდა **ჩინეთის მილიონიან ქალაქ ვუჰანში.** 30 დეკემბერს დაიწყო მისი გავრცელება. 31 დეკმბერს ვუჰანის ჯანდაცვის კომისიამ განგაშის სიგნალი გადასცა ჩინეთის ჯანდაცვის ეროვნულ კომისიასა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას. 7 ინვარს აღმოჩენილი იქნა ვირუსი SARS-CoV-2. 20 იანვარს ამ ვირუსით გამოწვეულ დაავადებას ეწოდა კოვიდი-19**. 23 იანვარს დაიხურა ქალაქი ვუჰანი.** 30 იანვარს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში საერთაშორისო მასშტაბით, 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 პანდემიად გამოაცხადა. **მას შემდეგ პანდემიის ცენტრმა ჩინეთიდან ევროპაში, აშშ-ი და აქედან მთელ მსოფლიოში გადაინაცვლა და გავრცელდა 191 ქვეყანაში. COVID-19-ის სიმპტომებია: მაღალი სიცხე, ქოშინი, მშრალი ხველა, ყნოსვისა და გემოს შეგრძნების გაქრობა.**

ამთავითვე შევნიშნავთ, რომ კორონა პანდემია არ არის უპრეცედენტო. ამ დრომდე მსოფლიოს 60-მდე პანდემია აქვს გადატანილი. კოვიდ-19, მასშტაბით სადღაც შუაშია. თავად

პანდემია იმდენად დამანგრეველი არ არის, რამდენადაც მიღებული ზომები, რომლებმაც უდიდესი ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. ეს პანდემია, ალბათ, არ იქნება ისეთივე ცუდი, როგორც **1918 წლის ესპანური გრიპი** იყო, რომელმაც **მსოფლიო მოსახლეობის 2-3 პროცენტი ანუ 50 მლნ ადამიანი** შეიწირა **(ფერგიუსონი,2020 .06. 11).**

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ანტიკრიზისული ზომებისთვის უკვე მიმართა 3 ტრილიონი აშშ დოლარი. მსოფლიოს ამ უმდიდრესმა ქვეყანამ შეწყვიტა გამდიდრება. ამის მიზეზია კორონავირუსი. შეერთებულ შტატებში, ჯერ კიდევ ფართომასშტაბიანი საკარანტინო მოქმედების დაწყებამდე, მსოფლიოს უმსხვილესი ეკონომიკა დაეცა და მის ისტორიაში ათწლიანი აღმავლობის ფაზა დასრულდა. მთლიანობაში, სსფ-ის წინასწარი შეფასებით, სახელმწიფოების დახმარებისთვის გაღებული იქნება 9 ტრილიონი დოლარი. ეს კი მსოფლიოს მშპ-ის (87 ტრილონი აშშ დოლარი) დაახლოებით მეათედია, რაც 2008-2009 წლის მსოფლიოს ფინანსური კრიზისის ხარჯებს ბევრად აღემატება. იმ ხანად უმსხვილესმა ქვეყნებმა 1 ტრილიონ დოლარზე ნაკლები დახარჯეს **(Калмыков, 29 апреля 2020).**

კორონავირუსმა და კარანტინმა მძიმედ დატვირთა, ასევე, ევროპული ეკონომიკა, რომელიც მსოფლიოში სიდიდით მეორე ქვეყანაა ამერიკის შემდეგ. სამწუხაროდ, ყველაზე ცუდი მოლოდინები სრულდება: ევროკავშირი უარესდება უფრო სწრაფად, ვიდრე დანარჩენი მსოფლიო. ევროსტატის ბოლო დროინდელი მონაცემების თანახმად, 2020 წლის პირველ სამ თვეში ევროკავშირის ეკონომიკა შემცირდა 3.5% -ით. ამ ტემპით ის წელიწადში 13% -ით დაეცემა და ევროპა თითქმის 2 ტრილიონ ევროს ვერ მიიღებს. ამასთან, მას იმდენივე თანხის დახარჯვა მოუწევს ვირუსთან და კრიზისთან ბრძოლაში. ეს მაშინ როდესაც აშშ-ის ეკონომიკა შემოიფარგლა 4,8%-ი შემცირებით **(Европа, 1 мая 2020)**

ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის 2020 წლის 13 ივნისის მონაცემებით, მსოფლიოში 6 541 236-ზე მეტი ადამიანია დაინფიცირებული, 387 960-ზე მეტი კი გარდაცვლილი. ახლა

ლიდერებში არიან - აშშ, დიდი ბრიტანეთი და იტალია, სადაც დაავადების გავრცელება ექსპონენციალურია და თან ახლავს გაზრდილი სიკვდილიანობა. მსოფლიოს ყველა ქვეყანას შორის Covid-19 – დან ყველაზე მეტად დაზარალდა შეერთებული შტატები, სადაც ინფიცირებულია 1 872 660 და დაღუპულია **114 669** ადამიანი. **(Коронавирус: 2020)**

უფრო კონკრეტულად 2020 წლის 4 ივნისისთვის კორონა ვირუსით დაინფეცირებულთა და დაღუპულთა მონაცემები ქვეყნების მიხედვით ასე გამოიყურება (იხ ცხრილი №1)

ცხრილი №1

კორონა ვირუსით დაინფეცირებულები და დაღუპულები ქვეყნების მიხედვით 13/06/2020

ქვეყნები	ინფიცირებული	დაღუპული
აშშ	1 872 660	107 614
დიდი ბრიტანეთი	281 661	39 904
იტალია	234 013	33 689
ბრაზილია	614 941	32 548
საფრანგეთი	186 028	29 021
ესპანეთი	240 660	27 133

წყარო: Коронавирус в России и в мире. Последние новости.

https://topspb.tv/news/2020/05/24/koronavirus-v-rossii-i-v-mire-poslednie-novosti/

მსოფლიოში კორონა ვირუსით დაინფიცირებულთა პირველი ათეული ასე გამოიყურება (იხ.ცხრილი № 2)

ცხრილი № 2

10 ქვეყანა, სადაც კორონა ვირუსით დაინფეცირებულები ყველაზე მეტია 13/06/2020

ქვეყნები	ინფეცირებული
აშშ	1 872 660
ბრაზილია	614 941
რუსეთი	449 834
დიდი ბრიტანეთი	281 674
ესპანეთი	240 660
იტალია	234 013
ინდოეთი	226 713
საფრანგეთი	186 028
გერმანია	184 472
პერუ	183 198

წყარო: Коронавирус в России и в мире. Последние новости.

https://topspb.tv/news/2020/05/24/koronavirus-v-rossii-i-v-mire-poslednie-novosti/

ცხრილიდან გამომდინარე, კორონავირუსით დაინფიცირებულთა რაოდენობით მსოფლიოში პირველ ადგილზეა აშშ, მეორეზე ბრაზილია და მესამეზე რუსეთი. რუსეთში ახალ დაავადებულთა რაოდენობა ყოველ კვირას ხსნის რეკორდებს. ეპიდემიის პიკი და კლება ჯერ კიდევ არ ჩანს. რუსეთის ფედერაციაში კორონავირუსის დინამიკა ევროპის ქვეყნების მსგავსია, მაგრამ ეპიდემიის განვითარებას დროში ჩამორჩება დაახლოებით ორი კვირით. რუსეთში სიკვდილიანობის ოფიციალური მაჩვენებლები ჯერ მნიშვნელოვნად დაბალია 5 528.

ერთი და იგივე ტენდენცია შეინიშნება ყველა იმ ქვეყანაში, რომელიც ყველაზე მეტადაა დაზარალებული პანდემიით: უა-

მრავი ადამიანი დაინფიცირდა საჰაერო და სახმელეთო ტურისტული მგზავრობის, მასობრივი კულტურული, რელიგიური ან სპორტული ღონისძიების დროს, როდესაც ხალხი, რამდენიმე საათის განმავლობაში ახლოს იყო ერთმანეთთან: ისინი ხელი-ხელ ჩაჭიდებული იყვნენ, ერთმანეთს კოცნიდნენ, ცვლიდნენ სასმისებს და სხვა. სწორედ ამან შეუწყო ხელი ინფიცირებულთა რიცხვის ელვისებური სისწრაფით ზრდას.

იგივე აზრისაა ბონის უნივერსიტეტის პროფესორი ვირუსოლოგი ჰენრიხ სტრიკი, რომელიც სწავლობს და იკვლევს Covid-19– ის კლასტერულ დაავადების სიხშირის მაჩვენებელს- ”ჩვენ ვხედავთ ერთსა და იმავე ფაქტს მთელს მსოფლიოში: სადაც ადამიანები ერთად მღერიან, ცეკვავენ, ილხენენ ვირუსი უფრო სწრაფად ვრცელდება”.ყოველივე ზემოთ თქმული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ტრადიციულ დღესასწაულებისას, რომლებიც ბევრ ქვეყანაში ზაფხულის შემოსვლასთან არის დაკავშირებული.

ჩინეთი მსოფლიოში პირველი ქვეყანაა, რომელმაც უკვე გაიარა კორონავირუსით დაავადებულობის პიკი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის აზრით **ეპიდემიის პიკს** მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ახალი დაინფეცირებულთა რაოდენობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში უცვლელია, ხოლო შემდეგ იწყებს კლებას.

ცხადია, ზემო ჩამოთვლილ დეფექტებს, რომელიმე ცალკე აღებული ქვეყანა ვერ გაუმკლავდება. ამიტომაც, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, კორონა პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში სოლიდარულია მსოფლიოს ყველა ქვეყანა, მათ შორის ერთმანეთთან დაპირისპირებული ქვეყნებიც. **ეს კი, უდაოდ, გლობალიზაციის პოზიტურ ეფექტზე მეტყველებს.**

ცნობილია, რომ ეკონომიკა ყოველთვის აღმავალი ხაზით არ ვითარდება, ციკლური ხასიათიდან გამომდინარე ზოგჯერ ექცევა კრიზისულ სიტუაციაში. ასეთ ვითარებაში, სტაბილური, მშვიდი ჩვეულებრივი მდგომარეობის მართვის რეჟიმისაგან განსხვავებით, ქვეყანას უნდა გააჩნდეს ანტიკრიზისული ანუ ავარიული მოქმედებების გეგმა და ექსტრემალური მართვის

რეჟიმი. ზოგის აზრით კორონა ვირუსით გამოწვეული კრიზისი არის საშინელება და პასიურად ელის მის დამთავრებას. მაგრამ წინაკრიზისული, ანტიკრიზისული და პოსტკრიზისული მენეჯმენტის ცოდნითა და მომავლის ხედვით აღჭურვილ ჭეშმარიტ ლიდერებს მშვენივრად ესმით, რომ კრიზისი ბადებს არა მხოლოდ ახალ რისკებსა და გამოწვევებს, არამედ ახალ შესაძლებლობებსაც, რომ კრიზისი საუკეთესო დროა ლიდერობისათვის. მიდის ძველი და მოდის ახალი სისტემა. და ის, ვინც ფლობს უნიკალურ გონებას, ამ ახალ სისტემაში იპოვის ახალ შესაძლებლობებს, კონკურენტუპირატესობას, საკუთარ საქმეს, სამუშაო ადგილს, რომელიც მოიტანს არა მარტო ფულს, არამედ ბედნიერებასაც.

კორონავირუსის პანდემიამ ცხადი გახადა გლობალური მიწოდების ჯაჭვის კონცენტრირებულობის პრობლემა და მსოფლიოს დამოკიდებულება ჩინეთში განთავსებულ საწარმოებზე. შესაბამისად, რა განვითარებაც არ უნდა ქონდეს შექმნილ მდგომარეობას, სულ ცოტა, უნდა ველოდოთ, რომ კომპანიები ეცდებიან რისკების დივერსიფიცირებას და აღარ კონცენტრირდებიან მხოლოდ ერთი წარმოების ადგილზე, როგორც ეს თავის დროზე დაბალი ხარჯების ფაქტორის გამო ჩინეთში გააკეთეს. მაგრამ, თუ აქამდე მხოლოდ დაბალი დანახარჯები იყო ჩინეთში წარმოების გადატანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მთავარი ფაქტორი, დღეს აღნიშნულს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის სავაჭრო ომისა და Covid-19-ის პანდემიის ფაქტორები დაემატა და მწარმოებლებს, ამ კუთხით რისკის დივერსიფიცირების საჭიროება დაანახა. სწორედ ამიტომ, განვითარებადი სამყაროსთვის, მათ შორის საქართველოსთვის ამ მიმართებით ახალი შესაძლებლობა გაჩნდა და ახლა მთავარია ჩვენმა ქვეყანამ შეძლოს სწორი სტრატეგიით აღნიშნული შესაძლებლობის გონივრული და წარმატებული გამოყენება. **ამგვარად, კორონა პანდემია არის ახალი შესაძლებლობა საქართველოს გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში ჩაბმისა და ეკონომიკის განვითარების ვექტორების დივერსიფიკაციისა.**

ავტორის ვარაუდით, ბევრ განვითარებულ ქვეყანაში (გა-

ნსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია პენსიები და სიკვდილიანობა) პანდემიით დაღუპვის გამო შემცირდება პენსიონერთა რაოდენობა და შესაბამისად ბიუჯეტიდან საპენსიო ხარჯები. ეკონომიკის ნაკლებ დატვირთულობის გამო დაიზოგება რესურსები და ნაკლებ დაბინძურდება ეკოლოგია. ამასთან, ბევრ ქვეყანაში, სხვა თანაბარ პირობებში, ცხოვრების დონე ამაღლდება მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ხარჯზე, რაც პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური ზრდის შენელების გარკვეულ კომპენსირებას მოახდენს.

საქართველო არ არის გარემოსაგან იზოლირებული კუნძული და ცხადია, ყველა პრობლემა, რაც კორონავირუსის გამო მსოფლიო ეკონომიკაში იქმნება, ჩვენს ქვყანაზეც აისახება. **სწორედ ამიტომ** საქართველოში, როგორც გლობალური ეკონომიკის ნაწილში, მთავრობის მიერ 2020 წლის 28 იანვარს შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, 26 თებერვალს ქვეყანას ჰყავდა პირველი ინფიცირებული და **საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა 21 მარტს, რომელიც გაგრძელდა 23 მაისამდე (Пандемия,15 июня, 2020).**

2020 წლის 13 სექტემბრისათვის საქართველოში კორონავირუსის 2227 შემთხვევაა დადასტურებული. განკურნებულთა რაოდენობა სულ 1369-ს შეადგენს. კორონავირუსის შედეგად ქვეყანაში 19 პაციენტი გარდაიცვალა. კარანტინის რეჟიმში იმყოფება 5 882 მოქალაქე, ხოლო სტაციონარში მეთვალყურეობას 390 ადამიანი გადის. ამასთან, უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილია საქართველოს 41 მოქალაქე. ეს მაჩვენებლები უკეთ გამოიყურება არა მხოლოდ რეგიონის(აზერბაიჯანში კორონავირუსით გარდაიცვალა 543, სომხეთში-833 ადამიანი), არამედ მსოფლიოს ქვეყნებთან შედარებითაც **(https://sputnikgeorgia.)**

ამიტომაცაა, რომ იმ ქვეყნებს შორის **(**ჩერნოგორია, თურქეთი, საბერძნეთი კვიპროსი, საქართველო, ისლანდია, მექსიკა, ხორვატია**),** რომლებმაც შეანელეს ან შეაჩერეს კორონავირუსის გავრცელება და რამდენიმე თვიანი კარანტინის შემდეგ დაიწყეს შეზღუდვების მოხსნა და საზღვრების გახსნა, საქართვე-

ლოც მოხვდა. ეს იმიტომ, რომ 3.7 მილიონი მოსახლის ფონზე, ქვეყანაში ვირუსით გარდაცვალების მხოლოდ 19 შემთხვევა ფიქსირდება და **ცხრამეტივე შემთხვევაში პაციენტებს თანდართული დაავადებები ჰქონდათ.**

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში კორონავირუსის გავრცელების შენელების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქვეყნის ხელისუფლების, მედიცინისა და მოსახლეობის სწრაფი რეაგირება და ეფექტიანი თანამშრომლობაა. საქართველომ კორონავირუსის გამო დროებით შეწყვიტა პირდაპირი ფრენები ჩინეთთან, ირანსა და იტალიასთან. ასევე შემოიღო შეზღუდვები და რეკომენდაციები: 1.დარჩით სახლში; 2.სახლში დაიცავით სისუფთავე; 3.ნაკლები მობილობა, გადაადგილება საზოგადოებრივი ტრანსპორტით; 4.სახლიდან გამოსვლისას გამოიყენეთ პირბადე; 5. ადამიანებთან ურთიერთობისას დაიცავით დისტანცია 1.5-2 მეტრი; 6.თერმოს-კრინინგი; 7.სადეზინფექციო საშუალებები და სხვა.

აღნიშნული წარმატების ფინანსურ უზრუნველყოფაში კი თავისი წვლილი შეიტანა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ქვეყნის ეკონომიკური ხელისუფლების აქტიური მეცადინეობით მიღებულმა ფინანსურმა დახმარებამ 3,5 მილიარდი დოლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდება ანტიკრისისულ გეგმას. კონკრეტულად: 1) მილიარდ 35 მილიონი ლარი მოხმარდება მოქალაქეებზე ზრუნვას და მათ სოციალურ დაცვას; 2) 2 მილიარდ 110 მილიონი ლარი-ეკონომიკაზე ზრუნვას და მეწარმეობის მხარდაჭერას. კონკრეტულად, ბიუჯეტის დანაკლისის შევსებას; ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვებისა და კომბანკების სავალდებულო რეზერვების შემნას მათი ლიკვიდობისათვის და კერძო სექტორის მხარდაჭერას; 3) 350 მილიონი მოხმარდება ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებასა და პანდემიასთან ბრძოლას.

თუმცა, მიღებულ დახმარებასთან ერთად ხელისუფლება იძულებული გახდა, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების პროტაკოლით გათვალისწინებული რეკომენდაციები სრულად შეესრულებინა და ზოგიერთ ეროვნულ-ტრადიციული

დღესასწაულის (ვთქვათ, აღდგომის, ქორწილის, ქელეხის, ძეობის და ა.შ.) ჩვეულ აღნიშვნაზე უარი ეთქვა. **და აქ არაფერია გასაკვირი, ცნობილი სიბრძნის თანახმად, „ვის პურსაც მიირთმევ, სიმღერაც იმისი უნდა იმღერო!“**

დონორებთან ერთად შემუშავდა, ასევე, საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს ეკონომიკაზე პანდემიის ნეგატიური გავლენის შესახებაც. სავარაუდოდ ეკონომიკური ზრდა შემცირდება -4%-ით; ბიუჯეტის შემოსავლები შემცირდება 1, 8 მლრდ ლარით; ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები კი შემცირდება 300 მლნ ლარით.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადამიანთა ჯანმრთელობა, არსებობა და განვითარება დამოკიდებულია არა მხოლდ კორონა პანდემიასთან გამკლავებაზე, არამედ ადამიანთა არსებობისა და განვითარების განმსაზღვრელი სფეროს, ეკონომიკის პოსტკრიზისულ ამოქმედებაზეც. **წინააღმდეგ შემთხვევაში კორონა ვირუსით გარდაცვლილ ადამიანებს დაემატება შიმშილით დაღუპული ადამიანები, რაც მასშტაბით ბევრად მეტი იქნება.**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩინეთი გლობალური ინდუსტრიული ჰაბია. მრეწველობის უდიდესი ნაწილი იქ არის კონცენტრირებული. შუალედური პროდუქციის გამოშვების 20% სწორედ ჩინეთზე მოდის. შესაბამისად, კორონავირუსის გავრცელება, მათ შორის ჩინეთში, უარყოფით გავლენას მოახდენს არა მარტო ჩინეთის, არამედ გლობალურად ეკონომიკაზე, რადგან გეოგრაფიული დაშორების მიუხედავად, დღეს მსოფლიო ეკონომიკა საკმაოდ ინტეგრირებულია. **საქართველოც ამ ეკონომიკის ნაწილია და ექსპორტი და ტურიზმია ის დარგები, რომლებსაც ყველაზე დიდი დარტყმის საფრთხე ემუქრება.**

ამ ეტაპზე, ეკონომიკური გაურკვევლობის ანუ მომავლის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში, ძნელია ზუსტი შეფასებების გაკეთება თუ რა გავლენა ექნება კორონავირუსს საქართველოს ეკონომიკაზე. მაგრამ თუ ვირუსმა გლობალური ეკონომიკის შემცირება გამოიწვია (რაც ამ ეტაპზე იკვეთება), მაშინ ეს ჩვენ ეკონომიკაზეც უარყოფითად აისახება.

1.ვირუსის ხანგრძლივობის მიუხედავად ნეგატიური გავლენა ტურიზმზე მოსალოდნელია. როგორც ითქვა, საქართველომ დროებით შეაჩერა პირდაპირი ფრენები ჩინეთთან, ირანთან და იტალიასთან. ამ ქვეყნების წილი მთლიან ვიზიტორებში და ტურიზმის შემოსავლებში მცირეა და ყოველთვიურად ფრენების აღდგენამდე მცირე შემოსავლები დაგვაკლდება. თუმცა, ვირუსთან დაკავშირებული პანიკის გამო, სავარაუდოდ სხვა ქვეყნის ვიზიტორებიც შეიკავებენ თავს მოგზაურობისგან და შესაბამისად აერპორტების შემოსვალები დაახლოებით 90%-ით შემცირდება და აქ დასამებულ 1400 თანამშრომელს დასაქმებისა და შემოსავლის მიღების საფრთხე შეექმნება.

2. ტურიზმის შემცირების შემთხვევაში, ასევე, მოსალოდნელია ნეგატიური გავლენა რესტორნებზე და კაფე-ბარებზე, სადაც 200 000 ადამიანია დასაქმებული. სარესტორნო ბიზნესი კორონავირუსის პანდემიის გამო მარტის პირველი ნახევარში დაიხურა და რესტორნების დიდი ნაწილი ამ დრომდე არ გახსნილა **(ახალი,2020-06-10).**

3. ამ კონტექსტში მოსალოდნელია უძრავ ქონების გაყიდვების შენელება, მათ შორის უცხოელების მხრიდან. შესაბამისად, მოსალოდნელია ბინათმშენებლობის შენელება, თუმცა, სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტების გაგრძელება მშენებლობის სექტორის კლებას გარკვეულწილად შეანელებს.

4.კორონა ვირუსის შედეგად საშინაო და საერთაშორისო სამგზავრო ფრენები მკვეთრად კლებულობს. შესაბამისად, მსოფლიოში საწვავზე მოთხოვნა და ფასები ეცემა, რაც საქართველოსთვის, როგორც ნავთობ-იმპორტიორი ქვეყნისთვის ხელსაყრელია.

თუმცა, ნავთობის ფასების მნიშვნელოვან შემცირებას უარყოფითი ეფექტიც ახლავს, რადგან რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან შემცირდება ფულადი ნაკადების შემოდინება. ამასთან, ხსენებულ ქვეყნებში მოთხოვნის შემცირება და მისი გადართვა პირველადი მოთხოვნის საქონელზე, უარყოფითად აისახება ჩვენი ქვეყნის ექსპორტზე, რადგან ამ ქვეყნებში ქართული საექსპორტო საქონლიდან (ღვინო, სპირტიანი სასმე-

ლები, მინერალური წყლები, თხილი, კაკალი) არცერთი არ არის პირველადი საჭიროების პროდუქტი.

ჩემი აზრით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ნაკლებ გავრცელებული კორონავირუსის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები რამდენადმე გაზვიადებულია, რამაც ეკონომიკა გარკვეული ხანი გააჩერა, დასაქმებულთა ერთი ნაწილი უმუშევარი დატოვა, სახელმწიფოს კმაყოფაზე ყოფნის პატერნალისტური ფსიქოლოგია გამოუმუშავა და გააზარმაცა. ასე მაგალითად, მთავრობის დადგენილების მიხედვით: ყველა ის დაქირავებით დასაქმებული პირი, რომელმაც ოფიციალურად მუშაობდა და კრიზისის პერიოდში, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდგომ დაკარგა სამსახური, შემოსავალი და ვეღარ იღებს ხელფასს, მიიღებს დახმარებას სახელმწიფოს მხრიდან, 1200 ლარის ოდენობით, 6 თვის განმავლობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანები ყოველთვიურად მიიღებენ 200 ლარს. კომპენსაციის მიღება შეეძლებათ იმ დაქირავებულებს, რომლებიც 2020 წლის პირველი სამ თვეში (იანვარი, თებერვალი, მარტი) ერთხელ მაინც აქვთ აღებული ხელფასი და ამის შესახებ მის დამქირავებელს საგადასახადო დეკლარაციასთან ერთად შემოსავლების სამსახურში წარმოდგენილი აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ პირზე გაიცა ხელფასი. საკომპენსაციო სიაში ვერ მოხვდებიან ის პირები, რომლებზეც შემოსავლების სამსახურის ბაზაში დაფიქსირებულია, რომ მაისი-ოქტომბრის პერიოდში მათზე ამავე თვეში გაცემულია ხელფასი. მაგალითად, შესაძლებელია 15 მაისს დაქირავებულზე კომპანია „ა“-მ წარადგინა ინფორმაცია, რომ აპრილში მასზე არ გაუცია ხელფასი, მაგრამ კომპანია „ბ“-ს წარდგენილ დეკლარაციაში ჩანს, რომ ამავე პირზე გასცა ხელფასი. ამ შემთხვევაში, ეს პირი ვერ მოხვდება საკომპენსაციო სიაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფო იმათ, ვინც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდგომ დაკარგა სამსახური და შემოსავალი, ეუბნება: მაის-ოქტომბერში თუ გინდათ, რომ მიიღოთ 200 ლარიანი კომპენსაცია არ უნდა დასაქმდეთ და არ უნდა გქონდეთ შემოსავალიო!!! მაშასადამე, სახელ-

მწიფო მინიმუმ 350 000 მოქალაქეს უბიძგებს უმუშევრობისკენ, ეკონომიკიდან ამოვარდნისაკენ!!!

აქვე ვიტყვით იმასაც, რომ საქართველოს სამეუნეო პრაქტიკიდან გამომდინარე, ფულადი შემწეობის მიმღებ სოციალურად დაუცველ ადამიანთა მასაში, ბევრია შრომისუნარიანი და შრომისუნარიან ასაკში, მაგრამ მუშაობის დაწყებას არ აპირებს, რადგან არაა დარწმუნებული იმაში, რომ ეს სამუშაო მისთვის იქნება სტაბილური და ხაგრძლივი. სოციალური შემწეობა კი, თუ 3-4 წლის განმავლობაში არაფერი შეიცვალა მეთოდოლოგიაში, მას გარანტირებული ექნება. გამოდის, რომ ამგვარი სოციალური დახმარების სისტემა მოსახლეობის აღნიშნულ ნაწილს აზარმაცებს და აპარაზიტებს. სხვათა შორის, 7500 უმუშევარს დასაქმებისათვის უშუამდგომლეს ოფიციალურ დამსაქმებლებთან, მაგრამ უმუშევრების მხრიდან უარი მიიღეს. იმიტომ, რომ ისინი თვითდასაქმებულები არიან არალეგალურად, იღებენ საკმაოდ ნორმალურ ანაზრაურებას, არ იხდიან მასზე საშემოსავლო გადასახადს და თანაც, როგორც ოფიციალურად დაუსაქმებლები ხშირად იღებენ სოციალურ დახმარებასაც.

მთავრობის გადაწყვეტილებით დაპაუზებული საქართველოს ეკონომიკის მოსახლეობისათვის დასაწყისშივე მნიშვნელოვანი შეღავათი დაწესდა: „ყველას, ვინც მოიხმარს 200 კილოვატზე ნაკლებ ელექტროენერგიას და 200 კუბურ მეტრზე ნაკლებ ბუნებრივ აირს, **კომუნალური გადასახადი** სამი თვის განმავლობაში სრულად დაუფინანსდება“. **ოღონდ აქ პატარა უზუსტობაა. აღრეულია ერთმანეთში გადასახადი და გადასახდელი. რეალურად, შეღავათი ეხება კომუნალური მომსახურების გადასახდელს, რომელიც მიდის კონკრეტული კომპანიის ანგარიშზე და არა გადასახადს, რომელიც შედის ბიუჯეტში!**

სახელმწიფოს ასეთი გულუხვობა იმითაც უნდა აიხსნას, რომ ჩვეულებრივ, პარლამენტის საარჩევნო წელი, უფრო პოპულისტური სოციალური პოლიტიკით ხასიათდება, ვიდრე ეკონომიკის განვითარებისაკენ მიმართული რეალისტური პოლიტიკით. როგორც ჩანს, ამ მხრივ გამონაკლისი არც 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნები იქნება. ამაზე მე-

ტყველებს, როგორც მოწყვლადი ჯგუფების, ასევე სხვადასხვა სექტორისა და მოსახლეობის დიდი ნაწილის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები. ამასთან, პენსიონერთა დიდი რაოდენობა და მცირე პენსიების მცირედით მომატება არჩევნებში სახელისუფლებო პარტიის გამარჯვების დიდ შესაძლებლობებს ქმნის, თუ რაიმე ფორსმაჟორულ მოვლენას არ ექნა ადგილი.

ავტორი მომხრეა, მიზნობრივი დახმარება გაძლიერდეს იმ ადამიანებისა, ვინც შექმნილი ვითარებით ყველაზე მეტად დაზარალდა და წინააღმდეგია „ვერტმფრენიდან მოსახლეობაზე ფულის მიმობნევის“. იმიტომ, რომ მოსახლეობაზე ფულის საყოველთაო დარიგება აპასიურებს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას, იწვევს სოციალურ უსამართლობასა და ინფლაციის “აფეთქებას”, რაც გაართულებს ხელმოკლე მოსახლეობის მიერ საარსებო საშუალებების შეძენას და, ზოგადად, ცხოვრების დონის ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ნილ ფერგიუსონი. პანდემიაზე, დამანგრეველი ის ეკონომიკური ზომებია, რომელიც მივიღეთ. 2020-06-11. წყარო: https://commersant.ge/ge/post/pandemiaze-damangreveli-is-ekonomikuri-zomebia-romelic-miviget-amerikeli-profesori

2.Европа подсчитала убытки от коронавируса. Худшие прогнозы сбываются. 1 мая 2020. https://www.bbc.com/russian/features-52493422

3. Коронавирус: полтора миллиона заболевших, скачок смертности в США и Британии https://www.bbc.com/russian/news-52228287

4.Пандемия коронавируса. Самое актуальное на 15 июня

https://www.rbc.ru/society/15/06/2020/5e2fe9459a79479d102bada6

5.https://sputnikgeorgia.com/caucasus/20200819/249244370/koronavirusiT-inficirebulTa-raodenoba-somxeTSi-42-aTass-aWar-

bebs.html

6. ახალი კრედიტის გაცემის არცერთი თხოვნა ბანკებმა განხილვაშიც არ მიიღეს 2020-06-10 https://commersant.ge/ge/post/bankebs-natia-turnava-sxva-qveynis-ekonomikis-ministri-hgoniat-axali-kreditis-gacemis-arac-erti-txovna-bankebma-ganxilvashic-ar-miiges

7.Алексей Калмыков. Коронавирус подрезал крылья Америке. Крупнейша экономика мира впала в депрессию. Би-би-си. 29 апреля 2020.

REFERENCES:

1.Neil Ferguson. On the pandemic, the economic measures we have taken are devastating. 2020-06-11. Source: https://commersant.ge/ge/post/pandemiaze-damangreveli-is-ekonomikuri-zomebia-romelic-miviget-amerikeli-profesori

2.Europe has calculated losses from coronavirus. The worst predictions come true. May 1, 2020.https: //www.bbc.com/russian/features-52493422

3.Coronavirus: one and a half million cases, a jump in mortality in the United States and Britain https://www.bbc.com/russian/news-52228287

4.Coronavirus pandemic. Most relevant for June 15 https://www.rbc.ru/society/15/06/2020/5e2fe9459a79479d102bada6

5.https://sputnikgeorgia.com/caucasus/20200819/249244370/koronavirusiT-inficirebulTa-raodenoba-somxeTSi-42-aTass-aWarbebs.html

6.Banks did not consider any request for a new loan 2020-06-10 https://commersant.ge/ge/post/bankebs-natia-turnava-sxva-qveynis-ekonomikis-ministri-hgoniat-axali-kreditis-gacemis- arac-erti-txovna-bankebma-ganxilvashic-ar-miiges

7. Alexem Kalmykov. Coronavirus underwent cruising in the Americas. Major economies in the area of depression. The BBC. April 29, 2020.

THE CORONA PANDEMIC AS THE DEFECT AND EFFECT OF GLOBALIZATION

Ushangi Samadashvili
Associate Professor, Doctor of Economic Sciences,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

RESUME

In the global economy, or economically connected countries, not only goods, capital, labor, knowledge, or tourism move freely, but also an epidemic that takes on the appearance of a qualitatively new, global disease or pandemic and does great damage to the global economy as a whole. In this case, the Corona pandemic is uniquely a globalization defect, as it has engulfed all the world's planets with countries (except Antarctica) and plunged into crisis.

The above-mentioned defects cannot be dealt with by any single country. Therefore, given today's reality, all countries in the world, including those that oppose each other, are in solidarity in the fight against the Corona pandemic. This undoubtedly has a positive effect on globalization.

Key words: Corona pandemic, globalization defect, globalization effect, crisis, populist policy, realistic policy, pre-crisis, anti-crisis, post-crisis management.

უთანაბრობა შემოსავლებში როგორც ხარისხიან განათლებაზე და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმიუწვდომლობის საფუძველი

გიორგი ჯვარიძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

განხილულია 70-იან წლებში მსოფლიოში განათლების კრიზისის წარმოშობის მიზეზები, საქართველოში განათლების სისტემაში გატარებული რეფორმის დაბალი შედეგები, მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება წინა წლებთან შედარებით და ა. შ. 1999-2000 წლებში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში სწავლობდა 714,4 ათასი მოსწავლე, 2017-2018 წლებში კი მხოლოდ 575,1 ათასი. განათლებაზე წვდომა არა აქვთ არა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობას, არამედ, და უფრო მეტად, სუბსაჰარის, აზიის და ლათინური ამერიკის მოსახლეობასაც. იქ 4 კლასის (და უფრო ნაკლების) განათლების მქონე მოსახლეობის ხვ. წონა მეტად დიდია.

იგივე მდგომარეობაა ჯანდაცვაში. სამედიცინო მომსახურებაში უთანაბრობას განსაკუთრებული ფართო მასშტაბები აქვს ღარიბ ქვეყნებში. იქ ბავშვთა სიკვდილიანობაც და ქალთა სიკვდილიანობაც უფრო მაღალია, ვიდრე მდიდარ ქვეყნებში. ღარიბი ქვეყანაა საქართველოც და ფაქტიურად აქაც იგივე მდგომარეობაა, თუმცა, საქართველოს სტატისტიკის სამსახური ღარიბ და მდიდარ მოსახლეობის ჭრილში არ ასაჯაროებს ამ ინფორმაციას. მაგრამ ის ფაქტი, რომ საქართველოში 2000 წელს ყოველ 1000 კაცზე სიკვდილიანობის (მოკდვაობის) კოეფიციენტი 9,8 ერთეულს შეადგენდა, 2017 წელს კი - 12,8 ერთეულს, უკვე იმას ნიშნავს, რომ ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე ხელმიუწვდომლობა კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა.

დაკსვნაში მოცემულია მოსახლეობაში შემოსავლის უთანასწოროდ განაწილების შემცირების გზები.

საკვანძო სიტყვები: უთანასწორობა; განათლება; შემოსავლები; სამედიცინო მომსახურება.

შესავალი

ქვეყანაში არსებული უთანასწორობა მხოლოდ შემოსავლების უთანასწორობით არ იზომება. შემოსავლებში უთანასწორობა იწვევს უთანასწორობას განათლების მიღებაში, ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში და სიმდიდრის დაგროვებაში. მოცემულ სტატიაში ჩვენ სიმდიდრის დაგროვებაზე არ გავამახვილებთ ყურადღებას, რადგან ჩვენი აზრით, უკეთესი იქნება ადამიანები სიმდიდრედ თვლიდნენ არა მატერიალურ ქონებას, არამედ განათლებას, კულტურას და ჯანმრთელობას და მათი უზრუნველყოფისკენ მიისწრაფოდნენ.

1. უთანასწორობა განათლებაში.

კაცობრიობის ცივილიზაცია ადამიანთა განათლების შედეგად მიღებული ცოდნის შექმნილია. ადამიანში ჩადებულია სწრაფვა განათლების მიღებისკენ. მას სურს შეიცნოს სამყარო და მასში თავისი თავი დაიმკვიდროს.

„პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, - წერს ქართველი მეცნიერი გ. ჯოლია, რომ თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში, როცა ადამიანს განათლების მისაღებად გაცილებით მეტი შესაძლებლობა მიეცა, მსოფლიო მასშტაბით განათლების კრიზისი შეიმჩნევა, რაც შემდეგ ნეგატიურ ტენდენციებში ვლინდება [1, გვ. 92]:

- წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა მატულობს;
- განათლების ხარისხი კლებულობს;
- განათლებასა და მეცნიერებას შორის სხვაობა დიდდება;
- განათლების პროცესიდან მოსწავლის (სტუდენტის) თანდათან განრიდება ხდება.

განათლების ეს კრიზისი მსოფლიოში 70-იან წლებში დაიწყო. ამის საფუძვლად ფრანგმა მეცნიერმა ფ. კუმბსმა სამი მიზეზი დაასახელა [2, გვ. 293]:

1. განათლებაზე მასების მოთხოვნილებას არსებული საგან-

მანათლებლო ქსელი ვერ აკმაყოფილებს.

2. განათლების სისტემა ფინანსური სახსრების უკმარისობის გამო ახალ მოთხოვნებს ვერ პასუხობს.

3. განათლების სისტემის შინაგანი წყობა ინერტულია.

ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა განათლება ორიენტირებული იყო ინდივიდის (მოსწავლე, სტუდენტი) გონებაში ინფორმაციის „ჩატვირთვაზე". დღეს განათლებაში იგი კრეატულმა (შემოქმედებითმა) მიდგომამ შეცვალა. მაშასადამე, წინა პლანზე არის წამოწეული არა „ბევრი" ცოდნის დაგროვება, არამედ, ღრმა აზროვნება. ამ მიმართულებით დიდი რეფორმები ჩატარდა საქართველოს განათლების სისტემაშიც, მაგრამ რა? აი, რას წერს ამის შესახებ პროფესორი რ. ასათიანი: „განათლების სისტემის რეფორმირებამ საქართველოში განათლების ხარისხი ვერ გააუმჯობესა, მეტიც, გარკვეული თვალსაზრისით გააუარესა კიდეც" [3, გვ. 133].

ახლა ისმება კითხვა: ყველა ქვეყნის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას თუ არა? ხოლო თუ აკმაყოფილებს, ყველა მოსწავლეს (სტუდენტს) შეუძლია იქ განათლების მიღება? ამ კითხვას ვსვამთ იქიდან გამომდინარე, რომ სასწავლებლები, რომლებმაც შეძლეს ქ. ბოლონიაში (იტალია) მიღებული „უნივერსიტეტების დიდი ქარტიის" მოთხოვნების შესაბამისად ტრანსფორმაცია და ახალი საგანმანათლებლო მოდელის დამკვიდრება, ერთეულებია მსოფლიოში, იქ სწავლა ძვირადღირებულია და მათზე წვდომა ფინანსური თვალსაზრისით მხოლოდ მდიდარი ოჯახის შვილებს აქვთ. „დაბალი ფინანსური შესაძლებლობების გამო, მხოლოდ მცირე ჯგუფს ეძლევა უცხოეთის უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამებით სწავლის შესაძლებლობა", - წერს პროფესორი ვ. სართანია [4, გვ. 459]. ასეა ყველგან, სადაც შემოსავლები მოსახლეობაში უთანაბროდ ნაწილდება. ასეთი ქვეყანაა საქართველოც.

არადა, მოსახლეობის შემოსავლების სიდიდე მათ მიერ განათლების მიღებასთან პირდაპირი კავშირშია. კარგი განათლების მიღება დიდ ინვესტიციებს მოითხოვს. ამ საკითხზე სავალუტო ფონდმა კვლევები ჩაატარა ევროპაში, ლათინურ

ამერიკაში, აზიაში და სუბსაჰარის აფრიკაში. კვლევის მიზანი იყო ღარიბ და მდიდარ მოსახლეობაში 4 კლასზე ნაკლები განათლების მქონე 20-24 წლის ასაკის მქონე მოსახლეობის ხვედრითი წილის დადგენა. ეს გამოკვლევა იხილეთ ნახაზზე 1 [5].

ეს ნახაზი შემდეგნაირად აიხსნება: სუბსაჰარის აფრიკაში (როგორც ცნობილია, სუბსაჰარა არის აფრიკის ყველაზე ღარიბი რეგიონი) ღარიბი მოსახლეობის 20%-ის გამოკვლევით დადგინდა, რომ მათ 60%-ს არა ჰქონდა 4 კლასის განათლება, იგივე მდგომარეობაში იყო მათი მდიდარი მოსახლეობის 15%. სხვა რეგიონებში ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენდა: აზიაში - 40%-ს და 10%-ს; ლათინურ ამერიკაში - 30%-ს და 5%-ს; ევროპაში - 1%-ს და 0%-ს.

ვიცით რა, რომ ევროპის ქვეყნები ძირითადად მაღალგანვითარებული ქვეყნებია, და რომ მათთან შემოსავლების განაწილების უთანაბრობის კოეფიციენტებიც დაბალია (0,27-0,30), ეს გვაძლევს უფლებას გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ამან განაპირობა ევროპის ღარიბებში 4 კლასის განათლების მქონეთა 1% და მდიდრებში - 0%. ევროპასთან შედარებით ლათინური ამერიკაც ღარიბია და აზიაც. ამიტომ აზიაში ღარიბების 40%-ს, ხოლო ლათინურ ამერიკაში 30%-ს 4 კლასის ცოდნაც კი არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, ვაკეთებთ კიდევ უფრო ლოგიკურ დასკვნას - რაც უფრო ღარიბია ქვეყანა, მის ღარიბებშიც და მდიდრებშიც უფრო მეტია დაწყებითი განათლების (0-4 წლამდე სწავლა) არმქონე ადამიანთა ხვედრითი წილი (იხ. ნაზახი 1).

ამ საკითხის შესწავლა ჩვენ დავიწყეთ იმის საჩვენებლად, რომ ღარიბებს განათლების მიღებაზე ხელი არ მიუწვდებათ და რომ ეკონომიკური უთანასწორობა ქმნის განათლებაში უთანასწორობასაც. თუმცა, თუ ზემოთ ნაჩვენებ გრაფიკს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ გარდა ევროპისა, სხვა ყველა რეგიონში - აზიაში, სუბსაჰარასა და ლათინურ ამერიკაში მოსახლეობის მდიდარ ფენაშიც არიან 4 კლასამდე განათლების არქმონენი. ძნელია ამ ფაქტის ახსნა, მაგრამ რადგან ცივილიზებულ ევროპაში ამას ადგილი არა აქვს, ამიტომ ეს ფაქტი იმ



პირობითი აღნიშვნები:
1 - ყველაზე ღარიბების მეხუთედი
2 - ყველაზე მდიდრების მეხუთედი

რეგიონების მოსახლეობის დაბალი კულტურით უნდა ავხსნათ.

დიდი უკეთესობა არც საქართველოშია. 1999-2000 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობდა 714400 მოსწავლე, 2017-2018 სასწავლო წელს კი, სწავლობდა მხოლოდ 575200 მოსწავლ;ე, ანუ მთელი 20%-ით ნაკლები [5]. რით უნდა ავხსნათ ეს ვითარება, თუ არა იმით, რომ ღარიბ ოჯახებს არა აქვთ ბავშვების სასკოლოდ მომზადების (წიგნების ყიდვა, ტანსაცმელ-ფეხსაცმელის შეძენა და სხვა) ფული. რა თქმა უნდა

ამის სხვა მიზეზებიც არსებობს - შემცირდა შობადობა, ქორწინება, გაიზარდა ახალგაზრდების ემიგრაცია საქართველოდან და ა. შ., მაგრამ დაბალი განათლების ერთ-ერთი მიზეზი აუცილებლად საქართველოს მოსახლეობის სიღარიბეცაა.

ასე რომ, სათანადო ხარისხის განათლებაზე ხელმიუწვდომლობა, სიღარიბის მიზეზითაც ხდება, სიღარიბეს კი იწვევს შემოსავლების არათანაბარი განაწილება მოსახლეობაში.

2. უთანასწორობა სამედიცინო მომსახურებაში.

იგივე ითქმის ჯანმრთელობის დაცვაზეც. აქაც მაღალია შემოსავლებთან კორელაცია. იგივე სავალუტო ფონდის კვლევებით დადგინდა, რომ ჯანდაცვის შედეგების უთანაბრობას ფართო მასშტაბები აქვს განვითარებად ქვეყნებში, განვითარებულ ქვეყნებში კი მასზე ხელმისაწვდომობა მდიდრებშიც და ღარიბებშიც თითქმის ერთნაირია. განვითარებად ქვეყნების ღარიბ ოჯახებში ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე იმავე ქვეყნის მდიდარ ოჯახებში. ასეთივე მდგომარეობაა ქალთა სიკვდილიანობაშიც. ერთადერთი, რაც განვითარებულ ქვეყნებშიც დაფიქსირდა, ეს იყო შემოსავლების უფრო მეტი გავლენა ადამიანთა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე, ვიდრე ეს შეინიშნებოდა ერთი თაობის წინ. ეს განსაკუთრებით აღინიშნა აშშ-ში [6, გვ. 591-606].

სავალუტო ფონდმა დაადგინა ისიც, რომ ჯანსაღ საზოგადოებებში რომლებშიც დაბალია ქალთა სიკვდილიანობა, შემოსავლების უთანაბრობაც ნაკლებია. ეს მიგნება იმას ადასტურებს, რომ რადგან ოჯახებს ნორმალური შემოსავალი აქვთ, ოჯახის ქალებს შეუძლიათ მიიღონ ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება. სწორედ იმიტომ, რომ საქართველოში შემოსავლების განაწილების უთანაბრობის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ჩვენ მეზობელ ქვეყნებში, ამიტომ მეზობელ ქვეყნებთან შედარებით მოსახლეობის კმაყოფილების დონე ჯანდაცვით, საქართველოში ყველაზე დაბალია და იგი შეადგენს - 50%-ს. ასეთ დროს, რუსეთში იგი 56%-ია, ირანში - 82%, თურქეთში - 82%, აზერბაიჯანში - 68%, სომხეთში - 53% [7].

საქართველოს მოსახლეობის ასეთი მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ ქვეყნის მთავრობამ აქტიური ღონისძიებები უნდა მიიღოს მოსახლეობის სიღარიბის შესამცირებლად. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - „საქართველო - 2020“ - ეს ღონისძიებები ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოთვლილი და დაწყებულია მათი განხორციელებაც. ერთ-ერთი ასეთია, 2013 წელს საყოველთაო სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამის ამუშავება [8], რომელმაც საქართველოს თითქმის მთელი მოსახლეობა მოიცვა და მკურნალობისთვის საჭირო თანხის „ჯიბიდან“ გადახდის თანდათან შემცირება დაიწყო.

დასკვნა

დასმული პრობლემის შესწავლით ვაკეთებთ იმ შემაჯამებელ დასკვნას, რომ შემოსავლების უთანაბრო განაწილება იწვევს მოსახლეობის დაყოფას არა მხოლოდ ღარიბებად და მდიდრებად, არამედ, გაუნათლებლებად და განათლებულებად, ავადმყოფებად და ჯანმრთელებად.

ქვეყნის სიმდიდრე განათლებული და ქმედუნარიანი, ანუ ჯანმრთელი ადამიანებია და არა მატერიალური დოვლათი. ამისკენ უნდა მიისწრაფოდეს საქართველო. ასეთ დროს, მოსახლეობის შემოსავლებში უთანაბრობა კი არ მცირდება, არამედ ღრმავდება, რაც ნიშნავს მეტ გაუნათლებელ და მეტ ავადმყოფ ადამიანს, რომელიც იმიტომ არის ასეთი, რომ ღარიბია.

ლიტერატურა:

1. ჯოლია გ. კრეატული განვითარება: განათლება, ცოდნა, ქმედება, მონოგრაფია, თბ., 2016, გვ. 92.

2. Кумбс Ф., 1970, Кризис образования в современном мире: ситемный аналтз, пер. с англ., М., «Прогрес», გვ. 293.

3. ასათიანი რ. მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ეტაპები და საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები 11, თბ., 2013, გვ. 133.

4. სართანია ვ. განათლების რეფორმა და მისი შედეგები საქართველოში, საქართველოს ეკონომიკური მეცნიერთა აკადემია, შრომები 11, თბ., 2013, გვ. 459.

5. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2000, გვ. 87; საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2018, გვ. 68.

6. Murray C., Lopez A. and Alvarado M.**,** 2013. "The State of US Heanth, 1990-2000: Burden of Aiseases, Injaries and Risk Factors". The journat of the American Medical association 310(6): 591-606.

7. გაანგარიშებულია გაეროს მონაცემების მიხედვით: Доклад о развитии человека, М., 2012, გვ. 141-147; 176-179.

8. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო - 2020", „საქართველოს მთავრობა", თბ., 2013, გვ. 59-67.

RERENCES:

1. Jolia G.-Creative development: Education, Knowledge, Acting, Monography,Tb. 2016, p. 92.

2. Kumbs Ph. 1970, Crisis of education in the modern world: system analysis, trans. from English, M., "Progress", p. 293.

3. Asatiani R.- Stages of World Economic Development and Economic Policy of Georgia, Georgian Academy of Economic Sciences, Scientific works 11, Tbilisi, 2013, p. 133.

4. Sartania V.- Education Reform and Its Consequences in Georgia, Georgian Academy of Economic Sciences, scientific works 11, Tbilisi, 2013, p. 459.

5. Statistical Yearbook of Georgia, Tbilisi, 2000, p. 87; Statistical Yearbook of Georgia, Tbilisi, 2018, p. 68.

6. Murray C., Lopez A. and Alvarado M., 2013. "The State of US Health, 1990-2000: Burden of diseases, Injuries and Risk Factors". The journal of the American Medical association 310(6): 591-606.

7. Calculated according to UN data: Human Development Report , M., 2012, p. 141-147; 176-179.

8. Social-economic development strategy of Georgia - "Georgia - 2020", "Government of Georgia", Tbilisi, 2013, p. 59-67.

INEQUALITY IN INCOMES AS A BASIS OF LACK ACCESS FOR QUALITATIVE EDUCATION AND MEDICAL SERVICES

Giorgi Jvaridze, Doctoral Student
of Samtskhe-Javakheti State University

RESUME

In the article - "Inequality in Incomes as a Basis of Lack Access for Qualitative Education and Medical Services" - it is discussed the reasons for the rise of the education crisis in the world in the 70s, low results in the education system in Georgia, reduction of the number of pupils compared to previous years, etc. In 1999-2000, 714, 4 thousand pupils were studying in a secondary schools of Georgia and in 2017-2018 only 575, 1 thousand. Education does not have access not only for the Georgian population, but moreover, for the Subsahari, the Asian and Latin American population. There are four classes (and lower ones) educated people there and the weight of them is too big.

The same situation is in healthcare. Inequality in Medical Healthcare has a wide scale in poor countries. There are more children's and women's mortality there, higher than in rich countries. Georgia is a poor country and the situation is the same in real, but the statistics office of Georgia does not publish this information in public as regarding the poor and rich people. But the fact that in 2000 the mortality rate for every 1,000 people in Georgia was 9, 8 units in 2000, and in 2017 - 12, 8 units means that access to qualitative medical services has not been reduced but increased.

The article ends with a summary conclusion in which the author encourages the authorities to take care of the reduction of inequalities in the population.

Key words: Inequality, Education, Revenues, Medical Service.

კორონავირუსის პანდემიის გავლენის თავისებურებები ქვეყნის ეკონომიკებზე

თამარ დუდაური
ეკონომიკის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნინო სამჭკუაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს
ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

კორონავირუსის ეპიდემიამ წარმოშვა ქაოსი და გაურკვევლობა მსოფლიოს მრავალი ეკონომიკის მუშაობაში. ყველა თანხმდება იმაზე, რომ 2020 წლის ბოლომდე მსოფლიო ეკონომიკაში გამეფებული იქნება გლობალური რეცესია, ხოლო განვითარებულ და წამყვან განვითარებად ეკონომიკებში ვარდნას ადგილი ექნება რეკორდული მოცულობით. იმის წინასწარ განსაზღვრა, თუ როგორი იქნება ამ ვარდნის მოცულობები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლებელია მრავალი დაუზუსტებელი ფაქტორის გამო.

საკვანძო სიტყვები: კორონა ვირუსი, პანდემია, ეკონომიკური ვარდნა, გლობალური რეცესია, უმუშევრობა, სუბსიდია.

შესავალი

მსოფლიოში ქვეყნების მთავრობების უმრავლესობა ეძებენ ბალანს ადამიანთა სიცოცხლისა და ეკონომიკის გადარჩენას შორის. ყველაზე გავრცელებული შეფასებებით 2020 წელს სხვადასხვა ქვეყანაში მშპ-ის ვარდნა იქნება 6%-ნან 15%-ს შორის. პოსტვირუსული კრიზისის და ციფრული დიქტატურისაგან თავის დაღწევა შესაძლებელი იქნება მომსახურების ეკონომიკიდან რეალური სექტორის განვითარებაზე სწრაფი

გადასვლის შემთხვევაში.[1]

პანდემიის მიერ ჩამოყალიბებული სამყარო ხასიათდება დისტანციური განათლებით, ონლაინ-გაყიდვებით, დისტანციურად მუშაობით და „მოთხოვნილების კარანტინით", რაც წარმოადგენს ახალი კაპიტალიზმის სოლიდარობის ფორმას. თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ტრენდ-პროგნოზისტის და fashion-ანალიტიკოსის ლიდევიუ ედელკორდის (Lidewij Edelkoort) აზრით COVID-19-მა გამოინვია „მოთხოვნილების კარანტინი", რომელსაც ექნება ღრმა კულტურული და ეკონომიკური შედეგი. მაგრამ მათ შეუძლიათ გამოიწვიონ ისევე დადებითი ცვლილებები, როგორებიცაა: გარემოს დაბინძურების დონის შემცირება, ლოკალური წარმოებისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნა, ახალი პროდუქტების შექმნის ინოვაციური მეთოდების განვითარება და გლობალური ღირებულებების გადახედვა.[2]

უფრო ნაკლები პროგნოზებია იმის შესახებ თუ რა მდგომარეობაში გამოვა მსოფლიო ეკონომიკა გლობალური პანდემიიდან. ანალიტიკოსები კარგ შედეგებს არ ელოდებიან. ერთი თვე კარანტინი განვითარებულ ქვეყნებში იწვევს კვარტალური მშპ-ის მეოთხედის დანაკარგს. ნათელია, რომ სახელმწიფოები გააზრებულად წირავენ ეკონომიკურ ზრდას ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად. მაგრამ საკარანტინო ღონისძიებებსაც აქვთ საზღვარი, როცა დაიწყებენ ჩამოშლას ეროვნული მეურნეობები და შიმშილით დაღუპულთა რიცხვი გადააჭარბებს ვირუსით დაღუპულებს. ამ ორ უკიდურესობას შორის ბალანსის მოძებნას ცდილობს სახელმწიფოთა ხელისუფლებები მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ძირითადი ტექსტი

პანდემიის გამოყენება ციფრული დიქტატურის გასატესტად ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა, მაგრამ არ არსებობს იმის ეჭვი, რომ ჩვენ მოწმენი ვართ ძველი სამყაროს, პირადი უფლებების საზღვრების და სახელმწიფოსათვის დასაშვები ქმედებების საზღვრების დანგრევისა. პანდემიის შემდეგ ჩვენ მივიღებთ ეკო-

ნომიკურ კრიზისს, უმუშევრობის ზრდას, მოსახლეობის ფენებს შორის უთანაბრობის გაძლიერებას და პრეტენზიებს ხელისუფლებების მუშაობის ეფექტიანობისადმი.

ისე, როგორც მსოფლიომ თავი ვერ აარიდა კორონავირუსის გავრცელებას, ასევე გარდაუვალია გლობალური რეცესია - ეკონომიკური ვარდნა, რომელიც გამოწვეულია 2020 წელს, პირველ რიგში, სწორედ SARS-CoV-2-ის გავრცელებასთან გლობალური ბრძოლით. ეჭვი იმაზე, რომ გლობალურ ეკონომიკას ელოდება მნიშვნელოვანი ვარდნა, წამყვან ფინანსურ ანალიტიკურ ინსტიტუტებს არ გააჩნიათ. მიმდინარე პერიოდის ყოველ თვეს ხდება ევროკავშირის ეკონომიკის შემცირება დაახლოებით სამი პროცენტით, ამის შესახებ განაცხადა მსოფლიო სავალუტო ფონდის ევროპის განყოფილების დირექტორმა პაულ ტომსენმა (Paul Thomsen).[3]

2020 წლის 23 ივლის ბლოკჩეინ-გადაწყვეტილების პროვაიდერებს შორის მსოფლიო ლიდერმა კომპანია Accenture-მა განაცხადა, რომ გადახედა ტექნოლოგიების განვითარების ტრენდებს 2020 წელს პანდემიასთან და გლობალურ კრიზისთან დაკავშირებით. ადამიანთა ცხოვრებაში ხდება უპრეცედენტო ცვლილებები და ისინი გავლენას ახდენენ უკლებლივ ყველა დარგსა და სფეროზე. კომპანიის ანალიტიკოსებმა გამოიკვლიეს, თუ რომელი ტრენდები მოახდენენ გავლენას ადამიანებზე და ბიზნესზე პოსტპანდემიურ ეპოქაში. კომპანიის ინფორმაციით პანდემიამ შეცვალა დამოკიდებულება მომხმარებლების ციფრული გამოცდილების როლსა და მნიშვნელობაზე, რის დასაბუთებისათვის საკმარისია განვიხილოთ ელექტრონული კომერციის მოცულობის ზრდა მთელს მსოფლიოში. მაგალითად, 2020 წლის აპრილში კომპანია Visa-ს ინფორმაციით აშშ-ში ონლაინ გაყიდვები გაიზარდა 18%-ით, ასევე მისი ინფორმაციით 13 მილიონმა ლათინური ამერიკის მცხოვრებლებმა, რომლებსაც ჰქონდათ Visa ბარათები პირველად განახორციელეს ონლაინ ოპერაციები 2020 წლის პირველ კვარტალში.[4]

ასეთი ცვლილებები მნიშვნელოვანია როგორც პლატფორმისათვის, ასევე პერსონიზირებული კონტენტისთვის. მაგრამ,

კლიენტის მოზიდვის გამოცდილების ტრადიციული პერსონალიზაცია ეფუძნება ისტორიულ მონაცემებს, რაც ნაკლებად რელევანტურია 2020 წლის ივლისის შემდგომი პერიოდისათვის, როცა ადამიანთა ცხოვრების წესი, ჩვევები და უპირატესობები რადიკალურად შეიცვალა. ამ შემთხვევაში აუცილებელია მომხმარებელთა მოზიდვის უფრო მოქნილი სტრატეგიის შემუშავება.

მომხმარებლების მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაციისა და მონაცემების სწრაფი განახლების პროცესი, ასევე იმ ინფორმაციის დროულად ამოღება, რაც უკვე არ არის აქტუალური. თუ კომპანია შესთავაზებს მომხმარებლებს ციფრული მართვის გამოცდილების შესაძლებლობას, ეს უზრუნველყოფს სურვილებისა და მოთხოვნილებების შესახებ ინფორმაციის სწრაფ მიღებას. პანდემიამდე კომპანია Accenture-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ აშშ-ის ორგანიზაციების 73% პილოტურ რეჟიმში ნერგავდნენ ხელოვნურ ინტელექტს თავის ერთ ან რამდენიმე ბიზნეს-ქვეგანყოფილებაში. იგი 2020 წლის ივლისის შემდგომი პერიოდისათვის უნდა გახდეს კრიტიკულად პრიორიტეტული მიმართულება - მისი უპირატესობები აქამდე არ გამოიყურებოდნენ ასე პერსპექტიულად. ყოველივე ეს გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას მსოფლიო მასშტაბით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტების მიერ გაკეთებული დასკვნის მიხედვით ყველაზე მეტად კრიზისით, რომელიც გამოწვეულია კორონავირუსის პანდემიით დაზარალდებიან მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, სოფლის მეურნეობის მუშაკები, თვითდასაქმებულები, შრომითი მიგრანტები და ლტოლვილები. პანდემიის გამო 2020 წლის მეორე კვარტალში სამუშაო დაკარგა 195 მილიონზე მეტმა ადამიანმა აღნიშნულია გაერთიანებული ერების მოხსენებაში. მასში ექსპერტების კვლევებზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ კრიზისმა გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკის რეცესია უმუშევრობისა და სიღარიბის ისტორიულად მაღალი დონით.[5}

მარტო აშშ-ში აპრილის ბოლოსათვის ხელისუფლების მიერ

დაწესებული შეზღუდვების შემდეგ სამუშაო დაკარგა 30,2 მილიონმა ადამიანმა, რთულ მდგომარეობაშია მცირე და საშუალო ბიზნესი. მათ უმეტესობას არა აქვს მუშაობის გაგრძელების სახსრები. ანალოგიური მდგომარეობაა მსოფლიო მასშტაბით ყველა ქვეყანაში. ფუნქციონირება შეაჩერა ეკონომიკის ბერმა სფერომ, რომლებსაც მნიშვნელოვანი წილი შეჰქონდათ ქვეყნების ბიუჯეტში.

ასეთ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფოთა მშპ-ი საგრძნობლად მცირდება, მკვეთრად იზრდება უმუშევრობა, ფუნქციონირებას აჩერებს რიგი ეკონომიკის მიმართულებები, მთავრობები გამოყოფენ სუბსიდიებს თავიანთი მოქალაქეებისა და ბიზნესის მხარდასაჭერად. ქვემოთ მოყვანილია დიაგრამა, რომელზეც ასახულია მსოფლიო სავალუტო ფონდის მონაცემებზე დაყრდნობით აგებული ხელისუფლებების მიერ კორონავირუსის წინააღმდეგ კომპლექსურ ღონისძიებებზე და ეკონომიკურ პროგრამებზე გამოყოფილი თანხების მიხედვით ქვეყნების ტოპ-10-ული. (იხ. დიაგრამა 1).



დიაგრამა 1. ქვეყნების ტოპ 10-ული ბიუჯეტიდან ეკონომიკისა და მოქალაქეების მხარდაჭერაზე გამოყოფილი თანხების მიხედვით (მილიარდი აშშ დოლარებში)[6]

როგორც დიაგრამაზე ნათლად ჩანს ამ მხრივ წამყვანი პოზიცია უკავია აშშ-ს. სადაც კორონავირუსის მიერ გამოწვეული შედეგების დაძლევისათვის, ეკონომიკურ პროგრამებზე გამოყოფილია 2.3 ტრილიონი დოლარი, შემდეგ მოდის გერმანია 189.3 მილიარდი დოლარით, ხოლო მესამე პოზიცია უკავია ჩინეთს 168.7 მილიარდი დოლარით. ამ პროგრამებს შორის მნიშვნელოვანია სუბსიდიები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რათა მათ არ გაათავისუფლონ თანამშრომლები და გადაუხადონ შრომის ანაზღაურება, ასევე დახმარება ფინანსური სექტორისადმი, მათი გამართული მუშაობის შესანარჩუნებლად და სხვა.

ანალოგიურად რთული მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში, მთავრობის მიერ შემოღებულმა შეზღუდვებმა, კორონავირუსის გავრცელების შესამცირებლად გამოიწვია ეკონომიკური ზრდის შემცირება. ფაქტიურად შეწყდა უცხოური ტურიზმი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით 2020 წლის 7 თვის განმავლობაში საქართველოში უცხოური ვიზიტორების რაოდენობა შემცირდა 69.9%-ით. თუ 2019 წლის შვიდი თვის განმავლობაში საქართველოში შემოვიდა 4 961 918 უცხოელი ვიზიტორი, 2020 წლის ამავე პერიოდში მან შეადგინა 1 495 743 ვიზიტორი, საიდანაც 1 333 079 მოდის 2020 წლის პირველ სამ თვეზე (იანვარ-მარტზე) (იხ. დიაგრამა 2). ხოლო საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების მიზნით, საქსტატმა უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკური გამოკვლევის საველე სამუშაოები დროებით შეაჩერა.[7] ტურიზმის მოცულობის შემცირებამ, გამოიწვია ეკონომიკის ისეთი მიმართულებების შემცირება, როგორებიცაა: საფინანსო, გართობისა და დასვენების სფეროები. მნიშვნელოვნად შემცირდა სასტუმრო სფეროს მუშაობის მოცულობები დიდ ქალაქებში. სასტუმროები, რომლებიც ძირითადად ემსახურებოდნენ უცხოელებს დაკეტილია, მხოლოდ საკურორტო ზონებში მუშაობენ სასტუმროები დაბალი დატვირთვით და ემსახურებიან შიდა ტურიზმს.



	ტურიზმი II კვ. (ვიზიტორების რაოდ. მილ. კაცი)	უმუშევრობა (ათასი კაცი)	პუი (მილ. აშშ.$) I კვ.	ექსპორტი (მილ. აშშ.$) II კვ.	იმპორტი (მილ. აშშ.$) II კვ.
2019	4961.9	221	313.7	2113.5	5201.5
2020	1333.1	236.9	171.8	1758.5	4272.1

დიაგრამა 2. ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელთა გაუარესება გამოიწვია COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა.

წყარო: დიაგრამა შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით. [7,8]

როგორც დიაგრამიდან ჩანს საქართველოში უმუშევრობა 2019 წელთან შედარებით გაზრდილია 15.9 ათასი კაცით, ანუ 0.7%-ით. რაც დამეთანხმებით, რომ საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებთან მიმართებაში. მაგრამ აქ არ არის გათვალისწინებული ის თვითდასაქმებულები, რომლებიც ემსახურებოდნენ ტურიზმის სფეროს. ასევე მნიშვნელოვანია 2020 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება წინა წლის ამავე პერიოდთან მიმართებაში 141.9 მილიონი აშშ დოლარით, ანუ 45.3%-თ. საქართველოში პირველი ორი კვარტლის მონაცემებით შემცირებულია როგორც ექსპორტი ასევე იმპორტი.

მნიშვნელოვნად გართულებულია საქართველოში სოციალ-

ური მდგომარეობა, გაძნელებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაცია, გაიზარდა ფაქტობრივი უმუშევრობა, პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მცირე და საშუალო ბიზნეს. გარკვეულწილად დაზარალდა ქვეყნის საფინანსო სექტორიც, ლარის კურსმა თავის ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით კლება შეინიშნება ქვეყნის ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში, 2020 წლის ექვსი თვის მონაცემით საქართველოს ეკონომიკა წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით 5,5%-ით შემცირდა. ყოველივე ეს კი უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის განსაკუთრებით დაბალ და საშუალო ფენაზე. საქართველოს ხელისუფლება ყველა ღონეს მიმართავს მოსახლეობის დასახმარებლად. მისი ძალისხმევით მოზიდულ იქნა დამატებითი სახსრები მსოფლიო ბანკიდან და სავალუტო ფონდიდან, ასევე სხვადასხვა მეგობარი ქვეყნიდან. მოხდა მოსახლეობისათვის ზამთრის პერიოდში კომუნალური გადასახადების დაფარვა, დაზარალებულ მოსახლეობას მისცეს ფულადი კომპენსაცია, ასევე ბავშვებს 200 ლარიანი დახმარება და სხვა. გადავადებულ იქნა პროცენტები კრედიტებზე, ხდება მოსახლეობის დახმარება მოწეული სოფლის მეურნეობის პროდუქციის საზღვარგარეთ რეალიზაციაში. აღნიშნული და სხვა ღონისძიებები საშუალებას აძლევს საქართველოს გამოვიდეს შექმნილი რთული მდგომარეობიდან და დაძლიოს მსოფლიო პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი.

დასკვნა

ამრიგად, კორონავირუსის პანდემიამ და საკარანტინო ღონისძიებებმა, რომელიც მიმართულნი არიან მის შეკავებაზე მოახდინეს მკვეთრი და მასშტაბური შოკური ზემოქმედება მსოფლიოს და მათ შორის საქართველოს ეკონომიკაზე. როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც ხდება პანდემიის პირობებთან ადაპტაცია. სრული იზოლაციის ღონისძიებებმა შესძლეს შეემცირებინათ და მინიმუმამდე დაეყვანათ ინფექციის

გავრცელება. მაგრამ თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის შემდგომი განვითარება დამოკიდებული იქნება იმაზე თუ რამდენად შესძლებს ქვეყანა პანდემიის პირობებში ეკონომიკის მართვას და განვითარებას. ჩვენი აზრით, ამ მიმართებით, პირველ რიგში, აუცილებელია არსებული საწარმოო სიმძლავრეების შენარჩუნება და ბიზნესის მხარდაჭერა. უნდა განისაზღვროს ახალი პრიორიტეტები ციფრულ ეკონომიკის განვითარების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკაში ახალი შესაძლებლობების წარმოშობას და სახელმწიფოს გამართულ ფუნქციონირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Word Bank Group. Global Economic Prospects. Flagship Report. June 2020. https://www.worldbank.org/en/publication/global-economic-prospects
2. Blur. Карантин потребления: Ли Эделькорт прокомментировала влияние эпидемии коронавируса на fashion-индустрию. https://ru-blur-fashion.com/liedelkoortaboutcoronavirus
3. Thomsen P. Transcript of April 2020 European Department Press Briefing. April 15, 2020. https://www.imf.org/en/News/Articles/2020/04/15/tr041520-transcript-of-april-2020-european-department-press-briefing
4. Accenture. Technology Vision 2020. We, The Post-Digital People: Can your enterprise survive the 'tech-clash? Report. https://www.accenture.com/us-en/insights/technology/_acnmedia/Thought-Leadership-Assets/PDF-2/Accenture-Technology-Vision-2020-Full-Report.pdf
5. United Nations. A UN framework for the immediate socio-economic response to COVID-19. April 2020. https://www.un.org/sites/un2.un.org/files/un_framework_report_on_covid-19.pdf
6. Howmuch. Visualizing Coronavirus Stimulus Programs

Around the World. https://howmuch-net.myshopify.com/products/worlds-economic-programs-against-the-coronavirus?variant=33486471528587

7. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. სტატისტიკა. https://gnta.ge/ge/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90/

8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო. სტატისტიკური ინფორმაცია. 2020. https://www.geostat.ge/ka#

REFERENCES

1. Word Bank Group. Global Economic Prospects. Flagship Report. June 2020. https://www.worldbank.org/en/publication/global-economic-prospects

2. Blur. Consumption quarantine: Lee Edelcourt commented on the impact of the coronavirus epidemic on the fashion industry. https://ru-blur-fashion.com/liedelkoortaboutcoronavirus **(In Russian Language).**

3. Thomsen P. Transcript of April 2020 European Department Press Briefing. April 15, 2020. https://www.imf.org/en/News/Articles/2020/04/15/tr041520-transcript-of-april-2020-european-department-press-briefing

4. Accenture. Technology Vision 2020. We, The Post-Digital People: Can your enterprise survive the 'tech-clash? Report. https://www.accenture.com/us-en/insights/technology/_acnmedia/Thought-Leadership-Assets/PDF-2/Accenture-Technology-Vision-2020-Full-Report.pdf

5. United Nations. A UN framework for the immediate socio-economic response to COVID-19. April 2020. https://www.un.org/sites/un2.un.org/files/un_framework_report_on_covid-19.pdf

6. Howmuch. Visualizing Coronavirus Stimulus Programs Around the World. https://howmuch-net.myshopify.com/prod-

ucts/worlds-economic-programs-against-the-coronavirus?variant=33486471528587

7. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. National Tourism Administration. Statistics. https://gnta.ge/ge/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90/ **(In Georgian Language)**

8. Georgian National Agency of Statistics. Statistical information. 2020. https://www.geostat.ge/ka# **(In Georgian Language)**

PECULIARITIES OF THE IMPACT OF THE CORONAVIRUS PANDEMIC ON THE ECONOMIES OF THE COUNTRY

Tamar Dudauri
Doctor of Economics, Associate Professor
of Caucasus International University
Nino Samchkuashvili
Doctor of Economics, Associate Professor
of Georgian National University

RESUME

The coronavirus epidemic has created chaos and uncertainty in the workings of many of the world's economies. Everyone agrees that a global recession will reign in the world economy by the end of 2020, while a decline in developed and leading emerging economies will take place at record levels. Predicting what the volumes of this drop will be in each case is impossible due to many unspecified factors.

Key Words: Corona virus, pandemic, economic downturn, global recession, unemployment, subsidy.

ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინდექსის მნიშვნელობა საქართველოში

სალომე დანელია
თსუ დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ამოცანა პოსტინდუსტრიული ინფორმაციული ეპოქისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური ზრდის პრინციპულად ახალი ფაქტორების მაქსიმალურად გამოყენებაა. ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასვლის აუცილებლობა მოითხოვს სამეურნეო სუბიექტების ინოვაციური საქმიანობის გააქტიურებას, საწარმოს დონეზე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების საინვესტიციო და სხვა პირობებს, რაც აუცილებლად შექმნის ეროვნული მეურნეობის რეორგანიზაციის შესაძლებლობას და მეცნიერებატევადი წარმოების საფუძველზე საქართველოს ტრადიციულად მზარდი ჩამორჩენის დაძლევის შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ინოვაციური პოლიტიკა, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა.

ძირითადი ტექსტი

პოსტინდუსტრიული განვითარება გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა, რაც ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებას მოითხოვს. გლობალიზაციის ეპოქაში ცოდნის ეკონომიკას აუცილებელია დაემატოს გლობალური რაკურსის მქონე განზომილებები, კერძოდ კი, რესურსულ-ტექნოლოგიური, ინფორმაციული, კომუნიკაციური და ინსტიტუციური სტრუქტურები.[1]

პოსტინდუსტრიული თეორიის მიხედვით, ეკონომიკის ძირითად რესურსად ინფორმაცია, ცოდნა, წარმოების ავტომა-

1 გ. ბედიანაშვილი: „ცოდნის ეკონომიკის ფორმირება და ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა: ინსტიტუციური ასპექტი“

ტიზაცია და მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების გამოყენებაა მიჩნეული. მასში ძირითადი აქცენტი ცოდნის ეკონომიკის ფორმირებაზეა მიმართული, რომლის განვითარების მთავარ ფაქტორს ადამიანისეული კაპიტალი წარმოადგენს. აღნიშნული ვლინდება იმით, რომ პოსტინდუსტრიულ საზოგადოების ბირთვად ცოდნის ეკონომიკა, განვითარების მთავარი ფაქტორად - ადამიანისეული კაპიტალი, ცოდნის აქტიური გენერირების, თავმოყრის და ათვისების ადგილად კი - უნივერსიტეტები წარმოგვიდგება.

ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკის ფარგლებში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ინსტიტუციური კომპონენტის ფორმირებას, წარმოების მოდერნიზაციას, საწარმოო პროცესების ურთიერთშესაბამისობასა და სინქრონიზაციას.

KE ინდექსი („ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინდექსი“) საქართველოს ინოვაციური პოტენციალის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ინდექსია, რომლითაც ფასდება ქვეყანაში განათლების, ინოვაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კუთხით არსებული მდგომარეობა. აღნიშნული ინდექსით ფასდება ასევე, ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაში ცოდნის გამოყენების ხარისხიც.

„ცოდნის ეკონომიკა“ (KE) ეკონომიკური განვითარების კონცეფციაა, რომელშიც ინოვაცია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა განაპირობებს წარმოების პროდუქტიულობის ზრდას. აღნიშნული კონცეფცია შემუშავებულია EBRD (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) მიერ და მასში გამოკვეთილია ახალი კომპონენტები, როგორიცაა ინტერნეტი, დიგიტალიზაცია და ციფრული ეკონომიკა, რომელიც ცოდნის ეკონომიკის ჩამოყალიბების ძირითადი ელემენტია. მთავარი საკვანძო კომპონენტების გამოვლენა ხელს შეუწყობს ცოდნის ეკონომიკის განვითარებას და უზრუნველყოფს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას გრძელვადიან პერიოდში.

„ცოდნის ეკონომიკა“ (KE) ინდექსი მოიცავს 4 ძირითად მაჩვენებელს: 1. ინოვაციური ინსტიტუტების ფორმირებას; 2. ინოვაციის უნარს; 3. ინოვაციური სისტემების შექმნას; 4. ICT

(საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექოლოგია) ინფრასტ-რუქტურის ფორმირებას.

ცხრილი 1: EBRD-ის მიერ შემუშავებული „ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინდექსის" სტრუქტურა

კომპონენტი	ინოვაციური ინსტიტუტები	ინოვაციის შექმნის უნარი	ინოვაციური სისტემა	ICT (საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) ინფრასტრუქტურა
პარამეტრი	ეკონომიკის ღიაობა; ბიზნეს გარემო; მთავრობა	ზოგადი უნარები; სპეციალიზაცია	დანახარჯები ინოვაციაზე; შედეგები; სისტემასთან კავშირი	ICT ხელმისაწვდომობა; ICT სიზუსტე

წყარო:

https://www.ebrd.com/news/2019/estonia-slovenia-and-lithuania-lead-new-ebrd-knowledge-economy-index.html

ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინდექსის სტრუქტუ-რის განხილვა ცხადყოფს, რომ: თითოეული კომპონენტი და მათი პარამეტრები:

1. ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებაზე შესაბამისი ინსტი-ტუციები გავლენას ახდენენ ფორმალურად და არაფორმალურად. ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციური ეკონომიკის განვითარება დამოკიდებულია სახელმწიფოს ინსტიტუციურ განვითარებაზე. საკუთრების უფლება, სასამართლო სისტემა, კანონის უზენაე-სობა, სამთავრობო ეკონომიკური პოლიტიკა ის მთავარი ელემე-ნტებია, რომელის საფუძველზე კერძო სექტორს შეუძლია მაღალი ხარისხის პროდუქციის შექმნა. აღსანიშნავია ისიც, რომ ინსტიტუ-ციურ კომპონენტში გამოიყოფა სამი ძირითადი პარამეტრი: ეკო-ნომიკის ღიაობა, ბიზნეს გარემო და მთავრობა;

2. ინოვაციის შექმნის უნარი - გამოსახავს დასაქმებული ადა-მიანის შესაძლებლობებს და კერძო კომპანიების მიერ ცოდნის ტრანსფერს, ორი ძირითადი პარამეტრის მიხედვით: პირველი - საშუალო განათლება, რაც ნებისმიერი ეკონომიკური საქმია-

ნობის წინაპირობაა, მეორე - სპეციალიზებული უნარები, რომელიც გულისხმობს ტექნიკურ განათლებას, რამდენად მნიშვნელოვან ღირებულ აქტივობას ქმნის;

3.ინოვაციების სისტემა გვიჩვენებს, რომ ცოდნის ეკონომიკა დიდწილად ინოვაციების მთავარ მოთამაშეებზე, მათ რესურსებზე და ურთიერთქმედებებზეა დამოკიდებული. იგი მოიცავს სამ პარამეტრს: 1.ინოვაციების სისტემაში დანერგვა (მაგალითად, კვლევისა და განვითარებაზე (R&D) გაწეული ხარჯები), 2. ინოვაციების სისტემის შედეგები (პატენტები) და 3. კავშირები ინოვაციურ სისტემასთან (მაგალითად, სამეცნიერო თანამშრომლობა, სარისკო (ვენჩურული) კაპიტალი და ღირებულებათა ჯაჭვი);

4.ICT (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგია) ინფრასტრუქტურა. ნებისმიერი ცოდნის ეკონომიკის მთავარი ფუნდამენტი ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) ინფრასტრუქტურით და მისი გამოყენების მასშტაბებით განისაზღვრება, რაც ცოდნის ეფექტურ გაცვლას ემყარება. ფართოზოლოვანი სიჩქარე და შეღწევა დადებით გავლენას ახდენს პროდუქტიულობის ზრდაზე, რადგან ინოვაციური საწარმოები უფრო სწრაფ და დახვეწილ ICT ინფრასტრუქტურის სრულყოფას მუდმივად მოითხოვს. აღნიშნული ორი განზომილებით გამოიხატება: ICT - ხელმისაწვდომობა და ICT - სიზუსტე.

KE ინდექსის ზემოთ აღნიშნული ოთხი კომპონენტი იყოფა 10 პარამეტრად და 38 კომპონენტად.

ინდექსის თითოეული კომპონენტი 1-დან 10 ქულამდე განისაზღვრება, სადაც მნიშვნელობებით 1 ქულა არის მინიმალური თეორიული (ყველაზე ცუდი) და 10 ქულა –მაქსიმალური თეორიული (საუკეთესო). KE - ცოდნის ეკონომიკის ინდექსის მიხედვით, გამოიყოფა ქვეყნის შეფასების სამი დონე: სუსტი, საშუალო და ძლიერი.

განვიხილოთ 2019 წლის EBRD ცოდნის ეკონომიკის ინდექსები საქართველოს შესახებ, მათ შორის განსაზღვრულია 2011 წლიდან 2018 წლის ჩათვლით აღნიშნული ინდექსის ცვლილებების დინამიკა.

ცხრილი 2. საქართველოს შედეგები 2018 წელს. 2011-2018 წლებს შორის განსხვავება KE მაჩვენებელი ყველა პარამეტრისა და კომპონენტის გათვალისწინებით

ინდიკატორი	ქულა_2018	ქულა_2011	განსხვავება_18-11
ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინდექსი	4.969453	3.736792	1.232661
კომპონენტი 1: ინსტიტუციები ინოვაციისთვის	6.560366	5.919784	0.6405821
კომპონენტი 2: ინოვაციისთვის შესაძლებლობები	5.399568	4.705836	0.6937313
კომპონენტი 3: ინოვაციური სისტემა	2.708178	2.512309	0.1958687
კომპონენტი 4: ICT ინფრასტრუქტურა	5.209702	1.809238	3.400463
პარამეტრი 1: ღიაობა	6.101531	6.077699	0.0238323
პარამეტრი 2: ბიზნესი	6.858299	5.817226	1.041073
პარამეტრი 3: მთავრობა	6.721267	5.864426	0.8568411
პარამეტრი 4: ზოგადი უნარები	7.117646	5.827186	1.29046
პარამეტრი 5: სპეციალიზაცია	3.681489	3.584487	0.0970016
პარამეტრი 6: დანახარჯები ინოვაციაზე	2.981049	3.147276	-0.1662269
პარამეტრი 7: ინოვაციის შედეგები	1.64282	1.59404	0.04878
პარამეტრი 8: კავშირი	3.500664	2.79561	0.7050531
პარამეტრი 9: ICT ხელმისაწვდომობა	5.314409	1.645087	3.669322
პარამეტრი 10: ICT ხარჯსტი	5.104993	1.973389	3.131604
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (% მშპ სამუალო ცვლილება)	3.554696	3.234276	0.3204203
ტარიფის განაკვეთი (სამუალო შეწონილი)	9.764831	9.885593	-0.1207628
ვაჭრობა საზღვრების გარეთ	8.4187	8.4952	-0.0764999
საერთაშორისო მიგრანტები (% მოსახლეობა)	2.667898	2.695725	-0.0278265
ბიზნესის კეთების სიმარტივე	8.888888	7.706896	1.181992
კორუფციის აღქმის ინდექსი	5.875	5.375	0.5
კანონის უზენაესობა	5.81101	4.369782	1.441228
მთავრობის ეფექტურობა	6.277391	5.772102	0.5052896
ხარისხის მარეგულირებელი	7.975955	7.042755	0.9332004
პოლიტიკური სტაბილურობა	5.910455	4.778421	1.132034
საშუალო სკოლის ჩარიცხვის დონე (% მრუტო)	5.954325	3.857139	2.097186
სწავლის საშუალო ასაკი	8.280968	7.797233	0.4837346
ტოპ მენეჯერების მრავალწლიანი გამოცდილება	2.233491	5.366037	-3.132545
არაფორმალური სწავლების მიმწოდებელი ფირმების პროცენტული წილი	1.813028	2.271071	-0.4580437
საშუალო ჩარიცხვის განაკვეთები (% მრუტო)	4.61092	2.745793	1.865127
ტექნიკური სამუშაოები R&D (მლნ ადამიანზე)	1.528973	2.656854	-1.127881
მათემატიკის და სამეცნიერო განათლების ხარისხი	3.840997	3.624871	0.2161257
განათლების სისტემის ხარისხი	3.275259	2.999457	0.2758026
არაკვალიფიცირებული თანამშრომლების პროპორცია ფირმებში	8.467752	5.427326	3.040425
მთლიანი ხარჯები R&D (% მშპ)	1.745434	1.414065	0.331369
ბიზნესის მიერ R&D გაწეული ხარჯი (% total R&D)	4.183851	4.498068	-0.3142176
R&D -ზე დაკავებული ფირმების წილი	1.867073	3.330842	-1.463769
მკვლევრები R&D (მილიონ კაცზე)	2.489902	3.681059	-1.191158
ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა	4.618987	2.812346	1.806641
პატენტის განაცხადი (1000 კაცზე)	1.1016	1.184261	-0.0826613
ფირმის წილი, რომელიც ახალ პროდუქტს წარმოადგენენ	2.136	2.136	0
IP გადასახადი (საშუალო ცვლილება)	1.692688	1.693959	-0.001271
სამეცნიერო და ტექნიკურ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია (1000 კაცზე)	1.640992	1.36194	0.279052
კავშირი უნივერსიტეტისა და ინდუსტრიის	2.830847	2.295473	0.5353734
ვენჩურული კაპიტალის ხელმისაწვდომობა	3.713677	2.291264	1.422413
ფირმების წილი, რომლებიც უცხოურ ლიცენზირებულ ტექნოლოგიებს იყენებენ	4.13181	4.13181	0
ფირმების ტექნოლოგიური ათვისების დონე	2.895686	2.756901	0.1387849
ღირებულების ჯაჭვის მაშტაბი	3.931298	2.502603	1.428694
ფიქსირებული ფართოზოლოვანი გამოწერები (100 მოსახლეზე)	4.697197	1.905047	2.79215
ექტიური მობილური ფართოზოლოვანი გამოწერები (100 მოსახლეზე)	5.931622	1.385128	4.546494
ელექტრონული მონაწილეობის (E-participate) ინდექსი	6.03388	1.51426	4.51962
ონლაინ მომსახურების ინდექსი	6.643217	3.029338	3.613878
საერთაშორისო ინტერნეტის სიჩქარე ყოველ ინტერნეტ მომხმარებლზე(ბიტი/წ)	2.637883	1.37657	1.261313

წყარო: https://www.ebrd.com/news/2019/estonia-slovenia-and-lithuania-lead-new-ebrd-knowledge-economy-index.html[1]

1 ცხრილი შექმნილია ავტორის მიერ წყაროზე დაყრდნობით https://www.ebrd.com/news/2019/estonia-slovenia-and-lithuania-lead-new-ebrd-knowledge-economy-index.html

მე-2 ცხრილში გაანალიზებულია KE ინდექსის განმსაზღვრელი 38-ვე ინდიკატორი, 10 პარამეტრი და ოთხი კომპონენტი. თითოეული ინდიკატორის, კომპონენტისა და პარამეტრის ცვლილება ზრდადობის ან შემცირების მიმართულებით გამოსახულია ისრით, ასევე გამოკვეთილია 2011-2018 წლებში გამოვლენილი ცვლილებები როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მიმართულებით.

ცხრილი 2-ში გაანალიზებულია კომპონენტებისა და პარამეტრების ქულები 1-10 შუალედით. კომპონენტებიდან 2018 წელს ზრდადი მაჩვენებელი იკვეთება მეორე კომპონენტში ინსტიტუციურ ნაწილში, რომელიც ეკონომიკურ ღიაობას, ბიზნეს გარემოსა და საკანონმდებლო ბაზას გამოსახავს, ხოლო ყველაზე მცირე ქულა ვლინდება მესამე კომპონენტში ,,ინოვაციური სისტემა'', რომელიც გამოსახავს საშუალო უმაღლესში ჩარიცხვის დონის საშუალო მაჩვენებელს პროცენტულად, საშუალო განათლების დონეს, არაფორმალურ სწავლებას. რაც შეეხება 2011 წლიდან 2018 წლამდე არსებულ განსხვავებას,. როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, პოზიტიური ცვლილებები გამოვლინდა მხოლოდ ICT (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) ინფრასტრუქტურაში. 2011 წლიდან 2018 წლამდე არსებული კომპონენტი 3.4 ერთეულით გაიზარდა, ცალკეული ინდიკატორებით, რომ განვიხილოთ აქტიური მობილური ფართოზოლიანი გამოწერები (100) მოსახლეზე, ელექტრონული მონაწილეობის ინდექსი (E-participate) და ონლაინ მომსახურების ინდექსი 4 ათეული ნიშნულით მინიჭებული აქვს -შეიცვალა დადებითისკენ. 2011-დან 2018 წლის მანძილზე არასასურველი ტენდენცია გამოიკვეთა ინოვაციურ კვლევაზე და განვითარებაზე გაწეული დანახარჯების შემცირებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ბიზნესის მიერ R&D-ზე გაწეული ხარჯები, არაფორმალური სწავლების მიმწოდებელი ფირმების პროცენტული წილი, მკვლევარები (მილიონ კაცზე), პატენტების განაცხადი (1000 კაცზე).

ცხრილი 3[1]. საქართველოს და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შედარება KE ინდექსის ოთხივე კომპონენტის მიხედვით

ქვეყანა	ქულა (1-10)	ადგილი EBRD- ის ეკონომიკური მაჩვენებლით განსაზღვრული	კომპონენტის ქულა 1-10			
			ინსტიტუციები ინოვაციისთვის	ინოვაციის შესაძლებლობები	ინოვაციური სისტემა	ICT ინფრასტრუქტურა
ბელარუსია	5.21	11	5.5	6.05	3.27	6.01
საქართველო	4.97	16	6.56	5.4	2.71	5.21
აზერბაიჯანი	4.56	20	4.62	4.9	3.68	5.06
სომხეთი	4.51	21	5.44	5.24	3.12	4.24
მოლდოვა	4.33	26	5.03	4.57	2.77	4.95
უკრაინა	4.29	27	4.33	5.44	2.84	4.56

წყარო:
https://www.ebrd.com/news/2019/estonia-slovenia-and-lithuania-lead-new-ebrd-knowledge-economy-index.html

ცხრილი 3-ში შედარებულია საქართველოს KE მაჩვენებლის კომპონენტები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნის კომპონენტებთან. უპირველესად აღსანიშნავია EBRD-ის ეკონომიკური მაჩვენებლით განსაზღვრული 38 ქვეყნის კომპონენტები, რომელშიც საქართველო 16-ე ადგილს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში კი - რიგით მეორე ადგილს იკავებს. პირველ ადგილზეა ბელორუსია, ხოლო ბოლო ადგილს უკრაინა იკავებს. საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ლიდერობს პირველ კომპონენტში - ინსტიტუციების ნაწილში, მეორე კომპონენტში - „ინოვაციის შესაძლებლობები", წარმოდგენილ ქვეყნებს ბელორუსია უსწრებს, მესამე კომპონენტში - „ინოვაციური სისტემის ფორმირება", აზერბაიჯანია მოწინავე ქვეყანა, ხოლო მეოთხე კომპონენტში ICT -ინფრასტრუქტურის ფორმირება, კვლავ ბელორუსია გამოირჩევა მაღალი მაჩვენებელით.

1 ცხრილი შექმნილია ავტორის მიერ წყაროზე დაყრდნობით https://www.ebrd.com/news/2019/estonia-slovenia-and-lithuania-lead-new-ebrd-knowledge-economy-index.html

ცხრილი 4[1]: საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შედარება KE ინდექსის I პარამეტრის შესაბამის კომპონენტებზე



	ბელარუსია	საქართველო	აზერბაიჯანი	სომხეთი	მოლდოვა	უკრაინა
ეკონომიკის ღიაობა	6,7	6,1	4,9	5,9	4,6	3,3
ბიზნეს გარემო	5,1	6,9	4,2	5,1	4,9	5,7
მთავრობა (კანონის უზენაესობა, პოლიტიკური სტაბილურობა)	4,8	5,3	4,7	5,3	5,5	6,7

წყარო:
https://www.ebrd.com/news/2019/estonia-slovenia-and-lithuania-lead-new-ebrd-knowledge-economy-index.html

ცხრილი 4 -ის მიხედვით თითოეული პარამეტრი განხილულია ჩაშლილად კომპონენტების მიხედვით. პირველი პარამეტრი - ინსტიტუციები ინოვაციისთვის, რომელიც მოიცავს ეკონომიკის ღიაობას, ბიზნეს გარემოს, კანონის უზენაესობასა და პოლიტიკურ სტაბილურობას, ცხრილში კვლავ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მონაცემებია განხილული, რომელიც შედარებულია საქართველოს მონაცემებთან. ეკონომიკის ღიაობის მიმართულებით უპირატესობას ბელორუსია უმაღლესი 10 ქულიდან 6.7 ქულას ფლობს , მეორე ადგილზე 6.1 ქულით - საქართველოა. შემდეგ მოდის სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა და ბოლო ადგილს კი უკრაინა იკავებს.

1 ცხრილი შექმნილია ავტორის მიერ წყაროზე დაყრდნობით https://www.ebrd.com/news/2019/estonia-slovenia-and-lithuania-lead-new-ebrd-knowledge-economy-index.html

ცხრილი 5[1]: საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შედარება KE ინდექსის II პარამეტრის შესაბამის კომპონენტებზე



წყარო:
https://www.ebrd.com/news/2019/estonia-slovenia-and-lithuania-lead-new-ebrd-knowledge-economy-index.html

ცხრილი 5-ში გაანალიზებულია მეორე პარამეტრი - ინოვაციის შესაძლებლობები, რომელიც მოიცავს ზოგად საგანმანათლებლო შესაძლებლობებსა და სპეციალიზებულ უნარებს, რომელშიც არაფორმალური სწავლება იგულისხმება. აღსანიშნავია, რომ ზოგადი უნარების მიხედვით, საქართველო - 7.1 ქულით მოწინავეა ცხრილში მოცემულ სხვა დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით, სპეციალიზებული უნარის განვითარების მხრივ კი - ბელარუსიას ენიჭება ყველაზე მაღალი - 6.9 ქულა. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ორივე კომპონენტში უკრაინას აქვს. ზოგადი ინოვაციური შესაძლებლობების უნარის მხრივ, დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს მაღალი მაჩვენებელი ენიჭება, ხოლო სპეციალიზებული უნარების მხრივ ბელორუსია ლიდერობს.

1 ცხრილი შექმნილია ავტორის მიერ წყაროზე დაყრდნობით https://www.ebrd.com/news/2019/estonia-slovenia-and-lithuania-lead-new-ebrd-knowledge-economy-index.html

ცხრილი 6[1]: საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შედარება KE ინდექსის III პარამეტრის შესაბამის კომპონენტებზე



	ბელარუსია	საქართველო	აზერბაიჯანი	ხომხეთი	მოლდოვა	უკრაინა
დანახარჯები ინოვაციაზე	4,0	3,0	3,5	3,4	2,3	3,4
ინოვაციის შედეგები	2,4	1,6	1,2	1,8	3,1	3,7
სისტემასთან კავშირი	3,4	3,5	6,4	4,2	4,5	5,4

წყარო:
https://www.ebrd.com/news/2019/estonia-slovenia-and-lithuania-lead-new-ebrd-knowledge-economy-index.html

ცხრილი 6-ში გაანალიზებულია მესამე პარამეტრი - ინოვაციის სისტემები, რომელიც მოიცავს ინოვაციებზე დანახარჯებს, სისტემასთან შესაბამისობასა და გამოწვეულ შედეგებს. აღნიშნული მაჩვენებელი მოიცავს კვლევასა და განვითარებაზე (R&D) გაწეულ ხარჯებს, ინოვაციების სისტემის შედეგებს (პატენტზე განაცხადი და სამეცნიერო თანამშრომლობა). ცხრილის ანალიზადან იკვეთება, რომ მოცემულ ქვეყნებთან შედრებით, ბელორუსიას ინოვაციაზე გაწეული ხარჯების მხრივ (4 ქულა) ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს კვლევა და განვითრებაზე (R&D), ყველაზე დაბალი კი - მოლდოვას (2.3 ქულა). ინოვაციის შედეგების, კერძოდ, პატენტების განაცხადების კუთხით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი უკრაინას (3.7 ქულა), ხოლო დაბალი - აზერბაიჯანს აქვს. სისტემასთან შესაბამისობის მხრივ აზერბაიჯანი მოწინავეა (6.4 ქულით), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ბელორუსიაში გამოვლინდა (3.4 ქულა).

1 ცხრილი შექმნილია ავტორის მიერ წყაროზე დაყრდნობით https://www.ebrd.com/news/2019/estonia-slovenia-and-lithuania-lead-new-ebrd-knowledge-economy-index.html

ცხრილი 7[1]: საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შედარება KE ინდექსის IV პარამეტრის შესაბამის კომპონენტებზე



	ბელარუსია	საქართველო	აზერბაიჯანი	სომხეთი	მოლდოვა	უკრაინა
ICT შესაძლებლობები	3,27	2,71	3,68	3,12	2,77	2,84
ICT სიზუსტე	6,01	5,21	5,06	4,24	4,95	4,56

ICT შესაძლებლობები ICT სიზუსტე

წყარო:

https://www.ebrd.com/news/2019/estonia-slovenia-and-lithuania-lead-new- ebrd-knowledge-economy-index.html

ცხრილი 7-ში გაანალიზებულია მეოთხე პარამეტრი - ICT (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგია) ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს ორ კომპონეტს ICT შესაძლებლობები და ICT სიზუსტე, რომელიც განსაზღვრავს კომპანიების მიერ ტექნოლოგიური სიახლეების ათვისების დონეს, ფიქსირებულ ფართოზოლოვან აბონენტებს (100 მოსახლეზე), უკაბელო ფართოზოლოვან კავშირს (100 მოსახლეზე), ონალინ მომსახურების ინდექსს, ინტერნეტ სიჩქარეს ყოველ ინტერნეტ მომხმარებელზე (ბიწ/წმ) და სხვ. ცხრილის ანალიზადან ჩანს, რომ აზებაიჯანს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ICT შესაძლებლობების კუთხით (3.68 ქულა), საქართველოს ანალოგიური მაჩვენებელი - 2.71 ქულით განისაზღვრა. ICT სიზუსტის მხრივ, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ბელორუსიას აქვს 6.01 ქულა, მას მოჰყვება საქართველო (5.21 ქულით) და ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს სომხეთს (4.24 ქულა).

1 ცხრილი შექმნილი ავტორის მიერ წყაროზე დაყრდნობით https://www.ebrd.com/news/2019/estonia-slovenia-and-lithuania-lead-new-ebrd-knowledge-economy-index.html

KE „ცოდნის ეკონომიკის ინდექსის" პარამეტრების ცვლილების უკეთ გასარკვევად საქართველო შედარებულია კვლავ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსია, მოლდოვეთი და უკრაინა) KE ინდექსის თითოეულ პარამეტრით.

დასკვნა

სტატიიდან KE (ცოდნის ინდექსი) მიხედვით საქართველოს მაჩვენებლების ზრდა შესამჩნევია და ნათლად იკვეთება ბევრ კომპონენტში საქართველოს უპირატესობა. 2018 წელს ზრდადი მაჩვენებელი ინსტიტუციურ ნაწილში, ხოლო მცირე ქულა „ინოვაციური სისტემის" კომპონენტზე გამოვლინდა, რომელიც მოიცავს საშუალო განათლების დონეს, არაფორმალურ სწავლებას და კვლევა და განვითარებაზე გაწეულ დანახარჯებს. რაც შეეხება 2011 წლიდან 2018 წლამდე არსებულ განსხვავებას, ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებლით ცვლილება დადებითი მიმართულებით გამოიკვეთა მხოლოდ ICT (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგია) ინფრასტრუქტურაში. საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ასევე მოწინავეა პირველ კომპონენტში ინსტიტუციების ნაწილში, მეორე კომპონენტში „ინოვაციის შესაძლებლობები" წარმოდგენილ ქვეყნებს უსწრებს ბელორუსია, მესამე კომპონენტში „ინოვაციური სისტემის ფორმირება" - აზერბაიჯანი, მეოთხე კომპონენტში ICT ინფრასტრუქტურის ფორმირება კვლავ ბელორუსია გვევლინება. ICT ინფრასტრუქტურის ფორმირებაში დიდი წვლილი მიუძღვის, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერის ფარგლებში და რომლის მიზანია ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის გაფართოება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების პოტენციალის განვითარება ეკონომიკური ზრდის, მეტი სამუშაო ადგილის შექმნის, ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესების და ბიზნესის დახმარების მიზნით. ამ ინიციატივის საშუალებით ევროკავშირი ხელს უწყობს მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი სტრატეგიების გავრცელებას ეკონომიკის

განვითარებისთვის და ელექტრონული სერვისების ფართოდ დასანერგად, კიბერ-უსაფრთხოების კოორდინირებას და ციფრული ჩარჩოს ჰარმონიზაციას საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში.[1]

თანამედროვე საზოგადოებაში ციფრული ეკონომიკა უმნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, შემთხვევით არ არის, რომ ევროკავშირისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხათ გვევლინება. საქართველოს ლიდერობა აღმოსავლეთ პარტნიორობის დანარჩენ ქვეყნებს შორის ICT ინფრასტრუქტურის ფორმირების მხრივ, განაპირობა ინსტიტუციურმა ფაქტორებმა და ბიზნეს გარემომ, რომლის კოლაბორაცია ქმნის ჰარმონიზაციას ციფრულ ინდუსტრიაში. მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD)-ის მიერ საქართველოსთვის მომზადებულ სტრატეგიაშიც[2], საქართველო განხილულია დაბალი ინოვაციური კულტურის მქონე ქვეყნად. დოკუმენტის მიხედვით, საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეები ფულად სახსრებს ნაკლებად აბანდებენ კვლევასა და განვითარებაში, რაც ინოვაციების წარმოქმნის ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. საქართველოს ჯერ კიდევ დაბალი ქულები ენიჭება კვლევა და განვითრების კომპონენტში, რომელიც „ცოდნის ეკონომიკის“ ჩამოყალიბების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია საჯარო, კერძო და სამეცნიერო სექტორის თანამშრომლობის გააქტიურება არსებული პრობლემების გამოვლენის და მათ გადასაჭრელად გასატარებელ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

1 https://eufordigital.eu/geo/discover-eu/the-eu4digital-initiative/

2 Recommendations for Georgia's SME Development Strategy 2016-2020 - http://www.oecd.org/eurasia/competitiveness-programme/eastern-partners/Recommendations_for_Georgia_SME_strategy.pdf

REFERENCE:

1. Abesadze, R. (2014). Innovation – Main Factor of Economic Development - The main factor of economic development Collection of International Scientific-Practical Conference Materials, Current Issues of Economic and Economic Science Development, Tbilisi TSU Paata Gugushvili Publishing of economic institute.

2. Allen, D. & Potts, J. (2016). How innovation commons contribute to discovering and developing new technologies, International Journal of the Commons, Vol. 10, No. 2.

3. Bart Nooteboom and Erik Stam ,,INNOVATION, THE ECONOMY, AND POLICY'' Amsterdam University Press. 2008;

4. Bedianashvili G. (2017)"Knowledge Economy Formation and Innovative Entrepreneurship Policy: An Institutional Aspect" Journal Globalization and business #3.

5. Bakhtadze L. Danelia S. (2017) Globalization and Modern Problems of Country Development http://www.worldbizins.org/img/1499747797.pdf

6. Gaganidze, G. (2016). Export potential and competitive advantage. BESSH, V 77(6), p.12, ISBN:978- 969-670-178-1.

7. Vashadze, T. (2015). Intellectual Property Commercialization Center - Leap in Economic Development;

8. Papava V. (2019) High-tech in the post-communist countries of the European Union;

9. P. A. Geroski and C. F. Walters ,, Innovative Activity over the Business Cycle'', The Economic Journal, Vol. 105, No. 431 (Jul., 1995), pp. 916-928;

10. Darcy W.E. Allen and Jason Potts ,, How innovation commons contribute to discovering and developing new technologies'', International Journal of the Commons, Vol. 10, No. 2 (2016), pp. 1035-1054

11. Porter M., Bjnd G., 1999. Innovative Capacity and Prosperity the Next Competitivenes Challenge in the Glabal Competition Venes Report. N.Y. p.12

12. https://www.ebrd.com/news/publications/brochures/ebrd-knowledge-economy-index.html

13. Recommendations for Georgia's SME Development Strategy 2016-2020 http://www.oecd.org/eurasia/competitiveness-programme/eastern-partners/Recommendations_for_Georgia_SME_strategy.pdf, 2016;

14. Silagadze, A. (2013). Modern Economic Aspects of Georgia. J. Business-Injectioning. №4. "GTU". Tbilisi.

15. Shengelia T. (2012) Modernization and the society. Tbilisi, Universal. P. 236.

THE IMPORTANCE OF KE (KNOWLEDGE ECONOMY) INDEX IN GEORGIA

Salome Danelia,
PhD student of TSU

RESUME

The main task of Georgia's socio-economic development is to make the most of the fundamentally new factors of economic growth characteristic of the post-industrial information age. The need to move to an innovative path of economic development requires the activation of innovative activities of economic entities, investment in the relevant scientific and technical development at the enterprise level and other conditions, which will inevitably create the possibility of reorganizing the national economy and overcoming Georgia's traditionally growing backwardness.

Key Words: Innovation, innovative policy, knowledge economy.

ეკონომიკური კრიზისი, როგორც განვითარების ინსტრუმენტი

მაია ჩინჩალაძე,
ნინო დარსაველიძე,
ლელა ბოჭოიძე,
სტუ ასოცირებული
პროფესორები

რეზიუმე

2020 წელს, საქართველოს ეკონომიკაზე, ერთდროულად, ძლიერი გავლენა იქონია, ორმა უარყოფითმა მოვლენამ, რომლებიც საგარეო ფაქტორებით იყო გამოწვეული - ახალი კორონავირუსული ინფექციის - COVID-19 ის პანდემიამ და ასევე პანდემიით გამოწვეულმა, გლობალურმა კრიზისმა. შედეგად, კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ქვეყნის მსხვილი და მცირე ბიზნესი. ეკონომიკური კრიზისი, რომლის პროგნოზირებაც შეუძლებელია და რომელმაც, სრულიად მოულოდნელად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჩიხში მოაქცია მსოფლიო, რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, ახალ შესაძლებლობებს შექმნის სახელმწიფოებისათვის. ანტიკრიზისული სახელმწიფო პროგრამის შემუშავება კი ხელს შეუწყობს, მათ განხორციელებას.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური კრიზისი, ფისკალური პოლიტიკა, მონეტარული პოლიტიკა, ანტიკრიზისული სახელმწიფო გეგმა, შრომის ბაზარი, გლობალური პანდემია. COVID -19.

შესავალი

დღეს, კრიზისში და სტაბილურობის მოლოდინში იმყოფება, მსოფლიო ეკონომიკა. მიუხედავად იმისა რომ, კრიზისი, ეკონომიკისთვის, ნორმალური მოვლენაა, მას ახასიათებს, გარკვეული სიხშირით, განმეორებადობა.

1990-იანი, 2008 წლის, 2014 წლის კრიზისებმა, დიდი ხანია ჩაიარეს და თავისი კვალი დატოვეს, მსოფლიო ეკონომიკაზე.

მაგრამ, წინ კიდევ სხვა, ახალი, ეკონომიკური კრიზისია მოსალოდნელი და თუ ადრე, კრიზისები, ფინანსურ ხასიათს ატარებდნენ, 2020 წლის კრიზისის მსგავსად, შესაძლოა, ახალი კრიზისები მომავალში, უფო ღრმა აღმოჩნდეს, რადგან, დღეს უკვე ცნობილია, რომ საფრთხე, არამარტო ეკონომიკას, არამედ კაცობრიობის სიცოცხლესაც შეიძლება დაემუქროს.

1929-33 წ.წ.-ში დიდი დეპრესიის შემდგომ, მსგავსი კრიზისის განმეორების პროგნოზს, ვერავინ გააკეთებდა. ცხადია, 2020 წლის კრიზისმა, თავისი მასშტაბებით, მოლოდინსაც გადააჭარბა, როდესაც ადამიანის ჯანმრთელობას მიაყენა ზიანი.

კორონავირუსის გამო, კრიზისი შეეხო ეკონომიკის და ბიზნესის ყველა სფეროს - მათ შორის, განსაკუთრებით, გართობის ინდუსტრიას, ტრანსპორტს, სასტუმრო ბიზნესს და საცალო ვაჭრობას. ძალზედ მტკივნეულად აისახა იგი - დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკებზე.

პანდემიის გავრცელების საწყის ეტაპზე, მსოფლიო ეკონომიკა, მოუმზადებელი აღმოჩნდა, უკონტროლო, არაპროგნოზირებადი ქაოსის საწინააღმდეგო, სწრაფად აღმკვეთი ღონისძიებების არქონის გამო. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ გლობალური პანდემიისას, შრომის ბაზარი, როგორც ყველაზე სუსტი სეგმენტი, მყისიერად რეაგირებს კრიზისზე. შრომის ბაზარზე, სტრუქტურული უმუშევრობა კი - აუარესებს და ამწვავებს კრიზისს. დღეს უკვე ნათელია - შრომის ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები, გამოიწვევს, ძველი პროფესიების გაქრობას და ამავდროულად, საფუძველი ეყრება, ახალი პროფესიების გაჩენას.

პენსიონერები, რომლებიც, განსაკუთრებულ, რისკის ზონაში მოხვდნენ, შეიძლება, განდევნონ, შრომის ბაზრიდან, ისინი ვერ გაუწევენ კონკურენციას ახალგაზრდებს, რომლებიც საუკეთესოდ ფლობენ ახალ ტექნოლოგიებს და უცხო ენებს. ვინაიდან, დისტანციური სამუშაო, რომელიც ერთადერთი უსაფრთხო გზა არის სოციალური დისტანცირებისას, მოითხოვს, თანამედროვე ცოდნას და უნარებს. ხოლო, ინფორმაციული ტექნოლოგიის სფეროში, ახალგაზრდებისადმი, შრომის ბაზარზე, მეტი

მოთხოვნაა. მთავრობის მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმა კი, ამ საკითხს, პენსიების ინდექსაციის წესის შემოღებით დააბალანსებს.

დღეს, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, წინაშე, დგას ახალი გამოწვევები[1]: მონაცემთა ბანკის ორგანიზება, უმუშევართა, შემდგომი დასაქმების მიზნით; სპეციალისტების - განათლების, ტრენინგის, გადამზადების - უახლესი პროგრამების, შემუშავების აუცილებლობა; აქტიური, ფისკალური, მონეტარული პოლიტიკის, შემუშავებისა და გატარების აუცილებლობა; ეკონომიკის მთლიანი ხარჯვის მოცულობისა და ინფლაციის მოლოდინებზე ზემოქმედება, საპროცენტო განაკვეთებით - ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელზე, დაბრუნება; შრომის დაცვის ზომების გაძლიერების აუცილებლობა; ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობების მოძიება.

დაბალი, სტაბილური ინფლაცია, ხელს უწყობს, დასაქმებას და ეკონომიკურ ზრდას და კიდევ უფრო, მნიშვნელოვანი ხდება, ისეთი გამოწვევის დროს - როგორიცაა, მიმდინარე პანდემია.

ვირუსის შეკავების მიზნით, კომპანიებისათვის, დაწესებულმა რეგულაციებმა, სხვადასხვა პროდუქტის და მომსახურეობის ხარჯები გაზარდა. ამ მიზეზით, გაიზარდა სამომხმარებლო ფასები, ამ ტენდენციის აღმოსაფხვრელად, 2020 წ. აგვისტოში, საქართველოს მთავრობამ, საპროცენტო განაკვეთი, ისევ, 0,25 % პუნქტით შეამცირა - და 8 %-მდე დაიყვანა[1], რაც ეკონომიკას გაჯანსაღებაში დაეხმარება და 2021 წლის დასაწყისისთვის, საპროცენტო განაკვეთის, კიდევ მეტად შემცირება, გახდება შესაძლებელი და ფასების საერთო დონის ზრდაც, საშუალოვადიან პერიოდში, 3%-იან მაჩვენებელს უნდა დაუბრუნდეს.

კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგების ასახვა საქართველოს ეკონომიკაზე 2020 წლის თებერვლიდან დაიწყო და უკვე მეორე კვარტალში, გლობალური მასშტაბით, მძიმე რეცესიაში გადაიზარდა, რამაც გამოიწვია მონეტარული პოლიტიკის, შედარებით, გამკაცრება მოკლევადიან პერიოდში[2].

1 **https://stopcov.ge/ka/Gegma**

დასკვნა

კორონავირუსი მსოფლიო ეკონომიკას რეცესიამდე მიიყვანს. ამ ბრძოლაში გამარჯვებულები იქნებიან ქვეყნები, რომელთა მთავრობები ეფექტიანად ეფექტურად, საზრიანად მოახდენენ ადაპტირებას ამ რეალობასთან და კრიზისს - შესაძლებლობად აქცევენ. ეს გახდის ქვეყანას ძლიერ მოთამაშედ, მსოფლიო ასპარეზზე.

გამოიკვეთება, უამრავი, უნიკალური შესაძლებლობა, ახალი ინვესტორების მოსაზიდად, მეტი ინვესტიცია ჩაიდება, IT-ტექნოლოგიებსა და ხელოვნურ ინტელექტში, სამედიცინო აპარატურაში, ჯანდაცვაში, ბიოტექნოლოგიაში და სოფლის მეურნეობაში, ხოლო ვიდეოკონფერენციები და ონლაინ სწავლება ხელს შეუწყობს კადრების მომზადებას და გამოცდილების ფართოდ გაზიარებას.

სამთავრობო რეგულაციები უზრუნველყოფს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ვინაიდან გაზრდის ექსპორტს, წაახალისებს გლობალურ და რეგიონულ მოთამაშეებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1.საერთაშორისო სავალუტო ფონდის „მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა“ აპრილი 2020“ (WEO April 2020)

2.საქართველოს ეროვნული ბანკი, მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, აგვისტო 2020.

3.წლიური მაკროეკონომიკური პროგნოზები - ივნისი, 2020.

4.http://pbo.parliament.ge/ge/mcp20/item/592-2020.

5.http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/2020_biujetis_caedgena_2.pdf.

6.http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/

https://stopcov.ge/ka/Gegma.

7.https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/04/14/weo-april-2020.

REFERENCES:

1.International Monetary Fund "World Economic Review", April 2020 " (WEO April 2020).

2.National Bank of Georgia Monetary Policy Report, August 2020.

3.Annual Macroeconomic Forecasts - June 2020.

4.http://pbo.parliament.ge/ge/mcp20/item/592-2020.

5.http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/2020_biujetis_caedgena_2.pdf.

6.http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/

https://stopcov.ge/ka/Gegma.

7.https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/04/14/weo-april-2020.

ECONOMIC CRISIS AS A TOOL FOR DEVELOPMENT

Maia Chinchaladze, GTU Associate Professor,
Nino Darsavelidze, GTU Associate Professor,
Lela Bochoidze, GTU Associate Professor

RESUME

In 2020 Georgian economy have been strongly affected by two negative events which were caused by external factors- the pandemic of a new coronavirus infection "COVID-19", as well as the global crisis caused by the pandemic. The country's large and small business have founded themselves in the state of crisis. The Economic Crisis which was impossible to predict and which brought the world to a standstill, it's no matter how paradoxical it may sounds, but it will create new opportunities not only for us but also for all countries in the world.

Key Words: Economic crisis, fiscal policy, monetary policy, anti-crisis state plan, labor market, global pandemic COVID -19.

სამეწარმეო განათლების ამაღლება მოსახლეობაში ეკონომიკური უთანასწორობის შემცირების ერთ-ერთი გზაა

გიორგი ჯვარიძე
ახალციხის სასწავლო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

მოცემულია მსჯელობა ზოგადად საქართველოში, მ.შ. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებულ სიღარიბეზე, შემოსავლების განაწილების კატასტროფულ უთანასწორობაზე, რასაც ჯინის კოეფიციენტი ასახავს და მისი შემცირების ერთ-ერთ აქტიურ გზად მიჩნეულია მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ნიჭიერი, უნარიანი ახალგაზრდების ამორჩევა და ბიზნეს-ინკუბატორებში მათთვის მეწარმული განათლების მიცემა.

ეს შეთავაზება მიცემული აქვს სამცხე-ჯავახეთის ექვს მუნიციპალიტეტს - ადიგენს, ბორჯომს, ასპინძას, ახალქალაქს, ახალციხეს და ნინოწმინდას - რომელთაც ეს სამუშაო უნდა განახორციელონ და ხარჯებიც მუნიციპალური ბიუჯეტიდან უნდა დაფარონ.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უთანასწორობა; სიღარიბე; მეწარმული განათლება; ბიზნეს-ინკუბატორი.

შესავალი

საქართველოში, მ.შ. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, დღეს არსებული ყველაზე დიდი პრობლემაა უმუშევრობის და სიღარიბის დაძლევა. უმუშევრობა წმინდა ეკონომიკური დანაკარგების გარდა, იწვევს მწვავე სოციალურ და ფსიქოლოგიურ დაძაბულობას ქვეყანაში, რაც ხშირად სოციალურ აფეთქებაში გადადის. სპეციალისტები წერენ, და, ჩვენც ვეთანხმებით მათ, რომ "ყვე-

ლაზე სწრაფი გზა ამ პრობლემის გადაჭრისა, არის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება" [1, გვ. 26]. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ბიზნესის განვითარებას სათანადო ბიზნესცოდნა (იგივე მეწარმული ცოდნა) სჭირდება. არა აქვს მნიშვნელობა ფიზიკური პირი თვითონ დაიწყებს ბიზნესს (თუნდაც მცირე ბიზნესს), თუ სხვის ბიზნესში ჩაერთვება დაქირავებული პირის სტატუსით, მას ბიზნესში შესაბამისი ცოდნა უნდა ჰქონდეს. ქართველი მეცნიერების თ. გამსახურდიას და თ. ფესტვენიძეს აზრით, საქართველოში "ადამიანებმა კარგად ვერ გაითვალისწინეს საბაზრო ეკონომიკის სირთულე და ბიზნესისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები [2, გვ. 162]. 2015 წელს ჩატარებულმა შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტების კვლევამ გამოავლინა სამუშაო ძალის პრობლემები. ძირითადად, ეს არის არსებული სამუშაო ძალის არასაკმარისი უნარები და დაბალი კვალიფიკაცია [3, გვ. 17].

ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას მოსახლეობის მონყვლად და დაბალკონკურენტუნარიან ჯგუფებში. საქმე ის არის, რომ საქართველოს შეძლებულ და მდიდარ ოჯახების შვილებისთვის კარგი განათლების მისაღებად მონადინებაც აქვთ და ფინანსური შესაძლებლობაც, ღარიბ ოჯახებში კი მხოლოდ მონადინება არსებობს და მეტი არაფერი. ჩვენი აზრით, ამ სფეროში სახელმწიფომ უნდა თქვას თავისი სიტყვა და ეს უნდა მოხდეს არა მხოლოდ დეკლარირების დონეზე (გრძელვადიან განვითარების სტრატეგიაში მისი დაფიქსირებით), არამედ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმით.

სამწუხაროდ, დღეის მდგომარეობით ამ საკითხში საქართველოს მთავრობის მხრიდან მართლაც ქმედითი, პრაქტიკული ნაბიჯები არ გადადგმულა.

1. მეწარმული განათლების ამაღლება სამცხე-ჯავახეთის სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში და ამ გზით რეგიონში ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება.

საქართველოში შემოსავლების განაწილების უთანასწორობა, ანუ ჯინის კოეფიციენტი რომ არ მცირდება, ამის მიზეზი არის ღარიბების კიდევ უფრო გაღარიბება, მდიდრების კი -

უფრო გამდიდრება. საქართველოში მდიდართა შემოსავალი 17-ჯერ აღემატება ღარიბთა შემოსავალს [4, გვ. 7]. ასეთივე მდგომარეობაა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ქვეყნის მთავრობას, რეგიონებში კი - რეგიონების ადგილობრივ ხელისუფალთ, ევალებათ მოსახლეობის გაღარიბების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნების გამოცდილებაზე დაყდრნობით, რომელთაც ეს გზა დიდი ხნის წინ გაიარეს. ქართველი მეცნიერები საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს ასეთ რჩევას აძლევენ: "განსაკუთრებით ნიჭიერი, მაღალი აკადემიური შედეგების მქონე სოციალურად დაუცველ სტუდენტთა სწავლების საფასურის ნაწილობრივი ან სრული დაფინანსების გამჭვირვალე, სამართლიანი მექანიზმების დანერგვა უნდა გახდეს საუნივერსიტეტო ბიუჯეტირების ერთ-ერთი პრიორიტეტი" [5, გვ. 11-12]. მაშასადამე, მეცნიერები სთხოვენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს, თვითონ დაფარონ ღარიბი ოჯახებიდან გამოსული ნიჭიერი სტუდენტების სწავლის გადასახადი.

ჩვენი აზრით, ამ სიახლეს ალბათ, გამოეხმაურებიან მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტები, და, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნიევრსიტეტში დაიწყო მისი დანერგვა. კერძო უნივერსიტეტებში მისი დანერგვის იმედი ნაკლებად უნდა გვქონდეს, რადგან ისინი მოგებაზე ორიენტირებული სტრუქტურები არიან და მოგებას არ შეიმცირებენ. უფრო მისაღებად მიგვაჩნია საქართველოს რეგიონულმა მართვის ორგანოებმა (მერიები, მუნიციპალიტეტები), მ.შ. სამცხე-ჯავახეთის რეგიონმა, ადგილზე დაიწყოს სოციალურად დაუცველი ოჯახების შესწავლა და ამ ოჯახებიდან ნიჭიერი, უნარიანი ახალგაზრდების ამორჩევა, იქვე გახსნილ ბიზნეს-ინკუბატორებში მოუწყოს ამ ახალგაზრების ბიზნეს-სწავლება, ხოლო სწავლების კურსის დამთავრების შემდეგ გაუხსნას მათ ფირმები საკუთარი ჩართულებით და საკუთარი დაფინანსებით. ჩვენი ეს წინადადება ეხმაურება ამ სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებასაც და ქართველი მეცნიერის პროფესორ ვ. ანთიას შეთავაზებასაც,

რომ სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან გამოსული უნარიანი, ნიჭიერი სტუდენტები თვით უნივერსიტეტებმა დააფინანსონ. ამ შეთავაზებებით კეთდება ორი დიდი საქმე. პირველი ის, რომ ინვესტიცია ჩაიდება ადამიანურ კაპიტალში და მეორე ის, რომ სათანადო განათლების მიღებით ეს ახალგაზრდები დასაქმდებიან, ექნებათ შემოსავალი, რაც თანდათან შეამცირებს მათი ოჯახების სიღარიბეს და ეკონომიკურ უთანასწორობასაც ქვეყანაში.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ექვს მუნიციპალიტეტში - ახალციხის, ადიგენის, ახალქალაქის, ასპინძის, ნინოწმინდის და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში ჩვენი წინადადების განხორციელების მიზნით ჩვენ მათთვის შევიმუშავეთ ღარიბი მოსახლეობის ბიზნეს-სწავლების ჩარჩო-მოდელი. მოდელი 10 ღარიბ ახალგაზრდაზეა შედგენილი, რომლებიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯზე ნახევარი წლიწადი ისწავლიან ბიზნეს-ინკუბატორში, ხოლო შემდეგ, დააფუძნებენ ფირმებს და ერთი წლის განმავლობაში კვლავაც მუნიციპალიტეტის დაფინანსებით იმუშავებენ. ამის შემდეგ, ისინი სტოვებენ ბიზნეს-ინკუბატორს, დამოუკიდებლად აგრძელებენ მუშაობას, ხოლო მათ ადგილს იკავებენ ახლები.

კვლევის პროცესში დაგვჭირდა და გამოვთვალეთ ერთი ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნების და მასში ღარიბი ოჯახებიდან შერჩეული 10 მოსწავლე-კანდიდატის სწავლების და მათ სახელზე გახსნილ მცირე საწარმოთა ამუშავების ხარჯები.

ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნების ხარჯებმა შეადგინა:

➢ საჭირო ფართობის დაქირავების წლიური ხარჯი - 2700 აშშ დოლარი;

➢ ბიზნეს-ინკუბატორის თანამშრომელთა ხელფასის ფონდი - 75582 აშშ დოლარი.

➢ ბიზნეს-ინკუბატორისთვის საჭირო მოწყობილობის და საოფისე ავეჯის შესყიდვის ხარჯი - 15950 აშშ დოლარი;

➢ სხვა ხარჯები (კომუნალური და ა. შ.) - 4000 აშშ დოლარი.

სულ ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნების ხარჯები - 100230 აშშ დოლარი

ბიზნეს-ინკუბატორში სწავლების ხარჯებმა შეადგინა:

➢ შენობის დაქირავება და სასწავლო მოწყობილობის შეძენა - 2480 აშშ დოლარი;

➢ პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასი - 9000 აშშ დოლარი.

სულ სწავლების ხარჯები - 11480 აშშ დოლარი

10 მცირე საწარმოს დაფუძნება-ამუშავების წლიურმა ხარჯებმა შეადგინა:

➢ ფართობების დაქირავების ხარჯი - 10800 აშშ დოლარი;

➢ საოფისე მოწყობილობის და ავეჯის შესყიდვის ხარჯი - 40000 აშშ დოლარი;

➢ დასაქმებულთა ხელფასის ფონდი - 117120 აშშ დოლარი

სულ კომპანიების ფუნქციონირების ხარჯები - 167920 აშშ დოლარი

ამრიგად, ჩვენი გაანგარიშებით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ერთი ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნება და მასში ღარიბი ოჯახიდან გამოსული 10 ნიჭიერი (უნარიანი) ახალგაზრდის ნახევარი წლით სწავლება, ხოლო ერთი წლით ბიზნესის წარმოება და გამოცდილების მიღება, რეგიონის მმართველ ორგანოებს სავარაუდოთ დაუჯდებათ 279,570 დოლარი, ანუ ერთ საწარმოზე ანგარიშით 27,957 დოლარი. ერთი მცირე საწარმოს ასამოქმედებლად რეგიონის ბიუჯეტიდან 27,957 დოლარის ხარჯი, ჩვენი აზრით, არ არის საგანგაშო თანხა.

აქვე დავამატებთ იმასაც, რომ თუ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებს თავის საკუთრებაში აქვთ გამოყენებული (დაუტვირთავი) ფართობები, მაშინ, მათ აღარ დასჭირდებათ შენობების დაქირავება და ამით ინკუბატორის მოწყობის ხარჯები მნიშვნელოვნად შეუმცირდებათ.

თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ ბიზნეს-ინკუბატორებში ბიზნესის სწავლების მოწყობით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა - პოლონეთმა, ჩეხეთმა და სხვებმა, რომლებიც თავიდან ჩვენნაირ მდგომარეობაში იყვნენ, მასიურად დაასაქმეს ღარიბები მცირე ბიზნესში. მათ ეს სწორედ ასეთი გზით განახორციელეს, რომელსაც ჩვენ სამცხე-ჯავახეთის რეგიონს ვთავაზობთ. ამ

სოციალური სიკეთის გარდა, რასაც ასეთი ბიზნეს-ინკუბატორები მოუტანენ რეგიონს, ბიუჯეტიდან გაღებული ამ თანხების ნაწილი საშემოსავლო გადასახადის სახით უკანვე დაუბრუნდება ბიუჯეტს.

ნაშრომში ჩვენს მიერ წარმოდგენილ ჰიპოთეტურ ბიზნეს-ინკუბატორიდან და ათივე ამოქმედებული საწარმოდან პირველივე წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი საშემოსავლო გადასახადის სახით უკან იბრუნებს 14820 + 19200 = 34020 აშშ დოლარს. ეს გაგრძელდება შემდეგ წლებშიც. თუ ამ კომპანიების საქმიანობა წარმატებული გამოდგა, ისინი მოგებაზე იმუშავებენ და ბიუჯეტში მოგების გადასახადსაც გადაიხდიან.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ამ შემოთავაზების ძირითადი ეფექტი (სარგებელი) კი არის რეგიონის მოსახლეობის უკიდურესი სიღარიბიდან გამოსვლა და შემოსავლების განაწილებაში იმ საგანგაშო დისპროპორციის შემცირება, რომელიც არსებობს რეგიონის მოსახლეობაში. ეს პრობლემა მთელ მსოფლიოში დგას, ზოგან მეტად, ზოგან ნაკლებად. ფინეთმა, შვედეთმა და ზოგიერთმა სხვა ქვეყნებმა, ეს პრობლემა სწორედ ღარიბ მოსახლეობაში ბიზნეს-განათლების დონის ამაღლებით გადაწყვიტეს. ასე უნდა გავაკეთოთ ჩვენც.

დასკვნა: ამრიგად, საზღვარგარეთის მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით, ცალკეული ქართველი მკვლევარების შეხედულებების მოხმობით და ჩვენი ინდივიდუალური გამოკვლევით, ვაკეთებთ დასკვნას იმის შესახებ, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოსახლეობის შემოსავლების განაწილების უთანასწორობა შეიძლება შევამციროთ ღარიბი ოჯახებიდან გამოსული ნიჭიერი, უნარიანი ახალგაზრდებისთვის ბიზნეს-ინკუბატორებში მეწარმული ცოდნის გადაცემით და ადგილზევე მათ სახელზე და მათი ჩართულობით მცირე საწარმოთა ამუშავებით. ეს გზა არის ინკლუზიური ბიზნესის განვითარების გზა, ანუ ბიზნესში მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების ჩართვა და მათი ცხოვრების დონის ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის პრობლემები საქართველოში. ჟ. "ეკონომისტი". №3. 2019. ტ. XV. გვ. 26.

2. გამსახურდია თ., ფესტვენიძე თ. ადამიანური რესურსების ეფექტური გამოყენება - სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემა. საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის - "ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში" - მასალების კრებული. თსუ. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბ., 2011. გვ. 162.

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ანგარიში. თბ., 2015. გვ. 17.

4. ტიტვინაძე მ. საქართველოში მდიდართა შემოსავალი 17-ჯერ აღემატება ღარიბთა შემოსავლებს. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა". 24.01.2019. გვ. 7.

5. ანთია ვ. ეკონომიკაზე ორიენტირებული განათლება და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების მართვის პრიორიტეტები. ჟ. "ეკონომიკა". №12. 2018. გვ. 11-12.

REFERENCES:

1. Abesadze R.-The problems of economical growth and development in Georgia, journal " Economist", #3. 2019. V. XV. p.26.

2. Gamsakhurdia T. Phestvenidze T.- Effective usage of Human resources- The problem of human state importance. Collection of materials of the International Scientific Conference - "Current Problems of the Economy in the Conditions of Globalization". TSU. Paata Gugushvili Institute of Economics. Tb., 2011. p.162.

3. Georgian Ministry of Labor, Health and Social Affairs. Report, Tb., 2015. p.17.

4. Titvinadze M. -In Georgia, the income of the rich is 17 times higher than the income of the poor, newspaper "The Republic of Georgia"". 24.01.2019. p.7.

5. Antia V.- Economic oriented education and management priorities of state higher education institutions.Journal "Economics". №12.2018, p.11-12.

REDUCING ECONOMIC INEQUALITY BY INCREASING ENTREPRENEURIAL EDUCATION IN THE POPULATION

GIORGI JVARIDZE,
Doctoral Student of Akhaltsikhe Teaching University

RESUME

In the article – **„Reducing economic inequality by increasing entrepreneurial education in the population“** it is discussed about Georgia in general, about the poverty in Samtskhe-Javakheti region, the catastrophic inequality of income distribution, which reflects the Gini coefficient and is one of the active ways of its reduction, is the selection of talented, capable young people from vulnerable and socially disadvantaged families and their business incubators.

In the article, this proposal has been given to the six municipalities of Samtskhe-Javakheti - Adigeni, Borjomi, Aspindza, Akhalkalaki, Akhaltsikhe and Ninotsminda - to do this work and to cover the costs from the municipal budget.

Key words: Economic inequality; Poverty; Entrepreneurial education; Business incubator.

მთლიანი რეგიონული პროდუქტის (მრპ) გაანგარიშების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

ივლია ონიანი, ნონა ახვლედიანი
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორები

რეზიუმე

ნაშრომის მიზანია რიგი მეთოდოლოგიური და ინფორმაციული პრობლემების გამო მრპ-ის გაანგარიშების მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის სრულყოფა. მთლიანი რეგიონული პროდუქტის (მრპ) სტატისტიკის საიმედობისა და ანალიტიკური შესაძლებლობების ამაღლების მიზნით მისი სრულყოფა რამოდენიმე მიმართულების მიხედვით.ნაშრომის მომზადებისას გამოყენებულია ანალიზის, ექსპერტული შეფასების და შედარების მეთოდები.

რეგიონული სტატისტიკის მაჩვენებლები, პირველ რიგში კი მრპ და მისი შემადგენელი ელემენტები, მნიშვნელოვანია რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისათვის კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შესახებ მართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. მრპ-ის საფუძველზე ხორციელდება რეგიონული განვითარების პროგნოზების შემუშავება; სხვადასხვა ქვეყნების ფინანსთა სამინისტროები მრპ-ის მაჩვენებელს იყენებენ რეგიონების ფინანსური დახმარებების ფონდების განაწილებისათვის; მრპ და მრპ -ის ფიზიკური მოცულობის ინდექსი შეტანილია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის საკვანძო მაჩვენებლების სისტემაში.რეგიონული ანგარიშების შედგენის ევროკავშირის რეკომენდაციების ანალიზის საფუძველზე გამოყოფილია მრპ-ის გაანგარიშების ის მნიშვნელოვანი მიმართულებები, რომლებიც გავლენას ახდენენ რეგიონული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების საიმედობაზე და ანალიტიკურ შესაძლებლობების ამაღლებაზე, კერძოდ:

✓ მრპ-ის მშპ-თან შეთანხმებულობის მიზნით მრპ-ის გაანგარიშების მეთოდოლოგიის სრულყოფა;

✓ ინფორმაციული ბაზისა და სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული პირველადი მონაცემების დამუშავების მეთოდების სრულყოფა;

✓ ცენტრალური და რეგიონული სტატისტიკური ორგანოების ურთიერთმოქმედების გაუმჯობესება.

საკვანძო სიტყვები: რეგიონული მაკროეკონომიკური მაჩვენებელები, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას), მთლიანი რეგიონული პროდუქტი (მრპ), მთლიანი შიგა პროდუქტი (მშპ), მრპ-ის გაანგარიშების მეთოდი, მთლიანი გამოშვება, შუალედური მოხმარება, სოციალური პროცესების ანგარიშების მატრიცა.

ძირითადი ტექსტი

მთლიანი რეგიონული პროდუქტის (მრპ) სტატისტიკის საიმედობისა და ანალიტიკური შესაძლებლობების ამაღლებისათვის მიზანშეწონილია მისი სრულყოფა რამოდენიმე მიმართულების მიხედვით. პირველ რიგში საჭიროა მრპ-ის გაანგარიშების მეთოდოლოგიის სრულყოფა, რათა მოხდეს მისი შეთანხმებულობა მშპ-თან, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს პირველადი მონაცემების დამუშავების მეთოდების სრულყოფას. ამასთან, მნიშვნელოვანია ასევე ცენტრალური და რეგიონული სტატისტიკური სამსახურების ურთიერთმოქმედების გაძლიერება.

გაანგარიშების მეთოდოლოგიის სრულყოფა, პირველ რიგში, გულისხმობს რეგიონული და ცენტრალური სტატისტიკის შეთანხმებულობის საჭიროებას ფუძემდებლურ კონცეფციებთან და საკვანძო მაჩვენებლების განსაზღვრასთან; რეგიონულ დონეზე ჩრდილოვანი და არაფორმალური ეკონომიკის სტატისტიკური გაზომვის მეთოდების სრულყოფას; რეგიონულ დონეზე ისეთი მაჩვენებელთა სისტემის შემუშავებას, როგორიცაა მრპ, რეგიონული სახელმწიფო ბიუჯეტი, ფასების დასაქმებისა და მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკა.

ანალიტიკური მიზნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია

მოვახდინოთ მრპ-ის გაანგარიშება **განაწილების მეთოდით,** ამისათვის საჭიროა შედგეს **შემოსავლების ფორმირების ანგარიში** ეკონომიკის დარგების მიხედვით. ეს ანგარიში თავის მხრივ მოითხოვს ეკონომიკის დარგების მიხედვით **შრომის ანაზღაურების შესახებ მონაცემებს,** ასევე მონაცემებს წარმოებაზე გადასახადების შესახებ სუბსიდიების გამოკლებით, რომელიც უნდა განაწილდეს რეგიონების მიხედვით. ამ მონაცემებს შეიცავს მთლიანად ქვეყნის დონეზე დარგებისათვის შემუშავებული ანალოგიური ანგარიში. ეს მონაცემები იძლევა საშუალებას გამოვიანგარიშოთ ანგარიშის დამაბალანსებელი სტადია- **მთლიანი მოგება და მთლიანი შერეული შემოსავლები.** შემოსავლების ფორმირების ანგარიში, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მიზანშეწონილია შედგენილი იქნეს ყოველი დარგისათვის. თუმცა, უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება შემოვიფარგლოთ ამ ანგარიშის მთლიანად რეგიონის დონეზე შედგენით. ამასთან, დაწყებით სტადიაზე, შეიძლება საჭირო გახდეს მისი ექსპერიმენტალური გაანგარიშება.

მრპ-ისა და მშპ-ის უფრო მეტი შესადარისობისათვის საჭიროა **მრპ-ის შეფასება მყიდველის ფასებში.** თუმცა, მიზანშეწონილია მოვახდინოთ მრპ-ის შეფასება, როგორც ძირითად, ისე მყიდველის ფასებში, ე. ი. ფასებში, რომელიც მოიცავს გადასახადებს პროდუქტებზე პროდუქტებზე სუბსიდიების გამიკლებით. ეს მოითხოვს სტატისტიკურ უწყებებსა და სახელმწიფო საგადასახადო სამსახურებს შორის ურთიერთ თანამშრომლობის გაფართოებას, რათა მივიღოთ საიმედო მონაცემები გადასახადების შესახებ.

მრპ-ის გაანგარიშების სრულყოფის მთავარი მიმართულებაა ასევე **მდღ-ის განაწილება რეგიონების მიხედვით და ამ რეგიონებში საქმიანობის სახეების მიხედვით.** პირველ რიგში, ეს ეხება ფინანსური შუამავლების მომსახურების და ქონების დაზღვევის მომსახურების გამოშვებას. რეგიონების მიხედვით განაწილებას მოითხოვს ასევე, ექსტერიტორიული ერთეულების გამოშვება და დამატებითი ღირებულება. ამ მიზნის მიღწევისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ორი მიდგომა. პირველი,თუ ამ

ერთეულებს შევიყვანთ რომელიმე ცენტრალური რეგიონის შემადგენლობაში და მეორე, თუ მას განვიხილავთ, როგორც ცალკეულ რეგიონს, როგორც ეს „ევროსტატის“ რეკომენდაციებშია მითითებული.

სრულყოფას მოითხოვს ასევე რეგიონულ დონეზე **საქმიანობის ცალკეული სახეების გამოშვების გაანგარიშების მეთოდოლოგიაც.** პირველ რიგში ეს ეხება სოფლის მეურნეობას, ნადირობა და სატყეო მეურნრობის დარგებს, მათ შორის, ჯოგის მოშენებიდან მიღებული პროდუქციის შეფასების ნაწილში, დაუსრულებელი წარმოების ნაშთის ცვლილებას, საკუთარი საჭიროებისათვის პროდუქციის მოხმარებას. სრულყოფის ეს მიმართულება განხილული და გათვალისწინებული უნდა იქნეს ხელმძღვანელობაში, რომლებიც ანგარიშებს ადგენენ სოფლის მეურნეობისათვის, გაეროს სასურსათო და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციებისათვის. სრულყოფის ამ მიმართულებების განხორციელებისათვის მიზანშეწონილია **საბალანსო მეთოდის უფრო** ფართო გამოყენება.

რეგიონის დონეზე ასევე სრულყოფას მოითხოვს **საბინაო მომსახურების გამოშვების** გამოთვლის მეთოდოლოგია. აქ ყურადღება უნდა მიექცეს საბინაო მომსახურების ღირებულებას, რომელსაც აწარმოებენ საცხოვრებლის მფლობელები საკუთარი მოხმარებისათვის. ამ მომსახურების ღირებულების გაანგარიშება, დანახარჯების სტატიის შეფასებასთან ერთად, თვალისწინებს კაპიტალზე შემოსავლის შეფასებას, რომლის მარაგიც უნდა შეფასდეს საბაზრო ფასებში.

ცალკე განხილვას მოითხოვს რეგიონებში **მიგრანტი-არარეზიდენტების საქმიანობის შეფასება.** არარეზიდენტი-მიგრანტი, რომელიც წარმოადგენს თვით დასაქმებულ პირს და რომელიც ახორციელებს საწარმო მომსახურებას, ხშირ შემტხვევაში კი შინამეურნეობების სექტორის საწარმოების მომსახურეობას, მის მიერ განხორციელებული მომსახურების ღირებულება უნდა იქნეს შეტანილი შესაბამისი დარგის შუალედურ მოხმარებაში. ამავე დროს , არარეზიდენტი-მიგრანტები შეიძლება იყვნენ დაქირავებული მომუშავეები, მაშინ მათი შრომის ანაზღაურება

წარმოადგენს რეგიონის საწარმოებში შექმნილი დამატებითი ღირებულების ნაწილს.

მრპ-ის სტატისტიკის სრულყოფა გულისხმობს აგრეთვე კონკრეტულ რეგიონებში განხორციელებული საქმიანობის ამა თუ იმ სახის ეკონომიკური მნიშვნელობის შეფასებას და მრპ-ში მათი შედეგების წვლილის განსაზღვრას. ამ წვლილის გაცილებით უფრო ადეკვატური ასახვისათვის შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი რეგიონული მაჩვენებლების გაანგარიშება . მაგალითად, რეგიონში საქმიანობის სახეების მიხედვით დასაქმებულთა წილი ქვეყანაში საქმიანობის სახეების მიხედვით დასაქმებულთა მთელ რიცხოვნობაში; ან რეგიონში საქმიანობის სახეების მიხედვით შრომის ანაზღაურების ფონდის ხვედრითი წილის მაჩვენებელი მთლიანად ქვეყნის საქმიანობის თითოეული სახის შრომის ანაზრაურების ფონდში. ამ მაჩვენებლების გამოყენებით შესაძლებელია განისაზღვროს რეგიონისათვის ეკონომიკურად მნიშვნელოვანი და ეკონმიკურად ეფექტიანი საქმიანობის სახე. მაგალითად, ეკონომიკურად მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს საქმიანობის ის სახე, რომლის დღ-ის წილი მრპ-ში 5%-ს შეადგენს, ხოლო ეკონომიკურად ეფექტურად საქმიანბის ის სახე, რომლის წილი დღ-ში აღემატება დასაქმებულთა რიცხოვნობის წილს.

რეგიონულ დონეზე სრულყოფას მოითხოვს ასევე შუალედური მოხმარების შეფასება. მისი შეფასება უნდა მოხდეს იმ ფასებში რომელიც მოქმედებს წარმოებაში შუალედური პროდუქტების გამოყენების მომენტში და არა იმ ფასებში, რომელიც იყო შუალედური პროდუქტის შეძენის მომენტში (როგორც ეს ხდება ბუღალტრულ აღრიცხვაში). ეს უკანასკვნელი საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ ჰოლდინგური მოგების შეფასებისათვის.

„საქსტატი“ ქვყნის ეროვნული ანგარიშების შედგენისათვის იყენებსა და ნერგავს 2008 წლის ეას-ში მოცემულ ძირითად ცვლილებებს. სასურველია, რომ ეს მეთოდოლოგიური ცვლილებები რეგიონულ დონეზეც იყოს გათვალისწინებული. კერძოდ, **მრპ-ის გაანგარიშების მეთოდოლოგიაში აუცილებელია**

რიგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ოპერაციების ახალი განმარტება, რომელთა რიცხვს შეიძლება მივაკუთნოთ: დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე, ფინანსური შუამავლების მომსახურებაზე, სახელმწიფო მართველობის ორგანოების ხარჯები აღჭურვილობის სისტემის შეძენაზე, ცენტრალური ბანკის გამოშვება. ამ სტატიების ახალი განმარტება ზემოქმედებს შესაბამისი დარგის მთლიანი გამოშვების შეფასებაზე, ასევე შუალედურ მოხმარებაზე. მრპ-ის და მშპ-ის შეფასებაში შეთანხმებულობის მიღწევისათვის აუცილებელია ცალ-ცალკე, თითოეული ამ სტატიისათვის მიღებული უნდა იყოს გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება უნდა ეფუძვნებოდეს მრპ-ის ზოგად კონცეფციას. სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ განხორციელებული ოპერაციებიდან რომელი ოპერაციები და რა შინაარსით შეიძლება იყოს მიკუთვნებული ცალკეულ რეგიონს. შესაძლებელია არ არსებობდეს ამ საკითხის იდეალური თეორიული გადაწყვეტა, თუმცა შეიძლება მიღებული იქნეს რაღაც პირობითი მიდგომა, რაც თავის მხრივ, დასაბუთებას მოითხოვს.

ინდივიდუალური და მცირე მეწარმეობის განვითარებით ჩრდილოვანი აქტიურობის დონე, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულოობები რეგიონულ დონეზე მხოლოდ იზრდება და არ მცირდება, ხოლო მისი შეფასების პრობლემა კი ღრმავდება, ამიტომ მიზანშეწონილია შემუშავებული იქნეს დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასების მეთოდები, რომელიც გამოყენებული იქნება რეგიონულ გაანგარიშებებში.

ზემოთ განხილული მიმართულებების გარდა მრპ-ის გაანგარიშების სრულყოფისათვის სასარგებლო შეიძლება იყოს ამ მაჩვენებლის ექსპერიმენტალური ალტერნატიული შეფასების მიღება. ამ მიზნით შეიძლაბა გამოყენებული **იყოს სოციალური პროცესები სანგარიშების მატრიცა (სპამ),** რომელიც ძირითადად გამოიყენება სოციალური პროცესების ანალიზისათვის. სოციალური პროცესების ანგარიშების მატრიცა წარმოადგენს ეას-ში მონაცემთა წარმოდგენის მეთოდს მატრიცული ფორმით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ანალიზში ჩავრთოთ ზოგიერთი დამატებითი დეტალი, რომლის მიმართ

განსაკუთრებული ინტერესი არსებობს. ამ მატრიცის მონაცემებით შესაძლებელია ვაჩვნოთ კავშირი შინამეურნეობების შემოსავლების წარმოქმნასა და მის გამოყენებას შორის. თუმცა ის სცილდება ანგარიშების ძირითადი სტრუქტურის ჩარჩოებს, რომელიც ეყრდნობა შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევების შესაძლებლობებს. სოციალური პროცესების ანგარიშის მატრიცის შედგენა ვარაუდობს იმ დებულების გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც განსხვავდება ანგარიშების ძირითადი სტრუქტურის შექმნისათვის გამოყენებული დებულებისაგან. მაგალითად, შესაძლებელია გამოვიყენოთ დებულება, რომ შინამეურნეობების ხარჯები ავტომობილების შეძენაზე შეიძლება მივაკუთნოთ ძირითადი კაპიტალის დაგროვებაზე გაწეულ ხარჯებს. მრპ-ის გაანგარიშებასთან შედარებით სპამ-ში გამოყენებული შეიძლება იყოს რეგიონის მიხედვით საერთო სახელმწიფოებრივი ხარჯების განაწილების ალტრნატიული მეთოდი, ასევე ამ მატრიცით შესაძლებელია მრპ-ზე ჩრდილოვანი და არაფორმალური ეკონომიკის გავლენის ალტერნატიული შეფასება.

მრპ-ის შეფასების სიზუსტის ამაღლებისათვის ასევე მნიშვნელოვანია მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია შესაბამისობაში იყოს მაკროეკონომიკური სტატისტიკის სხვა განყოფილებებთან. მათ შორის ფასების სტატისტიკის განყოფილებასთან, სახელმწიფო ბიუჯეტის სტატისტიკის, დასაქმებისა და ინვესტიციების სტატისტიკის განყოფილებებთან. მაგალითად, ფასების რეგიონული სტატისტიკა საჭიროა მრპ-ის საიმედო დეფლიატორის განსაზღვრისათვის, რეგიონული ბიუჯეტის სტატისტიკა საჭიროა არასაბაზრო მწარმოებლების გამოშვების გაანგარიშებისათვის, სუბსიდიების განსაზღვრისათვის, რომელსაც უხდიან საწარმოებს და ა. შ.

რეგიონული სტატისტიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ძირითად ფასებში მრპ-ის შეფასებისათვის დეფლიატორის შემუშავება. ეს მოითხოვს რთული ინფორმაციული პრობლემების გადაჭრას, რომელთაგან ერთ-ერთია შუალედური საქონლის სტრუქტურის განსაზღვრა და შესაბამისი ფა-

სების ინდექსის შერჩევა.

მრპ-ის სტატისტიკის სრულყოფის მიმართულებათა მეორე ჯგუფი მოიცავს გაანგარიშებისათვის საჭირო საინფორმაციო ბაზის გაუმჯობესების მიმართულებებს. ამას მიეკუთნება ინფორმაცია რეგიონული ბიუჯეტის შესრულების შესახებ, მისი სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია, ეას_ში გამოყენებული განსაზღვრებებისა და კლასიფიკაციების მრპ-ის გამოთვლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. აგრეთვე შუალედური მოხმარების შეფასების მეთოდის დაზუსტებისათვის აუცილებელია გადაიხედოს ფორმა П-1-ში (ცნობები წარმოებული საქონლისა და მომსახურების შესახებ) მოცემული ანგარიშგების მონაცემებიდან წარმოებაში შუალედური პროდუქტის ფაქტიური მომარების შესახებ მონაცემებზე გადასვლის მეთოდი, როგორც ამას მოითხოვს 2008 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. ასევე საჭიროა შრომის ამაზღაურებისა და შუალედური მოხმარების პროდუქტის შეძენის ხარჯებს შორის განსხვავების უფრო მკაფიო წარმოჩენა. სასურველია შუალედური მოხმარების შეფასება მოხდეს მყიდველის ფასებში, პროდუქტებზე გადასახადების ჩათვლით, ხოლო ამ პროდუქტებზე სუბსიდიების გამოკლებით. უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსთა სამონისტრო და, ასევე საწარმოებიც თავის ანგარიშგებაში არ ახდენენ სუბსიდიების დაჯგუფებას, პროდუქტებზე სუბსიდიებად და წარმოებაზე სუბსიდიებად. მიზანშეწონილია რეგიონულ დონეზე მოხდეს ამგვარი დაჯგუფება ქვეყნის დონეზე ანგარიშების შემდგენლებთან თანამშრომლობით. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს სპეციალისტებთან კონსულტაციები.

რეგიონული სტატისტიკის საკვანძო სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის საჭირო პირველადი ინფორმაციის წყაროების დეტალური ანალიზისათვის საჭიროა მონაცემთა დამუშავების მეთოდები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ეას-ის დებულებებთან. შესაბამისობაში მოყვანისათვის მიზანშეწონილი აპირველადი მონაცემბის იმ წყაროების იდენტიფიკაცია, რომლების გამოყენებული უნდა

იქნეს რეგიონულ დონეზე გამოშვებისა და შუალედური მოხმარების შეფასებისათვის დარგების მიხედვით. ეს საშუალებას იძლევა მოვახდინოთ მრპ-ის შეფასების „ქვევიდან-ზევით“ და „ზევიდან-ქვევით“ მეთოდების კომბინაცია. შედარებით უმჯობესია გამოყენებული იქნეს მეთოდი „ზევიდან-ქვევით“, რაც უზრუნველყოფს რეგიონული და მთლიანად ქვეყნის დონეძე მაჩვენებელთა შესადარისობის მაღალ ხარისხს, თუმცა მოითხოვს არაპირდაპირი ინდიკატორების შერჩევის დასაბუთებას, რომელთა საფუძველზეც ხდება მრპ-ის განაწილება რეგიონების მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდი, სახელწოდებით „ზევიდან-ქვევით“არ წარმოადგენს მრპ-ის შეფასების თეორიულად დასაბუთებულ მეთოდს. იგი შეიძლება განვიხილოთ, როგარც მრპ-ის კომპონენტების შეფასების გამარტივებული მეთოდი, რომლის გამოყენებით მიღებული შედეგი შეიძლება იყოს დამახინჯებული, ამიტომ მისი პრაქტიკაში გამოყენება მინიმალურია. წინააღმდეგ შემთხვევაში მრპ-ში მოხვდება იმ გამოშვებისა და შუალედური მომარების ღირებულება, რომელთა მწარმოებლები მდებარეობენ სხვა რეგიონებში. გარდა ამის დაირღვევა შესაბამისობა მრპ-სა და სხვა ეკონომიკურ მაჩვენებელთა შორის.

ზემოთ განხილული მიმართულებები უზრუნველყოფს ერთიანი და საიმედო ინფორმაციის მიღებას რეგიონული მაკრომაჩვენებლების ფორმირებისათვის.

დასკვნა

მთელი რიგი მეთოდოლოგიური და ინფორმაციული პრობლემების გამო მრპ წარმოადგენს ყველაზე რთულ მაჩვენებელს არა მარტო ჩვენი ქვეყნის სტატისტიკისათვის, არამედ საერთაშორისო სტატისტიკური მუშაობის პრაქტიკაშიც. თავისი ეკონომიკური შინაარსით მრპ ახლოსაა მშპ-ის მაჩვენებელთან, მაგრამ მათი გაანგარიშების მეთოდოლოგიაში არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები, ამიტომ საჭიროა მრპ-ისა და მშპ-ის გაანგარიშების მეთოდების შეთანხმებულობა და რეგიონული ანგარიშწარმოების განვითარება და სრულყოფა. ეს შეთანხმე-

ბულობა უნდა შეეხოს არა მარტო ფუძემდებლურ განსაზღვრებებსა და კონცეფციებს, არამედ გამოშვებასაც და შუალედურ მოხმარებასაც, გადასახადებისა და სუბსიდიების განმარტებასაც, ჰოლდინგური მოგების ასახვასაც. შეთანხმებულობა მრპ-ის გაანგარიშებისას ითვალისწინებს 2008 წლის ეას-ში განხილული რიგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ოპერაციების ახალი განმარტებების გამოყენებაზე გადასვლას და ბოლოს შეთანხმებულობა ითვალისწინებს რეგიონების მიხედვით ე. წ. გაუნაწილებელი საქმიანობის სახეების მინიმუმამდე დაყვანას.

რეგიონული სტატისტიკის მონაცემები, პირველ რიგში მრპ და მისი შემადგენელი ელემენტების შესახებ მონაცემები მნიშვნელობანია ხელისუფლების რეგიონული ორგანოებისათვის კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებული მართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. მრპ-ის საფუძველზე ხორციელდება რეგიონული განვითარების პროგნოზების შემუშავება; ფინანსთა სამინისტრო მრპ-ის მაჩვენებელს იყენებს ტერიტორიების ფინანსური დახმარების ფონდის განაწილებისათვის. მრპ და მისი ფიზიკური მოცულობის ინდექსი შეტანილია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის საკვანძო მაჩვენებლების რიცხვში.

ლიტერატურა:

1. European system of accounts ESA 1995

2.Система национальных счетовю 2008 Издание секретариата ООН

3. Система национальных счетовю 1993ю Издание секретариата ООН

4. Зайцева Ю. С. Валавой региональный продукт ; что и как мы измериаем// ЭКО. 2012.№ 4. стю 86-103.

5. Гранберг А., Масакова И., Зайцева Ю. Валавой региональный продукт как индикатор дифференциации экономического развития регионов // Вопросы статистики. 1998. № 9. ст. 3-1.

REFERENCES:

1. European system of accounts ESA 1995.
2. System of National Units 2008 Issued by the UN Secretariat.
3. System of National Units 1993ю UN Secretariat Publication.
4. Chevron F. S. Valavian regional product; what and how measurable, what. 2012.№ 4. pp. 86-103.
5. Granberg A., Masakova I., Zalceva PH. Valavian Regional Product Indicator of Differentiation Economics of the Region, Walrus Statistics. *1998. № 9. p. 3-1.*

THE MAIN DIRECTIONS OF GROSS REGIONAL PRODUCT (GRP) CALCULATION PERFECTION

Ivlia Oniani
Associate Professor, Akaki Tsereteli State University.
Nona Akhvlediani
Associate Professor, AkakiT sereteli State University.

RESUME

The aim of the article is to improve the methodology and practice of MRP calculation due to a number of methodological and informational problems.

Improving Gross Regional Product (GRP) statistics to enhance its reliability and analytical capabilities in a number of areas.

There are used several research methods such as, analysis, expert evaluation and comparison.

Additionally, it is important for regional government to make managerial decisions on specific socio-economic problems. Based on the MRlly, P there are developed regional development forecasts; The finance ministries of different countries use the MRP index for the distribution of regional financial aid funds; The MRP and the

MRP Physical Volume Index are included in the system of key performance indicators of public authorities

Based on the analysis of the EU recommendations for the preparation of regional reports, the important areas of MRP calculation are identified, which affect the reliability of regional macroeconomic indicators and increase analytical capabilities, namely:

Improvement of the methodology for calculating GDP to align with GRP;

Improvement of database and primary data processing methods;

Improvement of an interaction between central and regional statistical authorities.

Key words: Regional Macroeconomic Indicators, National Accounts System (ESA), Gross Regional Product (GDP), Gross Domestic Product (GDP), MRP Calculation Method, Gross Output, Intermediate Consumption, Social Process Account Matrix.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები

დავით ლორია
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

XXI საუკუნეში გრძელდება მსოფლიო მრეწველობის დარგობრივი წარმოებების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია მოთხოვნილებების მატება ენერგორესურსებზე. ნებისმიერი ქვეყნის და მ. შ. საქართველოს წიაღისეული სიმდიდრეებიდან მნიშვნელოვანია შემდეგი სათბობ-ენერგეტიკული რესურსები: ნავთობი, ქვანახშირი, გაზი, გეოთერმული წყლები, ტორფი და ბიომასა. ამასთან, მნიშვნელოვანია ჰიდრორესურსების, მზისა და ქარის ენერგიის პოტენციალი.

ენერგორესურსებზე წვდომა და მათი ეფექტური გამოყენება არის ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიული საფუძველი და ამასთანვე, საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებული ნორმა, რომ საკუთარი სათბობ-ენერგეტიკული ნედლეულის მინიმალური ოდენობით წარმოება, მაგალითად საბაზო ენერგეტიკის და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ნაწილობრივი უზრუნველყოფისათვის მაინც, იმპორტირებული საწვავის მიწოდებისაგან დამოუკიდებლად, ნებისმიერი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების აუცილებელი წინაპირობაა. ამიტომ საქართველოში ქვანახშირის მრეწველობის რეაბილიტაციას და მისი ეფექტური გამოყენებისათვის ხელშეწყობას ეკონომიკურის გარდა პოლიტიკური მნიშვნელობაც ენიჭება.

ქვანახშირის მრეწველობა საქართველოს ინდუსტრიის ერთ-ერთი ტრადიციული და მნიშვნელოვანი დარგია, რომელსაც

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. როგორც ცნობილია ქვანახშირი ამარაგებს შავ მეტალურგიას ტექნოლოგიური სათბობით, ელექტროენერგეტიკას – ენერგეტიკული კონცენტრატით, ხოლო მოსახლეობას – სათბობით.

ცხადია, ასეთ პირობებში, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, სახელდობრ, ქვანახშირის სამრეწველო პოტენციალის რაციონალური ათვისების მიმართულებების განსაზღვრა მეტად აქტუალური პრობლემაა, რომლის გადაჭრას დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს როგორც ცალკეული რეგიონის, ასევე მთელი ქვეყნისათვის.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, ქვანახშირი, მარაგები, მრეწველობა.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

საქართველოს რაციონალურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ადგილობრივი სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური და ეფექტიანი ათვისება, რაც ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის სრულყოფის საშუალებაა, შრომითი რესურსების დასაქმების ზრდის, ინფრასტრუქტურის და მთლიანობაში, სექტორის, რეგიონის და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პირობაა. ამასთან, დარგის ეფექტიანი განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ პერსპექტიულ გზას დამოუკიდებელი ენერგეტიკული ბაზის შესაქმნელად.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მასშტაბით საკმაოდ მაღალია მდინარეების სიმძლავრის პოტენციალი (დაახლოებით 135.8 მლრდ კვტ სთ/წელიწადში) და ელექტროენერგიის გამომუშავების ძირითად წყაროს საქართველოში სწორედ ჰიდრორესურსი წარმოადგენს, ასე, მაგალითად, თუ 1990 წლის დასაწყისში ჰესების საშუალო წლიურმა გამომუშავებამ შეადგინა 9.2 მლრდ კვტ სთ, 2012-2018 წლებში მთლიანი გამომუშავება 9.7 მლრდ კვტ სთ-დან 12.2 მლრდ კვტ სთ-მდე გაიზარდა, რაც 25.3 %-იან ზრდას შეადგენს. ხოლო, 2018 წლის მონაცემებით,

ჰესების წილი მთლიან გამომუშავებაში საშუალოდ 81,9 %-ია, თბოლექტროსადგურების 2 საშუალოდ 17,4 %-ი, ხოლო ქარის ენერგიის მოცულობა კი ამ ეტაპზე უმნიშვნელოა (0,7 %) [1,2,3]. დღეისათვის რიგი ახალი ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით ელექტროენერგიის გამომუშავება რა თქმა უნდა გაიზრდება, თუმცა მნიშვნელოვანია დროის, გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ფაქტორების გათვალისწინება. ქვეყნის მოთხოვნილებების უზრუნველყოფა საკუთარი ნავთობით და გაზით მიზერულია და სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელი არ არის. ასეთ ვითარებაში საქართველოში ადგილობრივ სათბობ-ენერგეტიკული რესურსებს და ქვანახშირის მრეწველობას, როგორც ერთ-ერთ რესურსებით უზრუნველყოფილ დარგს განსაკუთრებული როლი ენიჭება, რადგან საქართველოში ქვანახშირის ბალანსური (დადასტურებული) მარაგი საკმაო ოდენობისაა.

ბოლო წლებში საქართველოს მიეცა მნიშვნელოვანი სასტარტო პოზიცია საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესების გათვალისწინებით საფუძველი ჩაუყაროს კონკურენტუნარიან ეროვნულ ინდუსტრიულ კომპლექსს, რისთვისაც მნიშვნელოვანია საკვლევ სფეროში გააზრებული და თანმიმდევრული სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, რადგან საქართველოს სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებს ქვეყნის ინდუსტრიულ კომპლექსში განვითარების კარგი პერსპექტივები გააჩნიათ.

ასეთ პირობებში საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების კლასიფიკაციის და მარაგების, მათი ეფექტიანი ათვისების თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა, ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ორგანიზაციულ-ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის მეცნიერული და პრაქტიკული ღონისძიებების დამუშავება მეტად აქტუალურია, არა მარტო ქვეყნის ინდუსტრიული სექტორის აღორძინებისა და განვითარებისათვის, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისათვის.

საქართველოში აღიარებულია ნახშირის ორი ტიპი, შავი და

მურა ნახშირი, რომელიც გამოიყენება როგორც საწვავი და ენერგორესურსი. საქართველოში არსებული საწვავისა და მინერალური რესურსების სულ 42 აუზიდან, 9 ნახშირისაა, მაგრამ მათგან მხოლოდ 3 არის აღიარებული კომერციული თვალსაზრისით მნიშვნელოვნად (ტყიბული-შაორი და ტყვარჩელი).

ცხრილი 1
საქართველოს ნახშირის მარაგების სახელმწიფო ბალანსი 2011 წლისათვის [4]

საბადო	მხარე	ტიპი	მარაგები, ათასი ტონა
ბზიფის	აფხაზეთის ა.რ.	ქვანახშირი	835
ტყვარჩელი	აფხაზეთის ა.რ.	ქვანახშირი	19 550
ტყვარჩელი	აფხაზეთის ა.რ.	ქვანახშირი	19 550
ტყვარჩელი–გეჯერი	აფხაზეთის ა.რ.	ქვანახშირი	3 029
მაღანი	სამეგრელო ზემო სვანეთი	ქვანახშირი	324
გელათი	იმერეთი	ქვანახშირი	381
ტყიბული–შაორი	იმერეთი	ქვანახშირი	377 970
პახულანი	სამეგრელო ზემო სვანეთი	მურა ნახშირი	4 450
კალანდარის ყელი	კახეთი	მურა ნახშირი	1 943
ვალე–ახალციხე	სამცხე–ჯავახეთი	მურა ნახშირი	75 766
მთლიანად		**ქვანახშირი**	**401 708**
მთლიანად		**მურა ნახშირი**	**82 159**

ამ დროისთვის საქართველოში მხოლოდ ტყიბული-შაორის საბადოებია ექსპლუატაციაში და შპს „საქნახშირი“ გარკვეულწილად აკმაყოფილებს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს. საქართველოში მთავარი საწარმოები, რომლებიც მოიხმარენ ქვანახშირს სამრეწველო საწვავის სახით არიან ფეროშენადნობთა და ცემენტის ქარხნები. ქვანახშირი ჯერჯერობით არ გამოიყენება ელექტროენერგიის გენერაციისთვის, ამიტომ ის ამჟამად არ არის შეტანილი ქვეყნის ენერგეტიკულ ბალანსში (იხ. ცხრილი 2-3).

სამხრეთ კავკასიაში, საქართველო ერთადერთი ქვეყნაა, რომელიც ფლობს ექსპლუატაციაში არსებულ დადასტურებულ ნახშირის რეზერვებს. მეზობელი ქვეყნებიდან, რუსეთი ითვლება ნახშირის რეზერვების მსოფლიოში მეორე ყველაზე დიდ მფლობელად მსოფლიოს 10 მთავარ ნახშირის მწარმოებელს შორის. თურქეთს ასევე აქვს როგორც ქვანახშირი, ასევე საკმარისზე მეტი მურა (ლიგნიტი) ნახშირის საბადოები, თუმცა ლიგნიტს უმეტესწილად დაბალი სითბური შემცველობა აქვს (ერთ კილოგრამზე 3 000 კილოკალორიაზე ნაკლები (LHV)).

საქართველოში ქვანახშირის მრეწველობა დღიდან მისი აღმოჩენისა თითქმის საუკუნე ნახევრის მანძილზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის ეკონომიკაში, ხოლო სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ბალანსში ეჭირა მნიშვნელოვანი წილი. ამ დარგის ფუნქციონირებასთან არის დაკავშირებული თავად ქალაქების ტყიბულის, ტყვარჩელის, ვალეს დაარსება, ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, სამთო დარგის სასწავლო-სამეცნიერო კადრების აღზრდა, შესაბამისი პროფილის უმაღლესი სასწავლებლების, საპროექტო და კვლევითი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომელთა კედლებში აღზრდილმა უამრავმა კვალიფიცირებულმა პიროვნებებმა შორს გაითქვეს სახელი, შექმნეს ფუნდამენ-ტური შრომები სამთო მეცნიერების დარგში; მე-20 საუკუნის 80-იან წლებში სგ ,,საქნახშირის“ საწარმოებში დასაქმებული იყო მრავალი ათასი საქართველოს მოქალაქე და რაც მთავარია, საქართველოს გააჩნდა საკუთარი სათბობ-ენერგეტიკული ბაზა, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას.

ცხრილი 2.
ქვანახშირის მოპოვების ლიცენზიით განსაზღვრული ტყიბული-
-შაორის რეზერვები 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
(ათას ტონებში)

აუზი	**A**	**B**	**C1**	**A+B+C1**	**C2**	**სულ ერთ აუზზე**
ე. მინდელის სახელობის	3 591	30 144	14 235	47 970	60	48 030
ა. ძიძიგურის სახელობის	205	1595	738	2 538	2	2 538
სხვა	2	121 988	108 847	230 835	49 746	280 581
სულ	3 796	153 728	123 820	281 344	49 806	331 149

ცხრილი 3.
საერთაშორისო JORC სისტემის შესაბამისად განსაზღვრული
ქვანახშირის რეზერვები 2013 წლის 25 აპრილის მდგომარეობით
(ათას ტონებში)

JORC კატეგორია								**სულ**	
სავარაუდო		**დადასტურებული**		**გაზომილი**		**განსაზღვრული**			
$მ^3$	ტონა	$მ^3$	ტონა	$მ^3$	ტონა	$მ^3$	ტონა	$მ^3$	ტონა
33 182	47 234	64 707	93 094	212 368	306 019	121 427	178 954	431 684	625 301

***,** წყარო: კომპანია „საქნაშირის“ მასალები.**

ცხრილი 4
საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები 2000-2014 წლებში

წლები	მაჩვენებლები			
	მთლიანი ამოღება, ათასი ტ	საშრეწველო პროდუქ-ცია, მლნ ლარი	მომუშავეთა რაოდენობა, კაცი	შრომის ნაყოფიერება, ათასი ლარი
1990	955,0	22,5	5 268	4,3
1995	43,0	0,8	1 889	0,43
2000	5,0	0,5	728	0,42
2005	5,1	2,2	496	4,44
2010	267,0	26,7	1 028	25,97
2014	350,0	36,2	1 539	23,52
2015	305,9	41,0	1 500	27,33
2016	296,5	37,6	1 500	25,07
2017	268,1	33,7	1 500	22,47
2018	137,9	19,7	1 400	14,07

*** ცხრილი შედგენილი სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების მიხედვით.**

როგორც შესწავლილი მასალების და ცხრილის 2 ანალიზიდან ჩანს ქვანახშირის მრეწველობა სხვა თანაბარ პირობებში მნიშვნელოვნად უკეთეს მდგომარეობაში იყო 1958-1991 წლებში, ხოლო შემდგომ წლებში 2 2009 წლამდე, ყველასათ-

ვის კარგად ცნობილმა გარემოებებმა ქვანახშირის მოპოვების სამთო-გეოლოგიური პირობების გართულებასთან ერთად საგრძნობლად შეამცირა ამ რესურსის მოპოვება, განაპირობა დარგის დაქვეითება, მატერიალურ-ტექნიკური და საწარმოო-ტექნიკური ბაზის გაუარესება, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მოშლა, პროდუქციის რელიზაციის გართულება და მთელი რიგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება.

2006 წელს დაარსდა კომპანია ,,საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)", რომელიც ახორციელებდა ქვანახშირის მოპოვებას, გამდიდრებას და რეალიზაციას 2019 წლამდე. სწორედ ამ პერიოდში განხორციელებული საინვესტიციო პროექტების შედეგად ,,საქნახშირი" გახდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი გამორჩეული კომპანია საქართველოს ინდუსტრიულ სივრცეში. კომპანიამ შეძლო შახტების რეაბილიტაცია და გაანაახლა ქვანახშირის მოპოვება ა. ძიძიგურისა და ე. მინდელის სახელობის შახტებში. 2009 წელს ექსპლოატაციაში შევიდა უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქვანახშირის გამამდიდრებელი ქარხანა. ქართული ქვანახშირი ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით, ადგილობრივი რესურსებიდან, თავისი მარაგის მასშტაბისა და მოპოვების გამოცდილებით, ჯერ კიდევ არსებული საინჟინრო-ტექნიკური და სამეცნიერო კადრებით, განსაკუთრებით ყურადსაღებია. ამასთან, 2015 წელს ამოქმედდა 13 მგვტ-იანი ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგური. ბოლო წლების მონაცემებით, დაახლოებით 1 500 მაღაროელი და სხვა პერსონალი იქნა დასაქმებული კომპანიის მიერ. მართალია, საქართველოში ქვანახშირის მოპოვების სამთო-გეოლოგიური პირობები შედარებით რთულია, ხოლო გამდიდრების თვალსაზრისით, ძნელად გასამდიდრებელი და ა.შ., მაგრამ თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში ეს სირთულეები დაძლევადია [5,6].

2019 წლის სექტემბრის თვიდან ტყიბულის ქვანახშირის შახტების მართვა და ,,საქნახშირის" 125 მილიონიანი აქტივები ახალ ინვესტორს, ქართველი და უკრაინელი ბიზნესპარტნიო-

რების მიერ დაფუძნებულ კომპანიას 2 „BMG Steel International Trading Company"-ის გადაეცა, რომელიც ვალდებულებას იღებს, ,,საქნახშირის" განვითარებაში პირველ ეტაპზე 8 მლნ ლარის ინვესტიცია განა-ხორციელოს, რაც დაკავშირებული იქნება საინვესტიციო პროექტის მომზა-დებასთან. ქვანახშირის გასაღების ბაზარი ითვალისწინებს ადგილობრივი მოთხოვნების გათვალისწინებას, რათა გამოყენებული იქნას ენერგეტიკულ ნახშირად თბოსადგურში (ახალი 150 მგვტ-იანი თბოსადგურის მშენებლობაში განსაზღვრულია დაახლოებით 100-120 მლნ აშშ დოლარამდე ინვესტიციის ჩადება), რომელმაც უნდა იმუშავოს ქვანახშირზე. ასევე გაითვალისწინება ქართული ნახშირის შავი ზღვის აუზის ქვეყნებში 2 თურქეთსა და უკრაინაში ექსპორტირება [7].

ამასთან, რა თქმა უნდა, მძლავრ ენერგეტიკას, თბოელექტროსადგურებს, მცირე ენერგეტიკას, ენერგიის არატრადიციულ (მზის და ქარის ენერგია, ბიომასა, თერმული წყლები, მეორადი ენერგორესურსები) სახეობებს, თავისი ფუნქციები, უპირატესობები და ნაკლოვნანებები აქვს და მათ ერთმანეთი უნდა შეავსონ, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნას ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დარგში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა და სექტორის განვითარება ინოვაციური და მდგრადი განვითარების პრინციპების საფუძველზე.

მიუხედავად მსოფლიოში არსებული გარკვეული პრობლემებისა, რაც წარმოჩინდა ეკოლოგიურობასთან და უსაფრთხოებასთან ერთად, ე. წ. ,,კორონავირუსის – COVID-19"-ის სახით, 2020 წლის პირველი ნახევრის მანძილზე პირველად ენერგიაში ქვანახშირის წილი ყველაზე დაბალ დონეზე 2 27 %-ით დაეცა ბოლო 16 წლის განმავლობაში, ხოლო ქვანახშირის მოხმარება შემცირდა 0.6 %-ით, რაც გამოწვეული იქნა ეთგო-ის (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია _ OECD/Organization for Economic Co-operation and Development) მოთხოვნის მკვეთრი ვარდნით. ამავე პერიოდში, ნახშირის გლობალური მოთხოვნა ყველაზე მძიმე აღმოჩნდა და თითქმის

8 %-ით დაეცა 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, რაც განაპირობა ზემოხსენებულ გარემოებებთან ერთად ჩინეთის ქვანახშირზე დაფუძნებული ეკონომიკის შემცირებამ, შედარებით იაფი გაზის და განახლებადი ენერგიის მუდმივმა ზრდამ, ასევე ნახშირის ზომიერად სტაბილურმა მოხმარებამ [8,9].

ამის მიუხედავად, ქვანახშირის მრეწველობა თანამედროვე მსოფლიოში ინარჩუნებს ეკონომიკის ბაზისური დარგის ერთ-ერთ ძირითად როლს და ნახშირი კვლავაც აგრძელებს დედამიწაზე ენერგიის მნიშვნელოვანი და უმეტესად პერსპექტიული ენერგიის წყაროს საფუძველს. დღესდღეობით ქვანახშირი ელექტროენერგიის წარმოების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს და მსოფლიო ენერგიის 36 %-ზე მეტი სწორედ მასზე მოდის. ამასთან, როგორც ცნობილია ნავთობის მარაგების საკმარისობა განსაზღვრულია – 40 წლით, გაზის – 60 წლით, ხოლო ქვანახშირის კი, – 270 წლით. ქვანახშირის მარაგები განსა-კუთრებით დიდია ისეთ ქვეყნებში როგორიცაა აშშ, რომელზეც მოდის მსოფლიო მარაგის (29 %), რუსეთზე – 19 %, ჩინეთზე – 14 %, ინდოეთზე – 7 %, ავსტრალიაზე – 9 %, რომლებზეც მოდის ქვანახშირის მსოფლიო მოპოვების თითქმის 80 %. მსოფლიოში დღესდღეისობით ქვანახშირის ენერგეტიკაზე მოდის 40 %, ჩინეთსა და ინდოეთში – 70-80 %, აშშ – 40 %, გერმანიაში დაახლოებით 50 % [10,11,12].

ზემოაღნიშნული, მსოფლიო ნახშირის მრეწველობაში არსებული მიმდინარე ტენდენციების და განვითარების სტრატეგიების მიმართულებების გათვალისწინება ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყანა ჩართულია საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში და სრულიად რეალურია ქვანახშირი საქართველოსთვის კვლავ სათბობ-ენერგეტიკული სექტორის მნიშვნელოვან რგოლად იქცეს ისტორიული და თანამედროვე კანონზომიერებების გათვალისწინებით.

მსოფლიოს მოწინავე ნახშირმომპოვებელი ქვეყნების და ჩვენი ქვეყნის ნახშირის მრეწველობის შესწავლილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ამ დარგის

აღდგენა და განვითარება ეროვნული ეკონომიკის თავისებურებების, მეურნეობრიობის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო სტრატეგიის განსაზღვრა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების ჭრილში, სადაც მნიშვნელოვანია დარგში არსებული სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნები, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორების გათვალისწინება. ქვანახშირის მოპოვებისა და მოხმარების თანამედროვე ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს ელექტროენერგეტიკა ენერგეტიკული კონცენტრატით, ხოლო შავი მეტალურგია – ტექნოლოგიური სათბობით. ამასთან, შესაძლებელია ქართული ქვანახშირის საყოფაცხოვრებო დანიშნულების თვალსაზრისითაც გამოყენება, რისთვისაც მნიშვნელოვანია გაიზარდოს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები საბადოთა დაზვერვის საიმედოობისა და კომპლექსურობის ამაღლების და ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს დამუშავების ტექნოლოგიური სქემის სრულყოფა; ამასთან, მომავალში, ამ დარგის სანედლეულო ბაზის ანალიზს საფუძვლად სწორედ კომპლექსური მიდგომა უნდა დაედოს, სადაც მნიშვნელოვანია შეფასდეს არა მხოლოდ ქვანახშირის მარაგი, არამედ ყველა მისი თანამდევი კომპონენტიც, რადგან როგორც ცნობილია ხშირად ქვანახშირის საბადოების დამუშავებისას გვხვდება ისეთი ქანებიც, რომლებიც ვარგისია მშენებლობისათვის, მეტალურგიული, ქიმიური და მრეწველობის სხვა დარგებისათვის [13,14,15]. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია დარგში გამოყენებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური საშუალებების და ორგანიზაციულ-მმართველობითი მეთოდების სრულყოფა, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საბადოებზე რთული სამთო-გეოლოგიური პირობების მავნე ზეგავლენა და დანაკარგები, მოხდეს საბადოს ეფექტიანი და რაციონალური ათვისება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვანახშირის მოპოვების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, აამაღლებს როგორც რეგიონის და ასევე, მთლიანად ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყნის ეკონომიკის ნგრევის პროცესმა, ტრადიციული კავშირების მოშლამ ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა ქვანახშირის მრეწველობის პროდუქციის გამოშვებაზე, მისი მატერიალური ბაზის სრულყოფასა და განვითარებაზე. მაშინ, როცა თანამედროვე პირობებში ქვეყანას ესაჭიროება სტაბილური ენერგეტიკული დამოუკიდებელი სისტემის ჩამოყალიბება, ხოლო ტერიტორია საკმაოდ მდიდარია ამ წიაღისეულის სამრეწველო მარაგით.

მსოფლიოს მოწინავე ნახშირმომპოვებელი ქვეყნების და ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მრეწველობის შესწავლილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ამ დარგის განვითარება ეროვნული ეკონომიკის თავისებურებების, მეურნეობრიობის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო სტრატეგიის განსაზღვრა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების ჭრილში, სადაც მნიშვნელოვანია დარგში არსებული სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნები, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოლოგიური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორების გათვალისწინება.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი. სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, 2019, 57 გვ.

2. http://www.eiec.gov.ge/თემები/ენერგია.aspx

3. https://factcheck.ge/ka/story/38195-გვჭირდება-თუ-არა--ახალი-ჰესების-მშენებლობა?fbclid=IwAR2nVY82fBKJugYYoBY96vSQybV1SpKe8PAJUnYQ8gFY2gSG-Q3feQ7yxQA0

4. ა.თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. ,,ნეკერი“, თბილისი, 2011. გვ. 29-64.

5.დ. ჩომახიძე, მ. ბასილაძე. ქვანახშირის მრეწველობის მდგომარეობა საქართველოში დღესდღეობით და მისი განვითარების ზოგადი კონცეფცია. ,,სამთო ჟურნალი“, № 2(39),

თბილისი, 2017. გვ. 13-16.

6. გ.ლობჯანიძე, გ. ტაბატაძე, გ. ნანიტაშვილი. სამთო-სამრეწველო კლასტერების ფორმირების პოტენციალის აქტუალური ასპექტები იმერეთის რეგიონში, ,,სამთო ჟურნალი“, № 1(40), თბილისი, 2020. გვ. 53-56.

7. https://bm.ge/ka/article/vin-gaxda-saqnaxshiris-axali-mflobeli---interviu-steel-international-trading-company-s-menejertan/41011

8. https://neftegaz.ru/news/ecology/554395-povorotnyy-moment-mirovoy-energetiki-pandemiya-covid-19-usilila-stremlenie-bp-k-0-voy-emissii-uglero/

9. https://www.ugmk.com/analytics/surveys_major_markets/coal/

10. https://mining-media.ru/ru/article/ekonomic/14678-globalnyj-rynok-uglya-sostoyanie-i-perspektivy

11. bp Statistical Review of World Energy 2020. Statistical Review of World Energy 2020, 69-th edition. 2020, 68 p.

12. Афанасьева М.В. Мировой угольный комплекс: динамика, сценарии и перспективы развития. Институт энергетической стратегии (ГУ ИЭС), 2013, с. 56.

13.გ. მაჩაიძე, გ. ლობჯანიძე, ა. ტაველიშვილი, დ. ლორია. ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს დამუშავების პრობლემები და მისი განვითარების პერსპექტივები. ,,სამთო ჟურნალი“, № 2), თბილისი, 2017. გვ. 16-20.

14. Дзидзигури А.А. Бетанели К.П. и др. Минеральные ресурсы Грузий и проблемы их рациональной разработки. ,,Мецниереба“, Тбилиси, 1991. 279 с.

REFERENCES:

1.National Statistics Office of Georgia. Georgia’s energy balance. Statistical Publication, Tbilisi, 2019, 57 p.

2. http://www.eiec.gov.ge/თემები/ენერგია.aspx

3. https://factcheck.ge/ka/story/38195-გვჭირდება-თუ-არა--ახალი-ჰესების-მშენებლობა?fbclid=IwAR2nVY82fBKJugYY

oBY96vSQybV1SpKe8PAJUnYQ8gFY2gSG-Q3feQ7yxQA0

4. A. Tvalchrelidze, A. Silagadze, G. Keshelashvili, D. Gegia. Georgian Socio-Economic Development Program. „Nekeri“, Tbilisi, 2011, p. 29-64. 5.

5.D. Chomakhidze, M. Basiladze. The state of the coal industry in Georgia today and the general concept of its development. „Mining Magazine“, # 2 (39), Tbilisi, 2017, p. 13-16.

6.G. Lobjanidze, G. Tabatadze, G. Nanitashvili. Current aspects of the potential for mining-industrial clusters formation in the Imereti region, „Mining Magazine“, # 1 (40), Tbilisi, 2020. p. 53-56.

7.https://bm.ge/ka/article/vin-gaxda-saqnaxshiris-axali-mflobeli-interviu-steel-international-trading-company-s-menejertan/41011

8.https://neftegaz.ru/news/ecology/554395-povorotnyy-moment-mirovoy-energetiki-pandemiya-covid-19-usilila-stremlenie-bp-k-0-voy-emissii-uglero/

9.https://www.ugmk.com/analytics/surveys_major_markets/coal/

10.https://mining-media.ru/ru/article/ekonomic/14678-globalnyj-rynok-uglya-sostoyanie-i-perspektivy

11.bp Statistical Review of World Energy 2020. Statistical Review of World Energy 2020, 69-th edition. 2020, 68 p.

12.Afanasyeva M. B. Peace corner complex: dynamics, scenarios and development perspectives. Institute of Energy Strategies (GU IJS), 2013, p. 56.

13.G. Machaidze, G. Lobjanidze, A. Tavelishvili, D. Loria. Problems of Tkibul-Shaori coal

mine and development perspectives. „Mining Magazine“, № 2, Tbilisi, 2017, p. 16-20.

14. Dzidziguri A.A. Bethaneli K.P. et al. Mineral resources of Georgia and the problems of their rational development. „Metsniereba“, Tbilisi, 1991, 279 p.

ECONOMIC DEVELOPMENT PERSPECTIVES OF COAL INDUSTRY OF GEORGIA

Davit Loria
PhD Student of GTU

RESUME

Since the 90s of the twentieth century, the process of collapse of the country's economy, the breakdown of traditional ties has had a negative impact on the output of the coal industry, on the improvement and development of its material base. While in modern conditions the country needs to establish a stable independent energy system, and the area is quite rich in industrial reserves of this mineral.

Given the study of the world's leading coal-producing countries and our country's coal industry, we consider it important to develop this field in accordance with the peculiarities of the national economy, the modern requirements of agriculture. Moreover, much attention should be paid to defining the strategy in the context of the energy security of the country, where it is important to take into account the requirements of the consumer market in the field, social, economic, environmental, political and other factors.

Key words: Economy, Fuel-Energy Resources, Coal, Reserves, Industry.

ავიაკომპანიის მომსახურების რანჟირება მგზავრთა იდენტიფიცირებული სეგმენტების მიხედვით

თამარ ღამბაშიძე
სტუ ასოცირებული პროფესორი

ნინო ხუჭუა
სტუ დოქტორანტი

შესავალი

საერთაშორისო ავიაბაზარზე არსებული მძაფრი კონკურენცია ავიაკომპანიებს მარკეტინგული ღონისძიებების გატარების აუცილებლობისაკენ უბიძგებს. აღნიშნულის განხორციელება მხოლოდ იმ ფაქტორთა ანალიზის შედეგად არის შესაძლებელი, რომელიც ავიაკომპანიის ეფექტიან მუშაობას განაპირობებს. სამოქალაქო ავიაციის ნებისმიერი საწარმო არსებობს და ფუნქციონირებს მარკეტინგულ გარემოში, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს მომხმარებელი, მგზავრი, წარმოადგენს. მგზავრთა სურვილები და გემოვნება განსაზღვრავს საავიაციო ბაზრის კონიუნქტურას, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ბაზარზე სამოქმედო სტრატეგიის შემუშავებისას. სტატიაში საავიაციო ბაზრის სეგმენტაცია და რანჟირება შემუშავებული და სისტემატიზირებულია ავტორთა ემპირიული კვლევის, პირველადი მონაცემების, სამოქალაქო ავიაციის ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების პუბლიკაციებისა და დარგში მოღვაწე ავტორების თემატური სახელმძღვანელოების საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: ავიაკომპანია, მგზავრი, სეგმენტაცია, ავიარეისი, მარკეტინგი, მომხმარებელი.

ძირითადი ტექსტი

ავიაკომპანიის განვითარებაზე მოქმედი მარკეტინგული გარემო - ეს არის ფირმის საზღვრებში და საზღვრებს მიღმა

მოქმედი აქტიური სუბიექტებისა და სხვადასხვა ძალთა ერთობლიობა, რომლებიც ხელმძღვანელების შესაძლებლობაზე ახდენენ გავლენას, რათა დაამყარონ და შეინარჩუნონ ხელსაყრელი თანამშრომლობა მიზნობრივ მომხმარებელთან.

ავიაგადამყვანს საკუთარი პოტენციალიდან გამომდინარე შეუძლია მოემსახუროს ბაზრის ხუთ ტიპს: მომხმარებელთა, მწარმოებელთა, შუალედურ გამყიდველთა, სახელმწიფო დაწესებულებათა და საერთაშორისო ბაზარს. ჩვენი ყურადღება სამომხმარებლო ბაზრის შესწავლას დაეთმო, რომელიც მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფებისაგან, ანუ სეგმენტებისაგან შედგება. საავიაციო ტრანსპორტის ბაზრის კვლევისას იკვეთება მომხმარებელთა მოთხოვნილებები. დიდი მნიშვნელობა აქვს კლიენტურის კატეგორიას, რადგან მათი სურვილები და გემოვნება განსაზღვრავს ავიასაწარმოს განვითარების მიმართულებას. კონკრეტული სეგმენტის მომხმარებლები ერთნაირად რეაგირებენ ავიაკომპანიის მხრიდან შეთავაზებულ მარკეტინგულ კომპლექსებზე და ქმნიან პროდუქტის, ფასისა და რეკლამირების რეალურ საფუძველს. არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც მომხმარებელთა დიფერენციაციისათვის გამოიყენება. სეგმენტაცია კომპანიებს რთული არჩევანის წინაშე აყენებს, რადგან შეუძლებელია სეგმენტში არსებული ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მნიშვნელოვანია იმ ძირითადი კრიტერიუმების გამოყოფა, რომელსაც მომხმარებელი ითვალისწინებს ავიაგადამყვანის შერჩევისას. ტრადიციულად, ავიატრანსპორტის მომხმარებლების სეგმენტაციისათვის სამი ფაქტორი გამოიყენება:

- ფრენის დანიშნულება;
- ფრენის მანძილი;
- მგზავრთა სუბკულტურა.

ჩამოთვლილთაგან ფრენის დანიშნულება ფუნდამენტალური ფაქტორია, ამ ძირითადი დაყოფით განირჩევიან ბიზნეს და დამსვენებლი მგზავრები. მომხმარებელთა გამიჯვნა ბიზნეს და დამსვენებელ ჯგუფებად ავიაკომპანიისათვის მეტად ფასეულია. Fფრენის მიზეზებმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ მომხმა-

რებელთა კველვის პროცესში ზუსტი დიფერენციაციისათვის, საჭიროა მოვახდინოთ, მგზავთა ქვესეგმენტაცია.

ნახაზი N1. მგზავრთა სეგმენტაცია



მგზავრთა დაყოფა ჯგუფებად და ქვეჯგუფებად ავიაკომპანიის მენეჯერებს აძლევს შესაძლებლობას, რომ განახორციელონ მომხმარებელთა სერვისის კონკურენტიანი რანჟირება ფრენის მანძილისა და დანიშნულების გათვალისწინებით (იხ. ნახ.2).

ავიაბაზრის სეგმენტაციის დროს ტერმინი "დემოგრაფიული" გამოიყენება მგზავრთა ფიზიკური და ხილვადი ნიშნებისა და თვისებების, ხოლო "ფსიქოლოგიური" სეგმენტის უხილავი ურთიერთდამოკიდებულებების დასახასიათებლად.

დემოგრაფიული თვალსაზრისით ბიზნეს-სეგმენტის სტერეოტიპს წარმაოდგენს შუახნის მამრობითი სქესის მგზავრი. მაგალითად ევროპაში საქმიანი მგზავრის 80% მამაკაცია და მათი საშუალო ასაკი 47 წელია. იაპონიაში ქალების როლი ბიზნესში შეზღუდულია, თუმცა ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში, ამ მხრივ რადიკალურად საპირისპირო ცვლილეებები იჩენს თავს. "jobs for life"-ის პრინციპი, რომელსაც მრავალი ავიაგადამყავნი ითვალისწინებს, გულისხმობს, რომ მომხმარებელთა საქმიანი ჯგუფი ბიზნეს-სეგმენტში საპენსიო ასაკამდე რჩება, მაგა-

ახაზი N2. ავიაკომპანიის მომსახურების რანჟირება, მომხმარებელთა სეგმენტების მიხედვით



ლითად აიაპონიაში. მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია ის გარემობაც, რომ თანამედროვე ეკონომიკური დინამიკა ფირმებს ხარჯების შემცირებისაკენ უბიძგებს, ამიტომ ხშირია თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლება, რაც მომუშავეთა ასაკობრივ ზღვარს კიდევ უფრო ქვევით სწევს. ეს ფაქტი, კი ზეგავლენას ახდენს საშუალო ასაკის საქმიან მგზავრებზე.

დემოგრაფიული თვალსაზრისით ბიზნეს-მგზავრის, მნიშვნელოვან კატეგორიას წარმოადგენს სოციალურად უზრუნველყოფილი ინდივიდები, რომლებიც იმ ქვეყნის მოსახლეობის ნაწილს წარმოადგენენ, სადაც საშუალო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე , წელიწადში, მაღალია: ლუქსემბურგი 115.536 აშშ დოლარი, სინგაპური 64.578 აშშ დოლარი, ნორვეგია 81.549, გაერთიანებული სამეფო 43.058 აშშ დოლარი. ასეთი ტიპის მგზავრებს შეუძლიათ სიამოვნება მიიღონ ბორტზე არსებული ფასიანი სერვისებით, შესაბამისად, ავიაგადამყვანებს შორის

არსებობს მძაფრი კონკურენცია აღნიშნული კატეგორიის მომხმარებლების მომსახურების მიმართულებით. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში ბიზნეს-სეგმენტის მიერ შესრულებული რეისების საშუალო სიხშირე წელიწადში ათს აღემატება. Fფრენის მაღალი სიხშირე წარმოქმნის შემდეგ შედეგს:

ავიაგადამყვანის მომსახურების შეფასების მიმართულებით, ბიზნეს-სეგმენტის წარმომადგენლები ხდებიან ექსპერტები, რადგან მათთვის ცნობილია ყველა ის სერვისი, რომელსაც სხვადასხვა ავიაკომპანია სთავაზობს მომხარებელს. ყველა ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მგზავრებს შესაძლებლობა აქვთ მოახდინონ შედარება ავიაგადამყვანის სერვისების დონეებს შორის. თანამედროვე პირობებში საქმიანი მგზავრი ავიაკომპანიისათვის მიმზდიველ სეგმენტად რჩება.

ფსიქოლოგოგიური თვალსაზრისით ბიზნეს-მგზავრის ორი დამაახასიათებელი თვისება იკვეთება: პირველი, მათ როგორც წესი, მყარი დასაბუთებული მოსაზრებები გააჩნიათ და მეორე, ხშირად მზად არიან გამოთქვან ეს მოსაზრებებები ხმამაღლა.

განსახვავება ბიზნეს და დამსვენებელ სემგენტებს შორის იწყება დამსვენებელი სეგმენტის დემოგრაფიული ფაქტორით. ბიზნეს-სეგმენტისაგან განსხვავებით, სადაც მგზავრთა უმეტესობა მამაკაცია, დამსვენებლ ჯგუფში არსებობს მამრობითი და მდედრობითი სქესის რაოდენობრივი ბალანსი.

ასაკი - დამსვენებლი მგზავრების სეგმენტი ყველა ასაკის მომხმარებელს აერთიანებს, ამ მიმართულებით არ არსებობს ჯგუფში მკვეთრად გამოხატული კატეგორია.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო მოსახლეობის მიგრაციულმა პროცესებმა სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობის ერთმანეთთან კავშირს შეუწყო ხელი. აღნიშნულმა, კი ავიაბაზრის დამსვენებელი ჯგუფის სეგმენტში განსხვავებული ქვესეგმენტის ფორმირება გამოიწვია - მგზავრები, რომლებიც ფრენას იყენებენ ნათესავების მოსანახულებლად. ამ მიმართულებით აღსანიშნავია მომხმარებელთა საერთო მოცულობაში ბავშვების ხვედრითი წილის მატება. მსოფლიო მოსახლეობაში შემოსავლების ზრდის დინამიკამ, რეისების სიხშირემ, ბილეთის

ღირებულების კლებამ, ბიუჯეტური ავიაგადამყვანების შემოსვლამ ბაზარზე, მნიშვნელოვნად გაზარდა დამსვენებელი ჯგუფის საავიაციო ტრანსპორტის გამოყენების სიხშირე.

დემოგრაფიული ფაქტორების გარდა ბიზნეს და დამსვენებელი სეგმენტების მოთხოვნებშიც არსებობს განსხვავება. დამსვენებელი სეგმენტის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას ავიაბაზარზე ფრენის დაბალი ტარიფი წარმოადგენს, რადგან აღნიშნული მომხმარებელი საკუთარი ფინანსებით სარგებლობს და დიდია მგზავრობის ხარჯების შემცირების მოტივაცია.

სეზონურობა – დამსვენებლი მგზავრების მოთხოვნები თავს იჩენს გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში, ხოლო საქმიანი მგზავრის მხრიდან ფრენების მიმართ მოთხოვნას სეზონურობა არ გააჩნია.

რეისის განრიგის მიმართ დამსვენებლი სეგმენტის დამოკიდებულება ლოიალურია, რადგან მათ შეუძლიათ ფრენა განახორციელონ დღის და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში. ფაქტორი, რომელსაც დამსვენებლი მგზავრი უდიდეს ყურადღებას უთმობს ავიაკომპანიის შერჩევისას გახლავთ: ბილეთის ფასი.

მგზავრის სუბკულტურა – მომხმარებელთა დიფერენციაციის მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს. მოთხოვნილებების სახესხვაობას მათი სუბკულტურა განაპირობებს. იკვეთება აშკარა განსხვავება პროდუქტის სტანდარტებს შორის. განვითარებადი ქვეყნების მგზავრების მოთხოვნა ავიაკომპანიის მიმართ არის ზენორმატიული ბარგის გადაზიდვის შესაძლებლობა, მაშინ, როდესაც განვითარებული ქვეყნების მომხმარებლებისათვის მომსახურების დონეა პრიორიტეტული.

საავიაციო სამგზავრო რეისები ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდეს ისეთი სპეციფიკის მიხედვით, როგორიცაა სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობის ფიზიკური მასახიათებლები, სიმაღლე, წონა, რელიგიური მრწამსი. რომელიც აყალიბებს ბორტზე მომსახურების სპეციფიკას. შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობის საშუალო სიმაღლე ბევრად ნაკლებია, ვიდრე ევროპელი და ჩრდილო-ამერიკელი საზოგადოების.

მგზავრის სუბკულტურის გათვალისწინება მომხმარებელთა კლასიფიკაციის პროცესში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, აღნიშნული ავიასაწარმოს ეხმარება მძაფრი კონკურენციის პირობებში უზრუნველყოს ისეთი მომსახურების გაწევა, რომელიც შესაბამისობაში მოვა არსებულ მოთხოვნებთან.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ავიაკომპანიის მომსახურების საწყის პროდუქტს, სამომხმარებელო ბაზარზე, მგზავრთა გადაყვანა წარმოადგენს, რომელიც ერთი შეხედვით ყველა არსებულ და პოტენციურ საავიაციო გადამყვანს ხელეწიფება, მაგრამ თანამედროვე მეგა ტენდენციებმა - რომლის განუყოფელ ნაწილი ინფორმაციის წვდომის სიმარტივეა, შეცვალა ავიაგადმყვანების მხრიდან მგზავრთან ურთიერთსარგებლიანი ადაპტაციის მიდგომები. მომსახურების მრავალრიცხოვნება და მრავალფეროვნება მგზავრს თავისუფალს ხდის ავიაბილეთის შერჩევის პროცესში, მაგრამ ამავე დროს ართულებს კონკრეტული ავიაკომპანიის სასარგებლოდ გაკეთებულ არჩევანს. Aამდენად, ავიაგადამყვანისათვის ახალი შესაძლებლობების გამოვლენის ერთ-ერთ საშუალებას დროისა და ბაზრის მასშტაბების ცვლილებების გათვალისწინებით, მომხმარებელთა დიფერენციაცია და მომსახურების ღირებულებითი კომპონენტის იდენტიფიკაცია წარმოადგენს.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. სტეფან შაუ. “ავიაკომპანიების მარკეტინგი და მენეჯმენტი”. 2015.წ

2. ჯერალდ ნ.კუკი, ბრუს ჯ.ბილინგი. “ავიაკომპანიების ოპერაციული მენეჯმენტი” 2018.წ

3. იკაო, 2019 წ

4. იატა 2019

REFERENCES:

1.Stephan Shaw. “airlines marketing and manegment” 2015 year.

2.Gerald N. cook. Bruce G.Billing “Airline operations and management” 2018 year.

3.ICAO 2019 year.

4. IATA 2019 year.

AIRLINE SERVICE ARRANGEMENT ACCORDING TO IDENTIFIED PASSENGER GROUP SEGMENT

Tamar Gambashidze,
PhD, Associate Professor,
Nino Xuchua,
PhD Student of GTU

RESUME

Severe competition in international aviation market stimulate the aviation companies to lead the marketing activities. Mostly it is possible through analyzing those factors to determine which directly or indirectly contribute to the effective performance of air companies. Any enterprise of civil aviation exists and functions in a maketing environment, where its important end user is its customer – passenger. The taste and wishes of the customers define the market, which is vital when planning the marketing strategy.

The Marketing environment impacting the airline development – this is a combination of active subjects and other driving forces inside and outside the company, which influence the marketing executives in order to attract and to maintain useful cooperation with the target audience. In the article, ranging of the segmentation and service of airline passenger, is being elaborated and systematized based on initial data, author’s empirical findings, international and national aviation publications and thematic tutorials of foreign authors.

Key words: Airline, passenger, segmentation, airway, marketing, consumer.

ახალი ინოვაციური პრეპარატი სოფლის მეურნეობაში

ალექსანდრე სხირტლაძე
ემდ, ფარმაციის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის სტიპენდიანტი

გლობალური დათბობის პირობებში სულ უფრო რთული ხდება მაღალი ხარისხის და სასურველი რაოდენობის ხორბლის მიღება. ამის გამო, მეტად მნიშვნელოვანია სწორი აგრო-ტექნიკური ღონისძიებების ჩატარება და ეფექტური ბიოსტიმულატორების გამოყენება.

შპს „სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება ევრიკამ“ შექმნა მაღალეფექტიანი ორგანულ-მინერალური სასუქი „ალზურინი“, რომელიც ხორბლის და სიმინდის კულტურებში 5 წლის განმავლობაში წარმატებით იცდებოდა, რა დროსაც დადგინდა, რომ „ალზურინის“ მოქმედებით ხორბლის და სიმინდის მოსავლიანობა 30-60%-მდე იზრდება, უმჯობესდება მარცვლის ხარისხი, მიიღება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია.

2019-2020 წლებში, პრეპარატ **„ალზურინის“** გავლენა შეისწავლებოდა ფირმა „ლომთაგორაში“ ქართული ხორბლის ჯიშებზე: **„თეთრი დიკა“, „ახალციხის წითელი დოლი“, „შავფხა“** და **„ლომთაგორა-126“**.

2019 წელს ხორბლის ნათესი პრეპარატ ალზურინით ჯეჯილის განვითარების ორ სტადიაში, პირველად – აღერების დასასრულსა და მეორედ ყვავილობის წინ დამუშავდა. სასუქი ორივე შემთხვევაში დამოუკიდებლად _ **„ალზურინი“** _ წყალი (1:100), სხვა პრეპარატებთან შერევის გარეშე, მარტივი წყალხსნარების სახით შესხურდა. აგროფონი ამ შემთხვევაშიც ყველა ჯიშისათვის იყო საერთო და ფირმა „ლომთაგორაში“ მიღებულ ტექნო-

ლოგიურ სქემას შეესაბამებოდა, კერძოდ, გამოყენებული იყო მინერალური სასუქი, ფუნგიციდი, პესტიციდი და ჰერბიციდი, ასევე, ნათესის გარკვეულ ფართობში არ იქნა მინერალური სასუქი შეტანილი. პრეპარატის გავლენა შესწავლილ იქნა ისეთ მაჩვენებლებზე, როგორიცაა: **მოსავლიანობა, მცენარეთა სიმაღლე და მარცვლის ნატურა.**

მიღებული მონაცემები მოყვანილია **N 1 და N 2 ცხრილებში**.

ცხრილი N 1 (სასუქთან ერთად)

ხორბლის ჯიშის დასახელება	ფართ. ჰა	პრეპარატის გმოყენება	მოსავალი, ტ	მოსავლის მატება, %	მარცვლის ნატურა, გრ	±	მცენარის სიმაღლე, სმ	±
შავფხა	0.5	პრ.გარეშე	2.25		700		130	
შავფხა	0.5	პრეპ. დამუშ	2.95	31.1	710	+10	142	+12
ახალც.წ.დოლი	0.5	პრეპ.გარეშე	2.60		720		120	
ახალც.წ დოლი	0.5	პრეპ. დამუშ	3.31	27.3	739	+19	128	+8
თეთრი დიკა	0.5	პრეპ. გარეშე	2.35		755		117	
თეთრი დიკა	0.5	პრეპ. დამუშ	2.98	26.8	767	+12	122	+7

ცხრილი N 2. (სასუქის გარეშე)

ხორბლის ჯიშის დასახელება	ფართ. ჰა	პრეპარატის გმოყენება	მოსავალი, ტ	მოსავლის მატება, %	მარცვლის ნატურა, გრ	±	მცენარის სიმაღლე, სმ	±
შავფხა	0.5	პრ.გარეშე	1.86		630		123	
შავფხა	0.5	პრეპ. დამუშ	2.32	24.7	649	+19	135	+12
ახალც.წ.დოლი	0.5	პრეპ.გარეშე	2.20		685		103	
ახალც.წ.დოლი	0.5	პრეპ. დამუშ	2.67	21.3	705	+20	113	+10
თეთრი დიკა	0.5	პრეპ. გარეშე	2.02		715		105	
თეთრი დიკა	0.5	პრეპ. დამუშ	2.41	19.3	732	+17	116	+11

N 1 და N 2 ცხრილების მონაცემები მიუთითებენ პრეპარატის პოზიტიურობაზე, როგორც მოსავლიანობის, ისე ზოგიერთი ბიომეტრიული მაჩვენებლის ცვლილების მიმართ.

2019 წლის შემოდგომაზე, მცენარეთა ფესვთა სისტემისა და საასიმილაციო აპარატის განვითარებაზე პრეპარატ „ალზურინი"-ს გავლენის შესწავლის მიზნით, წინასწარ, ხორბლის ჯიშის „ლომთაგორა-126"-ს 1 ტ თესლი დამუშავდა პრეპარატის პროპორციით „ალზურინი"-წყალი (2:8). ხორბალი დაითესა 3.5 მლნ/ჰა რაოდენობით. ასეთივე რაოდენობით დაითესა საკონტროლო ნაკვეთიც, რომელიც დამუშავებული იყო იმპორტული მაღალმოსავლიანი მცენარეთა ზრდის სტიმულატორით. 3-4 ფოთლის განვითარების შემდეგ, 14 ნოემბერს, საცდელ ნათესს მიესხურა „ალზურინი"-ს 0.5 % წყალხსნარი. დაკვირვების მონაცემები, რომლებიც მცენარის თესვიდან 2 თვის შემდეგ, საშემოდგომო ბარტყობის ფაზის დასრულების შემდეგ ჩავატარეთ, მოტანილია სურათზე 1 და N 3-ე ცხრილში:

ცხრილი 3.

N	ვარიაციის დასახელება	ერთი თესლიდან განვითარებულ ფოთოლთა რაოდენობა (საშუალო)	ფესვთა სისტემის განვითარების ხარისხი
1	ალზურინი	8.72 ფოთოლი	ძლიერად განვითარებული
2	საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი)	4.43 ფოთოლი	საშუალოდ განვითარებული

სურათი 1. მარცხნივ - საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი), მარჯვნივ - ალზურინი (27.11.2019)

სურათი 1 და N3 ცხრილის მონაცემები მიუთითებს „ალზურინი"-ის აშკარა დადებით გავლენაზე, როგორც საასიმილაციო, ასევე, ფესვთა სისტემის განვითარების მიმართ.

2020 წლის 4 თებერვალს და 20 მარტს კიდევ ორჯერ შემოწმდა საკონტროლო და ალზურინით დამუშავებული ხორბლის ნათესები. როგორც პირველ შემთხვევაში, ამ პერიოდებშიც ხორბლის ნერგები ამოღებულ იქნა ნაკვეთის სხვადასხვა ადგილებიდან, გაირჩა, გაირეცხა და ამოირჩა 7-7 საუკეთესო ნერგი. გავაანალიზეთ ერთი თესლიდან განვითარებული ღეროების რაოდენობა. შედეგები მოყვანილია ცხრილში №4 და 5 და სურათებზე 2 და 3.

ცხრილი 4.

N	ვარიაციის დასახელება	ერთი თესლიდან განვითარებულ ღეროთა საშუალო რაოდენობა (04.02.2020)	ფესვთა სისტემის განვითარების ხარისხი
1	ალზურინი	9.1 ღერო	ძლიერად განვითარებული
2	საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი)	4.5 ღერო	საშუალოდ განვითარებული

ცხრილი 5.

N	ვარიაციის დასახელება	ერთი თესლიდან განვითარებულ ღეროთა საშუალო რაოდენობა (20.03.2020)	ფესვთა სისტემის განვითარების ხარისხი
1	ალზურინი	7.7 ღერო	ძლიერად განვითარებული
2	საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი)	3.5 ღერო	საშუალოდ განვითარებული

სურათი 2. მარცხნივ - საკონტროლო (იმპორტული სტიმულა-ტორი), მარჯვნივ - ალზურინი (04.02.2020)

სურათი 3. მარცხნივ - საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი), მარჯვნივ - ალზურინი (20.03.2020)

2020 წლის 29 მაისს გავაანალიზეთ საცდელი და საკონტროლო ნათესების საშუალო სიმაღლე, ბიომასა, თავთავების რაოდენობა და წონა აღებული 1მ^2-ზე (ცხრილი 6, სურათი 4 და 5).

ცხრილი 6.

N	ვარიაციის დასახელება	მცენარის ბიომასა 1მ^2-ზე	მცენარის სიმაღლე	თავთავების რაოდენობა	თავთავების მასა
1	ალზურინი	6.4 კგ	98 სმ	872 მათ შორის 66 პატარა	2.3 კგ
2	საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი)	4.2 კგ	81 სმ	720 მათ შორის 140 პატარა	1.6 კგ

შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ „ალ-ზურინი“-ს გამოყენებით შესაძლებელია 1 ჰექტარზე მივიღოთ 64 ტ სილოსი.

სურათი 4. მარცხნივ - საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი), მარჯვნივ - ალზურინი (29.05.2020)



სურათი 5. მარცხნივ - საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი), მარჯვნივ - ალზურინი. ერთნაირი ზომის ფურცელზე დალაგებულია 20-20 თავთავი თითოეულ რიგზე (29.05.2020)

2020 წლის 16 ივნისს მოხდა „ალზურინი“-თ დამუშავებული მოსავლის აღება, ხოლო 12 დღის შემდეგ - საკონტროლო. შედეგები მოყვანილია ცხრილში 7.

ცხრილი 7

N	ხორბლის ჯიშის დასახელება	ფართ. ჰა	პრეპარატის გამოყენება	მოსავალი, ტ	მოსავლის მატება, %
1	LG-126	1	საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი)	4.8 ტ	
2	LG-126	1	ალზურინი	7.9 ტ	+64.5 %

როგორც ირკვევა, „ალზურინი“ არა მარტო საშუალოდ 64 %-მდე ზრდის მოსავლიანობას, არამედ 2 კვირით აჩქარებს მის მომწიფებას.

2019 წელს პრეპარატ „ალზურინი“-ს გავლენა შეისწავლებოდა სიმინდის ჰიბრიდ „ლომთაგორა-1“-ზე. დათესვამდე 1 ტ თესლი დამუშავდა პროპორციით ალზურინი-წყალი-ფუნგიციდი 2:8:0.5. იცდებოდა თესლის დამუშავების და ვეგეტაციის პერიოდში 2-ჯერადი შესხურების ეფექტიანობის თვალსაზრისით. აგროფონი იყო ერთნაირი და შეესაბამებოდა ფირმა „ლომთაგორა“-ში მიღებულ აგროტექნოლოგიურ ფონს.

შესწავლილი იქნა პრეპარატის გავლენა მოსავლიანობაზე მხოლოდ პრეპარატით დამუშავებული თესლით ნათესი ფართობებისათვის შესხურების გარეშე და აგრეთვე, ამგვარი თესლით ნათეს ფართობებზე 2-ჯერადი შესხურებით მიღებული ეფექტიანობის დასადგენად. დაკვირვების მასალები თავმოყრილია N 8-ე და N 9-ე ცხრილებში.

ცხრილი 8. (სასუქთან ერთად ცხრილი)

N	ვარიანტის დასახელება	მოსავლიანობა, ტ/ჰა მხოლოდ თესლის დამუშავება	მოსავლიანობა, ტ/ჰა თესლის დამუშავება + შესხურება	მატება %-ში, მხოლოდ თესლის დამუშავება	მატება %-ში, თესლის დამუშავება + შესხურება
1	ალზურინი 1	7.8	7.9	+23.8	+25.4
2	საკონტროლო	6.3			

ცხრილი 9. სასუქის გარეშე

N	ვარიანტის დასახელება	მოსავლიანობა ტ/ჰა მხოლოდ თესლის დამუშავება	მოსავლიანობა ტ/ჰა თესლის დამუშავება + შესხურება	მატება %-ში, მხოლოდ თესლის დამუშავება	მატება %-ში, თესლის დამუშავება + შესხურება
1	ალზურინი 1	7.0	7.2	+29.6	+33.3
2	საკონტროლო	5.4			

როგორც ცხრილების მასალებიდან ირკვევა, „ალზურინი“-ის შემთხვევაში მოსავლიანობის მატების მონაცემები 23.8-დან 33.3-მდე პროცენტის ფარგლებში ცვალებადობს.

ტაროს ანალიზისას გამოიკვეთა გარკვეული ცვლილებები, ტაროზე განვითარებული მარცვლის მწკრივების რაოდენობათა მიხედვით. კერძოდ, სიმინდის ჰიბრიდ „ლომთაგორა-1“-სათვის დამახასიათებელი 14-16 რიგის ნაცვლად, „ალზურინი“-ის შემთხვევაში 18 მწკრივიანმა ტაროების რაოდენობამ შეადგინა 4 პროცენტი, რაც ჩვენი აზრით შედეგია პრეპარატის აქტიური ზემოქმედებისა, როგორც ფესვთა სისტემის, ასევე, საასიმილაციო აპარატის მიმართ.

2020 წლის გაზაფხულზე პრეპარატ „ალზურინი“-თ დამუშავდა 1 ტ სიმინდის ჰიბრიდ „ლომთაგორა-1“-ის თესლი პროპორციით ალზურინი-წყალი-ფუნგიციდი 2:8:0.5. ვეგეტაციის პერიოდში 2-ჯერ შესხურდა. აგროფონი იყო ერთნაირი და შეესაბამებოდა ფირმა „ლომთაგორა“-ში მიღებულ აგროტექნოლოგიურ ფონს. ალზურინით დამუშავებულ თესლს გამოუვლინდა გაღივებისა და აღმოცენების სწრაფი უნარი და განვითარების მარალი ტემპი, რითაც მნიშვნელოვნად გადააჭარბა საკონტროლო ნათესებს. შედეგები მოყვანილია სურათზე 6.

სურათი 5. მარცხნივ - საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი), მარჯვნივ - ალზურინი. (08.07.2020)

10 აგვისტოს შევამოწმეთ ტაროების განვითარების ხარისხი. შედეგები მოყვანილია სურათზე 6 და ცხრილში 10.

ცხრილი 10 (საშუალო მაჩვენებელი 1 ტაროზე გადაანგარიშებით)

ვარიანტის დასახელება	მწკრივების რაოდენობა	სიგრძე, სმ	სიგანე, სმ	მარცვლის რაოდენობა	წონა, გ	მატება
ალზურინი	16	21	4.5	684	309	49.27 %
საკონტროლო	16	17	4	544	207	-

სურათი 6. მარცხნივ - საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი), მარჯვნივ - ალზურინი. (10.08.2020)

აღსანიშნავია, რომ იმპორტული სტიმულატორით დამუშავებული 5 საუკეთესო ტარო შერჩეულ იქნა უახლოესი 25 მცენარიდან, ხოლო ალზურინით დამუშავებული კი 7 მცენარიდან. ამასთან, საკონტროლო ტაროები ყველა დაზიანებული იყო მავნებლის მიერ, ხოლო ალზურინით დამუშავებული კი ყველა ბოლომდე იყო განვითარებული. როგორც ჩანს, ალზურინი არა მატრო ზრდის მოსავლიანობას, არამედ იცავს მცენარეს მავნებლებისაგან. ასეთი მაღალი შედეგი მიღწეულ იქნა მიუხედავად იმისა, რომ ივნისის თვეში ნათესები ძლიერად დაისეტყვა.

ლომთაგორას მეურნეობაში 2020 წლის 10 ივლისს, ხორბლის ნათესების აღების შემდეგ, იმავე ნაკვეთზე დაითესა სასილოსე სიმინდი, რომლის ნაწილი თესვის წინ დამუშავდა ალზურინით. აღმოცენდა 100 %-ით და 10 აგვისტოს შევადარეთ საკონტროლო ნათესებს. შედეგები ნაჩვენებია სურათზე 7 და ცხრილში 11.

ცხრილი 11. (გაანალიზებულია 5 მცენარე)

ვარიანტის დასახელება	განვითარ. ფოთოლი	სიმაღლე, სმ	წონა, გ	მატება
ალზურინი	10	110	853	139.6 %
საკონტროლო	10	80	356	-

აღსანიშნავია, რომ საკონტროლოდ შერჩეული მცენარეების მსგავსი განვითარების მაჩვენებელი -0.5 %, ხოლო ალზურინით დამუშავებულისა კი -45 %.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ევრიკა“-ს მიერ მოწოდებული პრეპარატი „ალზურინი“ უდაოდ ეფექტიანია როგორც სიმინდის, ასევე, ხორბლის მოვლა-მოყვანის საქმეში. პრეპარატი უკვე სერტიფიცირებულია, რაც ფერმერებს საშუალებას მისცემს „ალზურინი“ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებში გამოიყენონ.

სურათი 7. მარცხნივ - საკონტროლო, მარჯვნივ - ალზურინი. (10.08.2020)

პრეპარატის გამოცდის დროს კონსულტაციას გვიწევდა, სმმ დოქტორი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენ-ტრის მთავარი აგრონომი, ადოლ ტყეშელაშვილი. **საკონტაქტო ტელფონი: 599 77 51 46**

A NEW INNOVATIVE DRUG IN AGRICULTURE

Alexander Skhirtladze,
PhD, Doctor of Pharmacy and Economic Sciences, Professor,
Fellow of the Georgian National Academy of Sciences

RESUME

In the conditions of global warming, it is becoming increasingly difficult to obtain the high quality and desirable quantity of wheat. Because of this, it is very important to take proper agro-technical measures and use effective bio stimulants.

In the article there are analyzed the main scientific results of the innovative drug usage in agriculture. LLC "Scientific-Industrial Union Eureka" created a highly effective organic-mineral fertilizer "Alzurin". It was successfully tested in wheat and corn crops for 5 years, during which it was confirmed that the usage of "Alzurin" increases the wheat and corn harvest by 30-60%. The Grain quality is improved, ecologically pure products are obtained.

Key Words: Innovation, Alzurin, Wheat and Corn Harvest, Agriculture.

რედაქციისაგან

P.S. ***ჟურნალ „ეკონომიკის" რედაქცია რედკოლეგიის წევრს-ემდ, პროფესორს, ბატონ ალექსანდრე სხირტლაძეს ულოცავს ამ დიდ აღიარებას, გამარჯვებას, რომელმაც*** *შპს „სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება ევრიკას", მისი პარტნიორების* ***უშუალო*** *დახმარებით,* ***ლომთაგორას*** *საცდელი მეურნეობის და სხვათა თანადგომით მიაღწია. დარწმუნებული ვართ, რომ მომავალში ბევრი წარმატებები იქნება და ამით საქართველო სათანადო წვლილს შეიტანს ერთ-ერთი გლობალური პრობლემის გადაწყვეტაში.*

რედაქციის სახელით: **რევაზ შენგელია,**
მთავარი რედაქტორი, ემდ, სტუ პროფესორი

გლობალური სასურსათო პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალების შესახებ

(შპს „სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება ევრიკას“ მაგალითზე)

რევაზ შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი

ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი;

ნათია შენგელია
ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი,
ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიზნესის
ფაკულტეტის კურსდამთავრებული

რეზიუმე

შპს „სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება ევრიკას“ მაგალითზე განხილულია გლობალური სასურსათო პრობლემის გადაჭრის გზები, რომელთა შორის აღსანიშნავია ქართველი მეცნიერის, **პროფესორ ალექსანდრე სხირტლაძის** მიერ შექმნილი ახალი ინოვაციური პრეპარატი **„ალზურინი“**. ამ პრეპარატის მოქმედებით **-60%-მდე** იზრდება ხორბლისა და სიმინდის მოსავლიანობა, უმჯობესდება მისი ხარისხი და **ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი მიიღება.**ბევრ ახალ საყურადღებო დადებით თვისებებთან ერთად მოწეული პროდუქტის **შენახვის ვადებიც ხანგრძლივდება** და, როგორც მისი გამოყენების ინსტრუქციიდან ირკვევა, **ყველა მაჩვენებლებით წინ უსწრებს იმპორტულ სტიმულატორებს.**

საკვანძო სიტყვები: ახალი ინოვაციური პრეპარატი, კონკურენტუნარიანი ცოდნა, კრეატიული აზროვნება.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში ძალიან მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ ის გარემობა, რომ:

1. ვიმყოფებით ახალი, ინოვაციური, კრეატიული ეკონომიკის საუკუნეში, როცა ეკონომიკური რესურსები სულ უფრო იზღუდება;

2.ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში (საქართველოში), რომლის ეკონომიკური პოტენციალი არ იძლევა გლობალური, მსოფლიო ეკონომიკური პროცესების გადაწყვეტის შესაძლებლობებს, თუმცა თამამად შესაძლებელია ადგილის დამკვიდრება მაღალ განვითარებულ ქვეყნებს შორის საკუთარი მაღალკონკურენტული, ხარისხიანი მატერიალური თუ ინტელექტუალური პროდუქციის შექმნით.

ყოველივე ამის მიღწევა წარმოუდგენელია, თუკი არ გვეცოდინება როგორი იქნება მეცნიერულად დასაბუთებული ოპტიმალური თანაფარდობა ქვეყნის განკარგულებაში არსებულ საკუთარ შეზღუდულ რესურსებს, შესაბამის ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და ადამიან კაპიტალს შორის.გადამწყვეტი ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, მაინც თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი მეცნიერულ ტექნიკური **ცოდნაა.** ამ უკანასკნელის გარეშე ვერც ტექნოლოგიები განვითარდება და ისედაც შეზღუდული რესურსები კიდევ უფრო შეიზღუდება. ამიტომ მომავალი ისევ ეკუთვნის არა შრომატევად და კაპიტალტევად, არამედ მეცნიერებატევად, ცოდნატევად წარმოებას. ამის კარგი მაგალითია იაპონური საწარმო (ფირმა), სადაც წარმოების პროცესი კი მიმდინარეობს, მაგრამ ადამიანები თითქმის არ ჩანან, ასევე, ამგვარი წარმოების შედეგი (იაპონური პროდუქტი) არის მინიატურული, ანუ ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა იქნას მიღებული მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგი. არადა ცნობილი ფაქტია, რომ ”იმ ქვეყანას, რომელსაც არ შეუძლია ადამიანთა **ცოდნისა** და უნარის განვითარება და ეკონომიკაში მათი ეფექტიანი გამოყენება, განწირულია წარუმატებლობაში” [1.გვ.3]. თუკი წარმოების ტრადიციული ფაქტორები(მიწა, ნედლეული, საწა-

რმოო კაპიტალი) შეზღუდულია, **უსაზღვრო** მხოლოდ ადამიანისეული კაპიტალი, მისი **ცოდნა** და სულიერება (2.გვ.102)

თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მეცნიერულ ტექნიკურ **ცოდნასა** და ინოვაციურ ტექნოლოგიებს ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის, აშკარად ჩანს **ნიდერლანდების მაგალითზე.** რეალურად ეს პატარა ევროპული ქვეყნა ფართობით საქართველოზე 1.67-ჯერ ნაკლებია, მაგრამ მოსახლეობით 4.5-ჯერ მეტი, შემოსავლები 1 სულ მოსახლეზე PPP დათვლითაც კი 5-ჯერ მეტი HDI ინდექსით 63 პოზიციით გვისწრებს და მე-7 ადგილზეა. მართალია, ქვეყანას აქვს ბუნებრივი რესურსები, მე-5 ადგილზეა ბუნებრივი აირის ექსპორტის მხრივ და 17-ეზე ნავთობის ექსპორტის მხრივ, მაგრამ იგივე რესურსები უფრო დიდი ოდენობით ვენესუელასაც გააჩნია. ქვეყნის ტერიტორიის 20% ზღვის დონის ქვემოთაა მოქცეული, ზღვა გამუდმებით რეცხავდა და იტაცებდა სანაპირო ტერიტორიას. პატარა ევროპულმა სახელმწიფომ დაამარცხა ჩრდილოეთის ზღვა. რაც შეეხება **სოფლის მეურნეობას,** ამ საქმეშიც ნამდვილად უნდა მივბაძოთ ჰოლანდიელებს. ქვეყნის აგროექსპორტი საქართველოს მთლიან ექსპორტს 35-ჯერ აღემატება და 95 მილიარდ დოლარს აღწევს. ის მეორეა აშშ-ს შემდეგ, მაგრამ აქვე უნდა ითქვას მთავარი, ამ სექტორში დასაქმებულია სამუშაო ძალის მხოლოდ 4 (ოთხი) პროცენტი[3]. ყოველივე ეს დაგროვილი მაღალკვალიფიციური ცოდნის გამოყენების შედეგია;

ფრიად საყურადღებოა **იაპონური კომპანიების გამოცდილებაც**. ამ კომპანიების 3/4 **ხარისხის** უზრუნველყოფას იწყებს მეცნიერულ-ტექნიკური **ცოდნის ჩამოყალიბებისას** პროდუქციის **შემუშავების** დროს, სქემატური და საკონსტრუქტორო გადაწყვეტილებების ეტაპზე, დაპროექტებისას, მათი გამოცდისას, წარმოების ტექნოლოგიების **გამარტივებისას.** როგორც გამოცდილება მოწმობს, ეს არის ყველაზე რაციონალური და ეფექტური მიდგომა. რადგან თანამედროვე ეპოქაში ყველგან ნებისმიერ დარგში ცოდნა მეტ-ნაკლებად მორალურ მოძველებას განიცდის, გამარტივება უშუალოდ წარმოებისა და ექსპლო-

ატაციისას ჯდება უფრო ძვირი და ზრდის გამოშვებული პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური გაუმჯობესების ვადებს. ცნობილი იაპონელი პროფესორი **კაორუ იშიკავა** ამტკიცებს, რომ თუკი ხარისხის უზრუნველყოფა არ მოხდება პროდუქციის ახალი სახეების შემუშავების **ეტაპზე (ცოდნის, იდეის ფორმირებისას**-ხაზგასმა ჩვენია), შეუძლებელი იქნება რეალური ხარისხის ამაღლების მიღწევა[4.გვ. 175].უფრო მეტიც, წარმოებისა და ექსპლოატაციის სფეროში ისედაც მოძველებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენების გაგრძელება კომპანიას უაღრესად დიდ ზარალს მოუტანს;

გამოდის რომ **21-ე საუკუნეში ცოდნა განიხილება, როგორც ეკონომიკაში გადამწყვეტი, მისი კონკურენტუნარიანობის წინასწარი პირობა** [**5.**გვ.11.], **რისთვისაც საჭიროა მისი სისტემატურად განახლება, ანუ კვლავწარმოება. ჩვენ გვჭირდება არა პასიური, არამედ დამოუკიდებელ, არატრადიციული, კრიტიკულ აზროვნებაზე დამყარებული აქტიური და განვითარებადი კრეატიული ცოდნა. ასეთი ცოდნის მატარებელი მუშაკი კი არ იმეორებს / ან მოიხმარს სხვის შექმნილს, არამედ უშუალოდ ქმნის რაიმე ახალს, განსხვავებულს** [**6.**გვ.18.] **და იგი იქნება წარმატებული არამარტო ეროვნულ ეკონომიკაში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით.**

დღეს, როცა მთელი მსოფლიო გლობალური სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის მოლოდინშია, მისასალმებელია შპს „სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება **ევრიკას“** მიერ ახლახანს შექმნილი მაღალეფექტიანი ორგანულ-მინერალური სასუქი **„ალზურინის“** აღიარება სათანადო ლიცენზიის მინიჭებით **(რეგისტრაციის თარიღი-31.07.2020 წ. N1248**), რომელიც ხორბლისა და სიმინდის კულტურებში 5 წელიწადია იცდებოდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ და გასაოცარი შედეგები დაფიქსირდა. „ალზურინი“-ს მოქმედებით **-60%-მდე** იზრდება ხორბლისა და სიმინდის მოსავლიანობა, უმჯობესდება მისი ხარისხი და **ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი მიიღება.** ბევრ ახალ საყურადღებო დადებით თვისებებთან ერთად საგულისხმოა ერთ-ერთი ის გარემოებაც, რომ მოწეული პრო-

დუქტის **შენახვის ვადებიც ხანგრძლივდება** და, როგორც მისი გამოყენების ინსტრუქციიდან ირკვევა, **ყველა მაჩვენებლებით წინ უსწრებს იმპორტულ სტიმულატორებს[7.გვ.12.].** როგორც ამ ახალი ინოვაციური პრეპარატის შექმნის შესახებ გამოხმაურებები მეტყველებენ, ეს არის **"ცოდნის სამკუთხედის" - "განათლება-მეცნიერება-ბიზნესი" ეფექტიანი კავშირის შედეგი**. ასეთი კავშირების შექმნის აუცილებლობაა ყველა დარგში და წარმატებაც არ დაიგვიანებს, რისთვისაც ყველა უნივერსიტეტში უნდა დაიგეგმოს ასეთი კავშირების ჩამოყალიბების გზები და მივიღებთ სამეწარმეო უნივერსიტეტებს.ვფიქრობთ, სწორედ ეს იქნება თანამედროვე უნივერსიტეტების განვითარების ახალი მოდელი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ **ამ ინოვაციური პროდუქტის ავტორია** ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პრეზიდენტის გრანტის მფლობელი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიანტი, 2018 წლის საუკეთესო მეცნიერი (ეს ჯილდო მიენიჭა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ **სიცოცხლის შემსწავლელ, ჯანდაცვის, <u>აგრარულ მეცნიერებების</u>** <u>მიმართულებით</u> მოღვაწე წლის საუკეთესო მეცნიერთა ჯგუფის ნომინაციაში გამარჯვებისათვის)**-ალექსანდრე სხირტლაძე.**

ვულოცავთ ამ დიდ აღიარებას, გამარჯვებას ბატონ ალეკოს, რომელმაც შპს „სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება ევრიკას", მისი პარტნიორების **უშუალო** დახმარებით, **ლომთაგორას** საცდელი მეურნეობის და სხვათა თანადგომით მიაღწია. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ბევრი წარმატებები იქნება და ამით საქართველო სათანადო წვლილს შეიტანს არამარტო საქართველოს, არამედ გლობალური პრობლემის გადაწყვეტაში.

P.S.უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ასეთი წარმატებული მეცნიერის მიღწევები მხედველობიდან არ გამორჩენიათ საზღვარგარეთ, რომლის დადასტურებაა აშშ მისისიპის უნივერსიტეტის მიწვევა, სადაც covid-19-ის დაძლევის შემდეგ ბატონი ალეკო ასევე წარმატებით გააგრძელებს თავის საქმიანობას.

ლიტერატურა:

1. Frederick H. Harbison. Human Resources as The Wealth of Nations. New York: Oxford University Press, 1973.

2. ჟურნალი „ეკონომიკა“,#6-8,2018 წ.

3.https://www.google.ge/search?q=ეკონომისტი ყველაზე რთული პროფესია საქართველოში, 18/09/2017, გიორგი ელიზბარაშვილი.

4. ჟურნალი „ეკონომიკა“,#2-3,2018 წ.

5.გ. ჯოლია. კრეატიული ეკონომიკა და განვითარება. თბ., 2015წ.

6.ჟურნალი ”ეკონომიკა”, №5-6, 2014წ.7. ჟურნალი „აგრარული საქართველო“, #4, 2020 წ.

REFERENCES:

1. **Frederick H. Harbison.** Human Resources as The Wealth of Nations. New York: Oxford University Press, 1973.

2. Journal ‘Economics”, #6-8, 2018 (in Georgian Language)

3. https://www.google.ge/search?q=ეკონომისტი ყველაზე რთული პროფესია საქართველოში, 18/09/2017,გიორგი ელიზბარაშვილი.

4. Journal „Economics”, #2-3, 2018 (in Georgian Language)

5.G. Jolia. Creative Economy and Development. Tb., 2015y.(in Georgian Language).

6.Journal „Economics”, #5-6, 2014y. (in Georgian Language

7. Journal “Agrarian Georgia”, #4, 2020 წ.

FOR THE ISSUE OF ONE MAIN WAY HOW TO SOLVE THE GLOBAL FOOD SUPPLEMENTARY PROBLEM

on the example of "Scientific-Industrial Association Eureka"

Revaz Shengelia, PhD, GTU, Professor**,**
Jujuna Tsiklauri-Shengelia, PhD, GTU, Professor,
Natia Shengelia, PhD, GTU Associate Professor

RESUME

On the example of "Scientific-Industrial Union Eureka" LLC, there are discussed the ways to solve the global food supplementary problem, among which is the new innovative drug "Alzurin" created by Georgian scientist, Professor Alexander Skhirtladze. The high quality and ecologically pure product is obtained. Along with many new positive features, the shelf life of the product is extended and, as it is clear from its usage instructions, this Georgian drug is ahead of the imported stimulants in all indicators.

Key Words: Innovative Drug, Alzurin, Competitive Knowledge, Creative Thinking.

მენეჯერული გადაწყვეტილებების შეფასება დანახარჯების პოზიციიდან

გურამ სამხარაძე
სტუ დოქტორანტი, კომპანია
„არბო 2009“-ის ბუღალტერი

რეზიუმე

განხილულია პროგრამირებული და არაპროგრამირებული გადაწყვეტილებები, მათი მიღების დონები, მიდგომები, შინაარსი და თავისებურებები.ნათქვამია, რომ განსაკუთრებით დიდ დანახარჯებს არაპროგრამირებული გადაწყვეტილება იწვევს, რადგან მისი გამოცდილება მენეჯერს არ გაჩნია და არც ინფორმაცია აქვს მტკიცებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთ დროს ისინი ინტუიციით იღებენ გადაწყვეტილებას.

შემოთავაზებულია რჩევები მენეჯერებისადმი - ეძებონ ინფორმაციაც და რჩევებიც მიიღონ კოლეგებისგან და ამ გზით მიაგნონ რაციონალურ გადაწყვეტილებას, რადგან რაციონალური გადაწყვეტილება ხარჯებს არ ზრდის.

მოყვანილია საყოველთაო კომპიუტერიზაციის, როგორც არაპროგრამირებული გადაწყვეტილების მაგალითი, რომელიც მთელ საქართველოში გატარდა. იგი მიჩნეულია რაციონალურ გადაწყვეტილებად, რადგან მან კომპანიებში ხარჯები მნიშვნელოვნად შეამცირა, მაგრამ მაკროდონეზე გაჩნდა თვისობრივი დანაკარგი, რაც უმუშევრობის დონის ზრდაში გამოიხატა. ავტორი ურჩევს კომპანის მენეჯერებს იზრუნონ ამ დანაკარგის კომპენსირებისთვის და გამონთავისუფლებულ პერსონალს მოთხოვნად პროფესიებში ადგილზე მოუწყონ გადამზადების კურსები.

საკვანძო სიტყვები: გადაწყვეტილებები; დანახარჯები; პრგორამირებული და არაპროგრამირებული გადაწყვეტილებები; დანახარჯთა ქცევა.

შესავალი

ნებისმიერი კომპანიის ნებისმიერი საქმიანობა გარკვეული სიდიდის დანახარჯებს უკავშირდება. რაც მცირეა დანახარჯები, მით მეტია კომპანიის მოგება. ამდენად კომპანიის მენეჯერები გადაწყვეტილებების მიღებისას ანგარიშს უნდა უწევდნენ დანახარჯების სიდიდეს. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა არაპროგრამირებული გადაწყვეტილების მიღების დროს, რადგან ამ დროს, როგორც გადაწყვეტილება არის არაპროგრამირებული ანუ არასტრუქტირებული, ისე დანახარჯების (მუდმივი+ცვალებადი) ქცევა შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი [1, გვ. 72].

ძირითადი ტექსტი

საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ“ ვკითხულობთ: „სამეწარმეო საქმეთ მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთგვარი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად“.

მაშასადამე, ბიზნეს-სუბიექტი განურჩევლად იმისა თუ რას საქმიანობს, მოგებაზეა ორიენტირებული. თუმცა, ამ ორიენტაციას, გასაგები მიზეზის გამო, ვერცერთი კომპანიის მისიაში ვერ ამოიკითხავთ. ეს მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ კომპანია მოგებას გარკვეული საქმის შესრულების შემდეგ იღებს, და, არა მასზე ადრე, ამასთან თუ მან ეს საქმე წარმატებით ვერ შეასრულა, ამის გარეშე ის მოგებას ვერ მიიღებს. სწორედ ამიტომ ნებისმიერი კომპანიის მისიაში ცხადდება მისი საქმიანობის იმ ხარისხით და ისეთი სარგებლით შესრულება, რომელსაც სხვა კონკურენტი მომხმარებელს ვერ შეუსრულებს.

კომპანია „არბო 2009“, სადაც მე ვმუშაობ ქ. თბილისში მდებარე საკონდიტრო ნაწარმის საცხობია. ის მსხვილ საწარმოდ ითვლება. მისი სამოქმედო ზონა ქ. თბილისია, სადაც მას მრავალი კონკურენტი ყავს. მარტო საკონდიტრო კომპანიების

„დოლჩე-ვიტა“, „დიდებული“ და „ბელას“ დასახელებაც კმარა. ამის მიუხედავად მისი გაყიდვების ტრენდი ჯერ-ჯერობით ზრდადია, მაგრამ რა იქნება მომავალში არავინ იცის.

კომპანია „არბო 2009“-ს თავისი მისია ამ ფორმით აქვს გაცხადებული: კომპანია „არბო 2009“-ის მისია არის ქ. თბილისის მოსახლეობისთვის ეკოლოგიურად სუფთა, მხოლოდ ქართულ ნედლეულზე დამზადებული საკონდიტრო ნაწარმის ბინაზე მიწოდება“. ამ ვალდებულებას, რომელიც მან თავისი მომხმარებლების წინაშე აიღო, კომპანია დღემდე ასრულებს, ამიტომ მას რეალიზაციაც ეზრდება და გამომდინარე აქედან-მოგებაც. მაგრამ გარემო ცვალებადია, მისი კონკურენტების განზრახვები და შესაძლებლობები კი გაურკვეველი. ამიტომ კომპანია „არბო 2009“ მუდმივად უნდა ცდილობდეს საკუთარი მისიის უნაკლო შესრულებას, რაც აუცილებლად უკავშირდება დანახარჯების ზრდას და როგორც ამის ლოგიკური შედეგი-მოგების შემცირებას.

დღეს კომპანია „არბო 2009“-ს დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე ანგარიშით კონკურენტებთან შედარებით დაბალია და ფასიც დაბალია, მაგრამ, როგორც უკვე ავღნიშნეთ, რა იქნება ხვალ არ ვიცით, ამიტომ კომპანის მენეჯერებმა უნდა ისწავლონ სწორი და იმავდროულად ნაკლებხარჯტევადი გადაწყვეტილებების მიღება.

გადაწყვეტილება კომპანიის მართვის ძირითადი ინსტრუმენტია. იგი მართვის სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა მენეჯერის მიერ მიიღება. მათ მმართველობითი გადაწყვეტილებები ეწოდებათ. კომპანიის მართვის პროცესი საკმაოდ რთული და კომპლექსურია (მენეჯერთა გადაწყვეტილებები განსაზღვრავენ კომპანიის ბედს), ამდენად მათ მიღებას მეტი დაფიქრება, აწონ-დაწონვა და საკმარის ინფორმაციაზე დაყრდნობით მიღება სჭირდება. (2, გვ. 204-205).

მმართველობითი გადაწყვეტილებები ორი სახისაა - დაპროგრამებული და არაპროგრამირებული. დაპროგრამებული გადაწყვეტილებების მიღება ხდება განმეორებადი და რუტინული სამუშაოების შესასრულებლად, ხოლო არაპროგრამირებული გადაწყვეტილებები მიიღება უნიკალურ და რთულ სიტუაციაში.

ისინი თავისი არსით ნოვატორულია, რადგან ახლად წარმოქმნილი პრობლემების მოგვარება ხდება არა შაბლონური, არამედ ასევე ახალი, არაორდინალური გადაწყვეტილებებით.

კომპანიის ეფექტიანი საქმიანობისთვის ორივე სახის გადაწყვეტილებები უპირობოდ საჭიროა, მაგრამ არაპროგრამირებული გადაწყვეტილებების მიღების დროს მენეჯერებს უდავოდ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. მათ უნდა მიიღონ სწორი გადაწყვეტილება ისეთ საკითხზე, რომელიც პრაქტიკაში ჯერ არ შეხვედრიათ. ამასთან, ეს გადაწყვეტილება შეიძლება საუკეთესო არ იყოს, მაგრამ კარგი უნდა იყოს. რთულია ამის მიღწევა, რადგან მენეჯერს არა აქვს ამის გამოცდილება, არც საჭირო ინფორმაცია არსებობს და ხშირად არც სხვების გამოცდილება.

მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების სამი მიდგომა არსებობს: ინტუიციური გადაწყვეტილებები, მტკიცებებზე დაფუძნებული და რაციონალურიმ გადაწყვეტილებები [2, გვ. 199-200]. არაპროგრამირებულ გადაწყვეტილებებს მენეჯერები ძირითადად ინტუიციაზე დაფუძნებით იღებენ, რადგან არ გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია, რომ შეისწავლონ, გაანალიზონ და მტკიცებებით გაამყარონ თავისი გადაწყვეტილება, ანუ მიიღონ მტკიცებებზე დამყარებული გადაწყვეტილება. მით უფრო რთულია ასეთ დროს რაციონალური გადაწყვეტილების მიღება, რადგან წარმოქმნილი პრობლემა ახალია, უჩვეულოა, ბუნდოვანია, არასტრუქტურებულია, ორაზროვანია და არასრულია.

ყველა შემთხვევაში, რა მიდგომითაც არ მიიღებს არაპროგრამირებულ გადაწყვეტილებას მენეჯერი, ეს გადაწყვეტილება რომ მისაღებად ჩაითვალოს, უპირველესად იგი უნდა იყოს ნაკლებხარჯიანი. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკური თვალსაზრისით ის რაციონალური გადაწყვეტილება იქნება. რადგან წარმოქმნილი პრობლემა არაპროგრამირებულია და მასზე ინფორმაცია მწირია (ან საერთოდ არ არსებობს), უნდა შეგროვდეს მისი გადაწყვეტის თეორიული რჩევები, ანუ მენეჯერი არ უნდა ენდოს მხოლოდ საკუთარ უნარს, რადგან ამ უნარით მიღებული გადაწყვეტილება საკუთარი უნარით და შესაძლებლობით იქნება შეზღუდული [2, გვ. 200]. ასე რომ, მენეჯერმა

წარმოქმნილი პრობლემის შესახებ ინფორმაციაც უნდა ეძიოს და რჩევებიც, ერთიც და მეორეც რელევანტური უნდა იყოს, ანუ პირდაპირ წარმოქმნილ პრობლემას უნდა უკავშირდებოდეს. არაპირდაპირი ანუ ირელევანტური ინფორმაციაც და რჩევებიც მათი დამუშავების და განსჯისთვის დამატებით ხარჯებს მოითხოვს და მენეჯერმა ისინი თავიდან უნდა აიცილოს.

გადაწყვეტილების მიღებამდე მენეჯერმა აუცილებელია გამოარკვიოს თუ რომელ დანახარჯებს და შემოსავლებს აქვს სავარაუდო კავშირი წარმოქმნილ პრობლემასთან და მათ შორის რომელი უნდა გაითვალისწინოს. ამ შემთხვევაში ყველა კომპანისთვის და ყველა მენეჯერისთვის პრინციპი ერთია - თუ განსახილველი პერიოდი მცირეა, მან გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაითვალისწინოს მხოლოდ რელევანტური ხარჯები [3, გვ. 22]. რელევანტური დანახარჯები, რომლებსაც ანგარიში გაეწევა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფაქტიურად წარმოადგენს ნაღდი ფულის მომავალ ნამატს, რომლის სიდიდე დამოკიდებულია განსახილველ ალტერნატივაზე. მაშასადამე, როდესაც წარმოიშვება არაპროგრამირებული პრობლემა, რომელიც მოითხოვს ასევე, არაპროგრამირებულ გადაწყვეტილებას, მისი ხარჯები (შემდეგ კი შემოსავლები) უნდა შედარდეს იმას, რასაც იგი ჩაანაცვლებს, ახალმა გადაწყვეტილებამ ხარჯების გაზრდა არ უნდა გამოიწვიოს, თუმცა თუ ეს მაინც მოხდა მაშინ უნდა შესწავლილ იქნეს მომავალი მოთხოვნა ამ ახალ მომხმარებლისთვის ჯერ უცნობ პროდუქტზე ან მომსახურებაზე და, თუ აღმოჩნდა, რომ მოთხოვნა დიდია, თან იმდენად დიდი, რომ კომპანიას მრავალი წლით შეუნარჩუნებს ლიდერობას ბაზარზე, მაშინ კომპანია უნდა შეეგუოს ხარჯების ამ ზრდას, მხოლოდ ისე, რომ ამ ახალი პროდუქცის (თუ მომსახურების) ფასი არ უნდა გაზარდოს.

არსებობს ისეთი თვისობრივი ფაქტორები, რომელთა გადაყვანა დანახარჯის განზომილებაში შეუძლებელია ან რთულია. არადა, კომპანიამ გადაწყვეტილების მიღების დროს ეს ფაქტორებიც უნდა მიიღოს მხედველობაში. ასეთი ფაქტორები შეიძლება იყოს კომპანიაში დასაქმებულთა სამუშაო პირობების გაუარესება ან სამუშაო ადგილების შემცირება და სხვა.

მაგალითად, როდესაც საქართველოს კომპანიებში წარმოიშვა პრობლემა კომპიუტერულ მომსახურებაზე გადასვლა-არგადასვლის შესახებ, მათთვის ეს პრობლემაც და მისაღები გადაწყვეტილებაც არაპროგრამირებული იყო, რადგან მათ ამის პრაქტიკა არ ქონდათ. ამის მიუხედავად, მათ მაინც გაბედულად მიიღეს ეს გადაწყვეტილება იმიტომ, რომ მის შესახებ არსებობდა რელევანტური ინფორმაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში მისი გამოყენების შესახებ, რაც ამტკიცებდა კომპიუტერების გამოყენებით სამუშაოს გამარტივებასაც, სამუშაოზე დახარჯული დროის შემცირებასაც და კომპანიების დანახარჯების შემცირებასაც. დღეს საქართველოს კომპანიების 97% კომპიუტიზირებულია. ამის შედეგად, ამ სიახლემ კომპანიების ყველა ქვედანაყოფებში გააუმჯობესა საქმიანობა და არსებულთან შედარებით ხარჯებიც შეამცირა. ამის მაგალითად კომპანია „არბო 2009“ არ გამოგვადგება, რადგან იგი ახალი შექმნილია და მას ბუღალტრების საანგარიშოთი და არითმომეტრით მუშაობის გამოცდილება არა აქვს, მაგრამ ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. მაგალითად, დღევანდელ შპს „საქართველოს ფოსტაში“ 90-იან წლებში მუშაობდა 16 ბუღალტერი, დღეს ანუ კომპიუტერიზაციის შემდეგ მუშაობს - 4 ბუღალტერი, საქციო საზოგადოება „პირიმზეში“ მუშაობდა 21 ბუღალტერი, დღეს მუშაობს - 5 ბუღალტერი, სააქციო საზოგადოება „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“-ში მუშაობდა - 14 ბუღალტერი, დღეს მუშაობს - 3 ბუღალტერი და ა. შ.

მაშასადამე, ამ არაპროგრამულმა გადაწყვეტილებამ, რომელიც საყოველთაო კომპიუტერიზაციაში გამოიხატა დასაქმებულ ბუღალტერთა რიცხვი და აქედან გამომდინარე, მათი სახელფასო ხარჯები კომპანიებში მნიშვნელოვნად შეამცირა. კომპანიებისთვის ეს დიდი კეთილსასურველი მოვლენა აღმოჩნდა, მაგრამ სად აღვრიცხოთ და რა ვუყოთ იმ დანაკარგს, რომელიც სამუშაო ადგილების შემცირებამ გამოიწვია? ეს სწორედ ის თვისობრივი ფაქტორია, რომელსაც კომპანიის დონეზე არაპროგრამირებული გადაწყვეტილებების მიღების დროს ძირითადად ანგარიში არ ეწევა.

დასკვნა

რადგან არაპროგრამირებული გადაწყვეტილებები ხშირ შემთხვევებში იწვევენ სამსახურიდან ადამიანთა გამოთავისუფლებას, ჩვენი აზრით, საჭიროა ხარჯების იმ ეკონომიის რაღაცა ნაწილით, რომელიც კომპანიებმა არაპროგრამირებული გადაწყვეტილებების დანერგვით მიიღეს, მათ გამონთავისუფლებულ თანამშრომლებს მოუძებნონ ახალი სამუშაო ან ადგილზე მოუწყონ მოკლევადიანი გადამზადება მოთხოვნად პროფესიებში, რათა ისინი კვლავაც დასაქმდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფინანსური ინფორმაცია მენეჯერებისათვის (საერთაშორისო პრაქტიკა) 1.2, ოფიციალური სახელმძღვანელო პროფესიული სერტიფიცირებისთვის, ACCA, 2003.

2. სტივენ რობინზი, მერი კოულტერი, მენეჯმენტი, თბ. 2019.

3. მმართველობითი აღრიცხვა, ტომი 2. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, თბ. 2000.

REFERENCES:

1. Financial Information for Managers (International Practice) 1.2, Official Guidelines for Professional Certification, ACCA, 2003.

2. Steven Robbins, Mary Coulter, Management, Tb. 2019.

3. Management Accounting, Volume 2. Georgian Federation of Professional Accountants and Auditors, Tbilisi. 2000.

THE EVALUATION OF MANAGERIAL DECISIONS FROM THE POSITION OF COSTS

Guram Samkharadze, Doctoral Student of GTU,
accountant of the company "ARBO 2009"

RESUME

In the article - "The evaluation of managerial decisions from the position of costs" it is discussed the programmed and unprogrammed solutions, their levels of adoption, approaches, content and features. The article argues that especially large costs are caused by the unplanned decision because the manager does not have the experience or information to make a decision based on evidence. At such times they make decisions intuitively.

The author of the article at such times advises managers to seek both information and advice from colleagues and after that to find a rational decision, because a rational decision does not increase costs.

In the article there are the example of universal computerization as the unplanned solution that has been implemented throughout Georgia. It is considered a rational decision because it has significantly reduced costs in companies, but at the macro level there has been a qualitative loss, which has been reflected in rising unemployment. The author advises company managers to take care of compensation for this loss and providing on-site retraining courses for dismissed staff on demand professions.

Key words: Solutions; Costs; Programmed and non-programmed solutions; Cost Behavior.

კორონავირუსის პანდემია - DIGITAL მარკეტინგის წამყვანი

ნინო დარსაველიძე,
ლელა ბოჭოიძე,
მაია ჩინჩალაძე
სტუ ასოც. პროფესორები,
ანა კურტანიძე
სსუ სრული პროფესორი

რეზიუმე

კრიზისში მყოფი კომპანია, პირველ რიგში, კრიზისის მიზეზს და ხასიათის აანალიზებს, რადგან მასზეა დამოკიდებული, ბრენდის ოპტიმიზაცია, ბიუჯეტის უფრო მკაცრი მონიტორინგი. კონტროლი კი აადვილებს სწორი გადაწყვეტილების მიღებას. მოკლევადიანი გეგმა, კრიზისში, ყველაზე მაღალი პრიორიტეტია. მაგრამ, ბრენდების გრძელვადიანი განვითარებისთვის აუცილებელია ციფრული ტრანსფორმაციის გეგმების შემუშავება, რაც გულისხმობს ციფრული ინფრასტრუქტურის გაფართოებას, ვინაიდან, ძალზედ მნიშვნელოვანია, პანდემიის პირობებში, მოხდეს მომხმარებლების დაინტერესება და შედგეს მათთან ორმხრივი კომუნიკაცია. პანდემიის დროს, ეს ამოცანები და მიზნები არ შეცვლილა, მაგრამ, მათ მისაღწევი ინსტრუმენტები - აშკარად და ცალსახად - შეიცვლილია.

ციფრული მარკეტინგის მთავარი სარგებელი არის სოციალური დისტანცირების შესაძლებლობების გათვალისწინებით-საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, ზოგადი შეფასების და ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტური ანალიზით -ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის ფინანსური მდგრადობის შეფასების მაჩვენებლების, ეკონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციენტების -ROCE, ROE, ROA და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ამ ვითარებაში, ინვესტიციების რენტაბელობის - ROI-ს ამაღლება, რაც უზრუნველყოფს, COVID-19 პანდემიით მიყენებული რისკების მინიმუმამდე დაყვანას.

საკვანძო სიტყვები: კორონავირუსის პანდემია, DIGITAL მარკეტინგი - ციფრული მარკეტინგი, სოციალური დისტანცირება, ინტერნეტ მარკეტინგი, ბიზნესის დიგიტალიზაცია, სოციალური კომერცია.

შესავალი

ინტერნეტ მარკეტინგი, რომელიც ექვს კატეგორიად იყოფა, ასეთი მნიშვნელოვანი, ალბათ, არასდროს ყოფილა(https://lemons.ge/ka/blog/52), კერძოდ:

- საძიებო მარკეტინგი , ანუ Search engine marketing , SEM და SEO
- სოც-მედია მარკეტინგი Social Media Optimization — SMO, Social media marketing — SMM
- პირდაპირი მარკეტინგი, რომლის სახეებია e-mail მარკეტინგი, SMSდა RSS
- PR ანუ, საზოგადოებასთან ურთიერთობა
- ვიდეომარკეტინგი
- ვებ-ანალიტიკა.

საძიებო ინტერნეტ მარკეტინგი - Search engine marketing, იგივე - SEM-[1] საქმიანობების და მარკეტინგული ინსტრუმენტების კომპლექსია. იგი უზრუნველყოფს - ინფორმაციის მოძიებას, ინტერნეტში, მსოფლიოს ფართო ქსელებში.

საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია - Search Engine Optimization - SEO — ყველაზე ხშირად ნახვად საიტსა და საიტის ხილვადობის გაზრდის პროცესს წარმოადგენს. აღნიშნული ინტერნეტ მარკეტინგის სტრატეგია - ხალხის მიერ მოძიებულ ინფორმაციას განსაზღვრავს და შემდეგ, მათ ანიჭებს უპირატესობას.

შინაარსობრივ რეკლამას ქმნის Google Adwords Begun —ეს რეკლამა არის ინტერნეტში.

სოციალური-მედია მარკეტინგი, ანუ სხვაგვარად, SMM და SMO - სოციალური ქსელი, რომელიც ხელს უწყობს, პანდემიის დროს, კრიზისში მოქცეულ ბიზნესს, რადგანაც, მიზნობრივი აუდიტორიისა და მომხმარებლების საიტზე მოზიდვაში მას ბა-

1 https://ka.wikipedia.org/wiki/

დალი არ ჰყავს. SMM ხომ ქმნის ყველაზე საინტერესო კონტენტს. იქნება ეს Facebook, Google+, თუ - Instagram და Twitter-ი.

SMO (social media optimization) - SEO- ს ანალოგია და ამავდროულად, მასზე ეფექტურია, სოციალური მედიის მეოხებით.

PR -public relations — საზოგადოებასთან ურთიერთობის და კონტაქტის დამყარების ინსტრუმენტია, იგი მოიცავს პრესრელიზების დაგზავნას ონლაინ მედიისთვის, თემატური სტატიების კონტენტის, სოციალურ ქსელში, ფორუმებზე ბლოგებში გამოქვეყნებას, ვიდეო მარკეტინგის გამოყენებას, მომავალი კი სწორედ - ვიდეო მარკეტინგს ეკუთვნის.

ნეგატიური მხარეა ის, რომ - სოციალური მედია, ტრადიციულთან შედარებით, მომხმარებელთა, უფრო მცირე, ჯგუფებისთვისაა ხელმისაწვდომი. ეს, ინტერნეტში ჩართულობის, ნაკლები მაჩვენებელითა და ახალი მედიის გამოყენებისთვის აუცილებელი უნარების არქონითაა გამოწვეული. დღეს აღარავინ კამათობს რომ, აუცილებელია ციფრული უთანასწორობის ან სხვაგვარად-განხეთქილების - აღმოფხვრა.

ძირითადი ნაწილი

ტრადიციული ბიზნესის უმეტესობა დღეს უფრო მეტად, ვიდრე - გუშინ, ეყრდნობა - ციფრულ სტრატეგიას. კრიზისის შემდგომი ზრდისა და ბაზრის წილს შესანარჩუნებლად საჭიროა მარკეტინგული სტრატეგიის ტრანსფორმაცია და ახალი ინსტრუმენტების გამოყენება. ციფრული მარკეტინგის ექსპერტებმა, შექმნეს რა, შესაბამისი, მარკეტინგული ტექნოლოგიები - SEO, SEM, გავლენის მარკეტინგი, SMM, შინაარსობრივი მარკეტინგი, ელექტრონული კომერცია და სხვა. ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის პროცესში განსაკუთრებით, წარმატებით გამოიყენება ფაბლისიტი, ინტერნეტმარკეტინგი, ივენთმენეჯმენტი, ხმების გავრცელების ტექნოლოგია და სხვა, ხელი შეუწყეს - პროდუქტის, სერვისის, კომპანიის ცნობადობის გაზრდას, იმიჯის ფორმირებას ან რეკლამირებას - ინტერნეტის საშუალებით. ხოლო კორონავირუსის პანდემია - DIGITAL მარკეტინგის წამყვანად მოგვევლინა.

თანამედროვე ბიზნესი - რთულდება. პერსპექტიულ იდეას აკოპირებენ კონკურენტები და მომხმარებელს უჭირს სწორი აჩევანის გაკეთება. ამას ართულებს, ეპიდვითარება და ეკონომიკური კრიზისი, რომლის მსგავსი ბოლო ასწლეულის განმავლობაში კაცობრიობას, არ უნახავს.

ამ მიზეზის და გამო კომპანიებმა უნდა გამონახონ მომხმარებლების დაინტერესების უახლესი გზები, მოახდინონ აქტიური კომუნიკაცია, ჩამოაყალიბონ მკაფიო მიზნები და ამ გზით დაწინაურდნენ კონკურენციაში.

მარკეტინგისთვის - ეს არის ახალი გამოწვევა, კომპანიის სტრატეგიისა და მომხმარებლებთან მუშაობის, გზების დახვეწა და განახლება.

პანდემიამ ბიზნესის წარმომადგენლებს გაურკვევლობა შეუქმნა: ზოგი მზადაა გაკოტრების გამოცხადებისთვის, ზოგი - ხარჯების ოპტიმიზაციას აკეთებს და სხვები კი - ინტერნეტს მიმართავენ. არსებული ვითარება მეწარმეებმა უნდა განიხილონ როგორც - განსაკუთრებული შესაძლებლობა: ვინაიდან, მოულოდნელად, ყველას თანაბარი შესაძლებლობები მიეცა და ეს გათანაბრება, გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა და კორონავირუსმა მოიტანა.

ბიზნესის დიგიტალიზაციის ტენდენციაზე აქტიურად საუბრობენ მსოფლიოს წამყვანი ორგანიზაციები, რაც მოიცავს, ახალი ციფრულ ტექნოლოგიების და რესურსების ათვისებას.

მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა პანდემიის დროს პირველად სცადა ახალი ონლაინ სერვისი და მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის ციფრული განვითარების ტენდენცია ადრეც შეინიშნებოდა - იზოლაციის რეჟიმმა მხოლოდ დააჩქარა იგი.

დღევანდელ ეკონომიკაში სოციალური მედია უკვე სერიოზულ მარკეტინგულ იარაღად იქცა. დღეს კომპანიებს უკვე აქვთ თავიანთი ანგარიშები სოციალურ ქსელებში და ამგვარად, ისინი ინარჩუნებენ, საკუთარ რეპუტაციას, იქმნიან ახალ იმიჯს და ზრდიან შემოსავლებს, რითაც თავიდან იცილებენ მთელ რიგ პრობლემებს, რომლებიც კარანტინის რეჟიმმა მსოფლიოს დაატეხა თავს.

კორონავირუსმა გვაჩვენა - ხალხი უნდა შეიცვალოს, ერთადერთი გზაა - დამატებითი განათლების მიღება და ახალი ცოდნის და გამოცდილების დაგროვება. ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა და ციფრულ გარემოში მომხმარებელთა მოზიდვის ხარჯების შემცირებამ ბიზნესი დააყენა საკითხის წინაშე:

საჭიროა, მარკეტინგის ონლაინ პოპულარიზაცია;

იზოლაციის დროს, აუცილებელია მომხმარებლებთან მჭიდრო, კომუნიკაციის დამყარება;

უმნიშვნელოვანესია, ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობაზე ზრუნვა;

დღის წესრიგში დგას, სოციალური კომერციის განვითარება;

მარკეტინგული ინსტრუმენტების პერსონალიზებას, კიდევ უფრო მეტი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს;

ონლაინ გარემოში კონკურენცია არ ხდება ოპონენტებთან, ტრადიციულად შეხებით და პანდემიამ მკვეთრად გაზარდა მოქნილობის საჭიროება და თითოეულ დახარჯულ ლარს - უნდა მოჰყვეს, უფრო მაღალი, ROI - ინვესტიციის ანაზღაურება.

დასკვნა

კრიზისების დროს კომპანიებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა - გააძლიერონ თავიანთი პოზიციები ბაზარზე აქტიური მარკეტინგის, სტრატეგიის საშუალებით.

აშკარაა, რომ რეცესიის დროს მარკეტინგული საქმიანობის რეგულირება უდიდეს გავლენას ახდენს მომხმარებლის ქცევაზეც;

კრიზისის დროს რეკლამის ინტენსივობის დონე 2-ჯერ შემცირდა. როგორც კრიზისის წინა პერიოდში, რეკლამამ, გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ბიზნესის მომგებიანობაზე. ასე, რომ მეტმა რეკლამამ - უზრუნველყო უფრო მეტი ROI.არსებულ გარემოში, ინტერნეტ მარკეტინგი, ხდება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, ბიზნესის გადარჩენის საკითხში.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1.Schultz, D. Kitchen, P. (2000): A Response To 'Theoretical Concept Or Management Fashion? Journal of Advertising Research

2.Nowak, G. J. Phelps, J. (1994). Conceptualizing The Integrated Marketing Communications' Phenomenon.

3.An Examination Of Its Impact On Advertising Practices And Its Implications For Advertising Research. Journal of Current Issues and Research in Advertising.

THE CORONAVIRUS PANDEMIC - DIGITAL MARKETING LEAD.

Nino Darsavelidze - GTU Associate Professor**,**
Bochoidze - GTU Associate Professor,
Maia Chinchaladze - GTU Associate Professor,
Ana Kurtanidze - Professor of SSU.

Resume

The company which is in crisis period, first of all it analyzes all cases and the nature of crisis. That is because depending on it, the brand optimization, tighter budget monitoring and control, all these will make easier to make a right decision during the mentioned period. The short–term plan has the highest priority in the crisis period. For the long-term brand developments it is necessary to develop plans for transformation, which means that the expansion of infrastructure is very important in the pandemic to engage our customer and to establish two ways of communication with them. During the pandemic, the mentioned tasks and goals have not changed, but the tools to achieve them clearly and unequivocally have been changed.

The main benefits of digital marketing are: taking into account the opportunities of social distance-enterprise, financial condition,

general assessment and coefficient analysis of liquidity, liquidity and solvency assessments indicators, financial sustainability assessment indicators, economic growth sustainability ratios, ROE and ROI. In the mentioned situation the investment increase will return to ROI which ensures that the risks which were posed by COVID-19 are minimized.

Key Words: Corona virus Pandemic, Digital marketing, Social distance, Internet marketing, Business digitalization, Social commerce.

სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება: მითი და რეალობა

თამარ დევიძე
ეკონომიკის დოქტორი, სტუ
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ზოგადი ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მთლიან შიდა პროდუქტში(მშპ-ში) კვლავ ძალიან დაბალია.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესგარემო, ბიზნესსექტორი, ფინანსური მხარდაჭერა.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობას და მიზნად ისახავს სამეწარმეო გარემოს შემდგომ სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების ზრდას და განვითარებას.

კერძო სექტორის განვითარების და, განსაკუთრებით კი, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც ასევე ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - საქართველო 2020 (ივნისი, 2014), აგრეთვე, სამთავრობო პროგრამაში „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებამ, რომელიც გაფორმდა 2014 წლის 27 ივნისს და სრულად შევიდა ძალაში 2016 წლის 1 ივლისს, დააწესა ახალი

პრეფერენციული ვაჭრობის რეჟიმი - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ სივრცე.

ასოცირების შესახებ შეთანხმებით საქართველომ აიღო შესაბამის სფეროებში კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან პროგრესული დაახლოების ვალდებულება და მათი იმპლემენტაცია. აგრეთვე, საქართველომ უნდა განავითაროს თავისი ადმინისტრაციული და ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა. ევროკავშირი, თავის მხრივ, აღნიშნულის ხელშეწყობის მიზნით, გამოხატავს როგორც პოლიტიკურ მხარდაჭერას, ასევე აქტიურად მხარს უჭერს ტექნიკურად, საექსპერტო დახმარებით და გამოყოფს ფინანსურ დახმარებას საქართველოსთვის სხვადასხვა სექტორში რეფორმების განსახორციელებლად. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის მიერ გათვალისწინებული ფინანსური დახმარება გამოიყოფა გრანტის სახით და მისი მოცულობა 2014 წლიდან ყოველწლიურად საშუალოდ 100 მლნ ევროს შეადგენს.

ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსური მხარდაჭერის ოდენობის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ნათლად იკვეთება ბოლო პერიოდში გამოყოფილი ფინანსური მხარდაჭერის მოცულობის ზრდა: 1992-2006 წწ. 500(მლნ ევრო); 2007-2013 წწ. 452(მლნ ევრო); 2014-2020 წწ. 746(მლნ ევრო).

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნებია (საბაზისო - 2013 წელი):

1. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით;

2. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15%-ით;

3. 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით.

2019 წლის პირველ კვარტალში ბიზნესსექტორის ბრუნვამ 22.9 მილიარდ ლარს მიაღწია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 27.5 პროცენტით გადააჭარბა. იმავე პერიოდში აღნიშნული სექტორის პროდუქციის გამოშვება 9.0 პროცენტით გაი-

ზარდა და 9.5 მლრდ. ლარი შეადგინა.

აღნიშნული სტატისტიკური ინფორმაცია რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. კერძოდ,

1. ბიზნესსექტორის როგორც ბრუნვის, ისე მთლიანი გამოშვების ზრდის ტემპი წინ უსწრებს მთლიანი შიგა პროდუქტის ნომინალურ ზრდის ტემპს, ანუ ამ უკანასკნელის ფორმირებაში ბიზნესსექტორის როლი და მონაწილეობის დონე მატულობს, რაც ცალსახად პოზიტიური პროცესია;

2. ბიზნესსექტორის ფორმირებაში მზარდი როლი ეკუთვნის მომსახურების სექტორს. ბოლო ერთი წლის მანძილზე მომსახურების წილი მის მთლიან ბრუნვაში გაიზარდა 74.4%-დან 79.5%-მდე, ხოლო პროდუქციის მთლიან გამოშვებაში, შესაბამისად, 52.5%-დან 55.6%-მდე;

3. მართალია, ბიზნესსექტორის როგორც ბრუნვაში, ისე გამოშვებაში ჯერ კიდევ ყველაზე მაღალი წილი მსხვილ წარმოებებს უკავიათ (ბრუნვაში - 54.5%, გამოშვებაში - 41.3%), თუმცა საშუალო და მცირე ბიზნესის უფრო დინამიური, სწრაფი განვითარების ხარჯზე მსხვილი ბიზნესის წილი თანდათან კლებულობს და შესაბამისად, იზრდება მცირე და საშუალო ბიზნესის წილი. კერძოდ, პროდუქციის მთლიან გამოშვებაში მცირე და საშუალო ბიზნესის წილად მოვიდა მთელი მატების 82.2 პროცენტი, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ გამოშვებული პროდუქციის მატების ტემპი 3.5-ჯერ აღემატებოდა მსხვილი ბიზნესის მიერ გამოშვებული პროდუქციის მატების ტემპს, მათ შორის მხოლოდ მცირე ბიზნესის (16.7%) – 4.5-ჯერ.

4. შრომის მწარმოებლურობა (პროდუქციის გამოშვება ერთ დასაქმებულზე) მსხვილ წარმოებაში 1.4-ჯერ აღემატება წვრილი წარმოების ანალოგიურ მაჩვენებელს.

ბიზნესსექტორში დასაქმებულებზე მოდიოდა საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა მთლიანი კონტინგენტის 2/5 და დაქირავებით დასაქმებულთა 72 პროცენტი, რაც საკმაოდ მაღალი, პოზიტიური მაჩვენებელია. ბიზნესსექტორში დასაქმებულთა მთლიანი კონტინგენტის 71.8 პროცენტი მომსახურების სექტორში, ხოლო დანარჩენი 28.2 პროცენტი - ეკონო-

მიკის რეალურ სექტორში (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა) იყო დასაქმებული. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის რეალურ სექტორში შრომის მწარმოებლურობა 2-ჯერ და მეტად აღემატებოდა მომსახურების სექტორში დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობას.

მთლიანად, ბიზნესსექტორის წილად ქვეყნის მშპ-ის 2/3-ზე მეტი იქმნება და აღნიშნული წილი მზარდია. ეს ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს, გატარებული რეფორმებისა და იმ შეღავათებს ეფუძნება, რაც ბოლო წლებში გადაიდგა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშესაწყობად. 2013 წლის შემდეგ ეროვნულ მეურნეობაში ყოველი 4 დამატებული დაქირავებით დასაქმებულიდან 3 ბიზნესსექტორზე მოდიოდა, ხოლო იმავე პერიოდში დასაქმებულთა მთლიანი კონტინგენტის 35 ათასით ზრდის პირობებში ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 130 ათასით გაიზარდა. შესაბამისად, განუხრელად იზრდება როგორც ბიზნესსექტორის წვლილი საქართველოს ეკონომიკაში, ისე მთლიანად საერთაშორისო მასშტაბით ქართული ეკონომიკისა და მისი წარმოებული პროდუქციის ცნობადობისა და კონკურენტუნარიანობის მხრივ.

ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა 2020 წლის I კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13.5 პროცენტით გაიზარდა და 26.0 მილიარდი ლარი შეადგინა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნესსექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2020 წლის I კვარტალში მისი მოცულობა 10.3 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 8.4 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

2020 წლის I კვარტალში მთლიანი ბრუნვის 60.0 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 16.6 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 23.4 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება. მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 44.3 პროცენტი, საშუალოზე - 24.4 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 31.3 პროცენტი.

2020 წლის I კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 684.4 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 3.1 პროცენტით აღემატება.

დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 39.9 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 20.7 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 39.4 პროცენტი - მცირე ბიზნესზე. დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 640.5 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - 3.4 პროცენტით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 2 408.4 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10.3 პროცენტით მეტი).

2020 წლის I კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (21.6 პროცენტი) და ვაჭრობა (16.9 პროცენტი), შემდეგ მოდის მშენებლობა (15.7 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 9.6 პროცენტიანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 36.2 პროცენტიანი წილი უჭირავს.

2020 წლის I კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები ლიდერობენ (შესაბამისად, 27.4 პროცენტი, 12.4 პროცენტი და 10.5 პროცენტიანი წილებით). თუმცა სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის მშენებლობის (8.6 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.3 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის საწარმოებზეც (5.6 პროცენტი).

მიუხედავად ამ უდიდესი წარმატებებისა საწარმოების ექსპორტის პოტენციალი ასეთი გვაქვს: საწარმოთა წილი, რომელიც ექსპორტზე საერთოდ არ გადის, საკმაოდ მაღალია (77%), რასაც ძირითადად განაპირობებს წარმოების დაბალი მოცულობა და ექსპორტისათვის არასაკმარისობა და ექსპორტისათ-

ვის საკმარისი მოცულობის პროდუქტის საწარმოებლად რესურსების ნაკლებობა.

კომპანიის წარმატებას პატარ-პატარა დეტალები განაპირობებს ასე, რომ სწორად შერჩეული თანამშრომლები კომპანიის წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა.

საქართველოში მაღალია შრომის ბაზრის პოლარიზაცია, რაც გულისხმობს საშუალო კვალიფიკაციის სამუშაო ადგილების კლებას და მაღალკვალიფიციური და დაბალკვალიფიციური სამუშაოების რაოდენობის ზრდას; მაღალი პოლარიზაცია კი თავის მხრივ დასაქმებულებზე უარყოფითად აისახება და ამცირებს „ცუდი“ სამუშაოებიდან „კარგზე“ ტრანზაციის შესაძლებლობებს. მაღალი და მზარდი დაბალკვალიფიციური სამუშაო ადგილების რაოდენობა ადამიანებს შორის კონკურენციის ზრდას და შესაბამისად ხელფასების და შრომითი სტანდარტების დაწევას განაპირობებს.

სოციალური დაცვის სისტემა ძირითადად სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობის) პროგრამაზე დგას, რომლითაც არაფორმალური და არასტანდარტული შრომით დაკავებულთა დიდი ნაწილი ვერ სარგებლობს.

მდგომარეობის გამოსწორება, მმართველობის ეფექტიანი და სამართლიანი სისტემის შექმნა, ეკონომიკის ფუნქციონირების ნეგატიური მხარეების პოზიტიურით შეცვლა ფისკალური პოლიტიკის მოწესრიგებით უნდა დაიწყოს. ამის გარეშე საქართველო ისევ დახმარებების ამარა დარჩება, რაც კიდევ უფრო მიგვაახლოებს ახალ არაპროგნოზირებად რისკებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის დადგენილება №400, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/2373855

2. „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვი-

თარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“ http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf

3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მეწარმეობა საქართველოში: http://www.geostat.ge/index.php?action=wnews_archive1&qy=1&qy1=6&lang=geo.

4. საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტო:https://napr.gov.ge/p/814

5. Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part. Available at: http://eur-lex.europa.eu/legal-content/ga/TXT/?uri=CELEX:52014PC0149

6. European Commission, Available at: http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/georgia/

REFERENCES:

1. Resolution of the Government of Georgia of June 17, 2014 №400, on the approval of the socio-economic development strategy of Georgia “Georgia 2020” and some related measures https://matsne.gov.ge/ka/document/view/2373855

2. “Small and Medium Entrepreneurship Development Strategy of Georgia for 2016-2020” http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf

3. National Statistics Office of Georgia. Entrepreneurship in Georgia:http://www.geostat.ge/index.php?action=wnews_archive1&qy=1&qy1=6&lang=geo.

4. National Agency of Public Registry: https://napr.gov.ge/p/814

5. Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part. Available at: http://eur-lex.europa.eu/legal-content/ga/TXT/?uri=CELEX:52014PC0149

6. European Commission, Available at: http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/georgia/

IMPROVING THE ENTREPRENEURIAL ENVIRONMENT: MYTH AND REALITY

Devidze Tamari
Doctor of Economics,
Georgian Technical University,
Associate Professor

RESUME

Despite the heavy political and socio-economic situation, Georgia has still potential to solve the existing complex problems. First of all, the main existing opportunities must be used wisely and even, the financial support, which was granted to Georgia in the form of cheap credit, should be purposefully and transparently consumed for the country.

Key words: Business environment, Business Sector, Financial Support.

სახელმწიფო შესყიდვებში ბაზრის შესწავლის პრობლემები

ეკატერინე ვეფხვიაშვილი
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ბაზრის კონიუნქტურის შესწავლის აუცილებლობა განხილულია შესასყიდი საქონლის (მომსახურების თუ სამუშაოს) სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრის კონტექსტში. ნათქვამია, რომ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო დოკუმენტში დაფიქსირებულია ტენდერზე გამოსატანი საქონლის სავარაუდო ღირებულება. მოყვანილია ცალკეული მაგალითები საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკიდან, როდესაც ეს სავარაუდო ღირებულება არც საბაზრო ინფორმაციას ეფუძნებოდა და არც სააგენტოს მიერ ჩატარებულ წინარე შესყიდვების გამოცდილებას.

ამის გარდა, როდესაც ტენდერზე შესასყიდად გამოდის მსხვილი ობიექტების სამშენებლო სამუშაოები (ამის მაგალითად მოყვანილია ანაკლიის პორტის მშენებლობა), მის სავარაუდო ღირებულების განსასაზღვრელად საბაზრო ინფორმაციის მოპოვება ძნელდება. ამიტომ, იგი უნდა განისაზღვროს მისგან მიღებული მომავალი შემოსავლების დღევანდელი დისკონტირებული ღირებულებით. მოცემულია მისი საანგარიშო ფორმულა და პირობითი ციფრებით გამოანგარიშებულია იგი.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო შესყიდვა; ტენდერი; აუქციონი; საქონლის სავარაუდო ღირებულება; მომწოდებელი; კონკურსი; ბაზრის შესწავლა.

შესავალი

ნებისმიერი საქონლის შესყიდვა-გაყიდვებში ბაზრის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. კომპანიებს, მით უფრო მსხვილ კომპანიებს, ამ ფუნქციის შესასრულებლად მარკეტინგის ქვე-

დანაყოფები აქვთ. ეს ქვედანაყოფები სწავლობენ ბაზარზე მოთხოვნას, აღირცხავენ მოთხოვნაში ცვალებადობას და აწოდებენ მას კომპანიის საწარმოო ქვედანაყოფს. ამ ინფორმაციის მიწოდებით კომპანიამ იცის, რა საქონელი გამოუშვას, რა რაოდენობით და რომელ ბაზრებზე გაყიდოს.

საქონლის მყიდველის როლში სახელმწიფოც გამოდის. მას ეს საქონელი სახელმწიფო (საჯარო) სტრუქტურებისთვის სჭირდება. ეს შესყიდვები ტენდერებით ხორციელდება. სახელმწიფოს, როგორც საქონლის შემსყიდველს, და, არა გამყიდველს, თითქოს არ უნდა სჭირდებოდეს ბაზრის შესწავლა, მაგრამ ჩვენი აზრით, იგი აუცილებელია.

ძირითადი ტექსტი

ერთ-ერთი უცხოელი მეცნიერის სტატიაში ვკითხულობთ შემდეგს: „სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანობის შემცირების მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ სატენდერო პროცედურების ზედმეტი სიხისტის გამო, სახელმწიფო შემსყიდველები საჭირო პროდუქციას შეისყიდიან არარეალურ ფასად, თანაც, დიდი პარტიობით“ [1, გვ. 14]. იგივე ხდება საქართველოშიც ისმება კითხვა: რატომ უნდა ხდებოდეს არარეალურ ფასში სახელმწიფო შესყიდვა? საკონკურსო კომისიის წევრებს აკლიათ კვალიფიკაცია. თუ რაიმე მანიპულაციასთან გვაქვს საქმე? ჩვენი აზრით, არც ერთი, არც მეორე.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო შესყიდვები არა თავისუფალ ბაზარზე, არამედ აუქციონებზე (ტენდერებზე) ხორციელდება. აქ თავისუფალი კონკურენცია არ არის. თავისუფალი კონკურენცია, რომ იყოს შესასყიდი საქონლის ფასს მისი მოთხოვნა-მიწოდება ჩამოყალიბებდა.

სახელმწიფო იმიტომ მიმართავს ტენდერებით შესყიდვას, რომ როგორმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი მეთოდით, მისთვის სასურველ ფასით და არა ბაზრის ფასით შეიძინოს საქონელი. სახელმწიფოს ამის უზრუნველყოფის ასეთი მექანიზმი აქვს - შემსყიდველი ორგანიზაცია (საქართველოს შემთხვევაში - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო) სატენდერო განაცხადში უთითებს შესას-

ყიდი საქონლის (მომსახურების, სამუშაოს) სავარაუდო ღირებულებას, რომლის გადახდაზე ის თანახმაა შეიძინოს იგი. თავისუფალი, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში, როგორც აღვნიშნეთ, განურჩევლად იმისა, თუ ვინაა მყიდველი, სახელმწიფო ორგანიზაცია თუ კერძო ფირმა, საქონლის ფასს ბაზარი აყალიბებს და იქ ასეთი „სავარაუდო ღირებულებები" ვერ იმუშავებს.

საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ უნდა ყიდულობდეს სახელმწიფო საკუთრივ მისთვის შექმნილ აუქციონზე მის მიერვე წინასწარ განსაზღვრულ „სავარაუდო ღირებულების" ფარგლებში, ხოლო კერძო სექტორის მყიდველები (ფირმები და სხვები) თავისუფალი კონკურენციის ბაზარზე ბაზრის მიერ შემოთავაზებული ფასით (რომელიც, რა თქმა უნდა, არ ითვალისწინებს მყიდველის ინტერესს ფასის საკითხში), ეს ცალკე შესასწავლი საკითხია, აქ ჩვენ ამ საკითხს არ განვიხილავთ.

მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ დავინტერესდით და გამოვიკვლიეთ ჩვენს მიერ დასახელებული საქონლის „სავარაუდო ღირებულების" კავშირი მისსავე საბაზრო ფასთან. როგორც მეცნიერები წერენ, იგი მას აცდენილია. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი არის ბაზრის სათანადო შეუსწავლელობა, ბაზრის არცოდნა. აქ ორ მიზეზთან გვაქვს საქმე: პირველი ის არის, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ან საერთოდ არა აქვს მარკეტინგული სამსახური, ანდა ნაკლებკვალიფიციური მარკეტოლოგები ჰყავს, მეორე კი ის არის, რომ როგორც სააგენტოს, ისე ტენდერზე დაშვებულ საქონლის გამყიდველებს (მომწოდებლებს), ალბათ, აწყობთ ასეთი ფასები შემდეგში კორუფციული გარიგებების ორგანიზების მიზნით (საქართველოს პრაქტიკიდან, განსაკუთრებით ადგილობრივ თვითმმართველობებში არაერთი ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა).

ნუ განვავრცობთ ამ საკითხს, რადგან ამ დარგის სპეციალისტებისთვის ეს ცნობილია, და, იციან, რომ ევროკავშირის სტანდარტებით ცხოვრებისა და საქმიანობისკენ გზაზე დამდგარ საქართველოსთვის ასეთი ფაქტები შეუფერებელია, ვისაუბროთ უშუალოდ შესასყიდი საქონლის „სავარაუდო ღირებულების" კატეგორიაზე.

შესასყიდი საქონლის „სავარაუდო ღირებულება“ უნდა განისაზღვროს იმ პერიოდისთვის ბაზარზე არსებული ისეთივე დასახელების საქონლის ალტერნატიული ფასების საფუძველზე. ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებით უნდა იყოს მოპოვებული. შესყიდვებთან დაკავშირებული გაეროს სახელმძღვანელო დოკუმენტი პირდაპირ მიუთითებს სახელმწიფო შემსყიდველ ოგრანიზაციებს ამ მიზნით გამოიყენონ შემდეგი ინფორმაცია [2, გვ. 20]:

- შიდა ბაზარზე - ადგილობრივი მომწოდებლების, წარსული გამოცდილება, კოლეგებთან კონსულტაცია, შესყიდვების მაკორდინირებელი ორგანიზაცია, სხვათა გამოცდილება;
- გარე ბაზარზე - სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ინტერნეტის, მედიის და ბიზნესკონფერენციების მასალები.

თუ ეს ინფორმაცია სრულყოფილად იქნება მოძიებული, მაშინ, საკონკრუსო განაცხადში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის „სავარაუდო ღირებულება“ იქნება იმ დროის საბაზრო ფასის შესაბამისი და არა მასზე მაღალი ან დაბალი.

სახელმწიფოს შესყიდვებში ტენდერის ძირითადი მიზანი ის არის, რომ შესყიდვა ოპტიმალურ ფასად განხორციელდეს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ამ საკითხში თუ ბაზრის არა, თავის წინარე გამოცდილებას მაინც უნდა იყენებდეს. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკაში ხშირად ესეც არ ხდება. მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს 2012 წლის 12 მარტს საკანცელარიო საქონელზე, რომლის სავარაუდო ღირებულებად 8000 ლარი იყო დადგენილი, 6 თვის შემდეგ, იგივე საქონელზე სავარაუდო ღირებულება 2-ჯერ ჰქონდა გაზრდილი (16 000). ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე, ერთი მომწოდებელი იღებდა კონკურსში მონაწილეობას. პირველ ტენდერში მასთან ხელშეკრულება გაფორმდა 5351 ლარზე, მეორე შემთხვევაში 4799 ლარზე [3, გვ. 23]. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომ ან ბაზარს სწავლობდეს სათანადოდ, ან თავის წინა გამოცდილებას ითვალისწინებდეს შესასყიდი საკანცელარიო საქონელზე, სავარაუდო ღირებულებად ექნებოდა დაფიქსირებული არა 8 000

ან 16 000 ლარი, არამედ, ორივე შემთხვევაში 4700-5000 ლარი.

არის მეორე საკითხიც. სახელმწიფო თავისი საჭიროებისთვის არა მხოლოდ ისეთ საქონელს ყიდულობს, რომელთაც მხოლოდ სახმარი ღირებულება გააჩნიათ, და, მათზე დანახარჯი მომავალში მოგებას არ იძლევა (მაგალითად, კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ავეჯი და სხვა), არამედ, კოლოსალური თანხები იხარჯება მსხვილ სამშენებლო პროექტებშიც. ამ შემთხვევებში ტენდერზე ხდება სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა, ანუ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ტენდერს ატარებს სამშენებლო ორგანიზაციებისთვის და ტენდერში გაიმარჯვებს ის, ვინც ნაკლებ ფასში, დადგენილ ვადაში და დადგენილი ხარისხით შეძლებს პროქტის შესრულების შემოთავაზებებს. ამ შემთხვევაშიც შესყიდვების სააგენტო საკონკურსო განაცხადში აფიქსირებს ამ სამუშაოების ე. წ. სავარაუდო ღირებულებას. მსხილი სამშენებლო პროექტებისთვის (მაგალითად, ანაკლიის ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობა) მათი სავარაუდო ღირებულების მიახლოვება მათ საბაზრო ღირებულებასთან ძნელი იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი დიდი პროექტების სიხშირე ბაზარზე (მით უფრო შიდა ბაზარზე) დაბალია. ამიტომ ასეთ დროს შიდა ბაზრის შესწავლას აზრი არა აქვს, აჯობებს გარე ბაზრების შესწავლა.

ჩვენთვის ცნობილი არ არის თავის დროზე როგორ დადგინდა ანაკლიის პორტის მშენებლობის გამოცხადებული ტენდერისთვის სავარაუდო ღირებულება, რადგან, ამ პორტის შესახებ ყველაფერი გამჭირვალე არ არის. რადგანც ეს პორტი მომავალში შემოსავალს მისცემს ქვეყანას, მისი სავარაუდო ღირებულება სწორედ მისი მომავალი შემოსავლების დღევანდელი ღირებულებით უნდა განსაზღვრულიყო. ამისთვის ჯერ დადგინდება პორტის ექსპლოატაციის ვადა და ყოველწლიური შემოსავლები იმ წლებში (საშუალო წლიური), შემდეგ კი, სპეციალური ფორმულით, რომელსაც დისკონტირების ფორმულა ეწოდება, გამოითვლება მისი დღევანდელი ღირებულება, ანუ ე. წ. სავარაუდო ღირებულება. ეს ფორმულა ასეთია [4, გვ. 60].

$$PV = P_1\left(\frac{1}{(1+r)^t}\right)$$

ფორმულაში:

PV- არის მომავალი შემოსავლების მიმდინარე ღირებულება

P_1- მომავალი შემოსავალი

r- სასესხო კაპიტალის პროცენტი

t - გაანგარიშების ჰორიზონტი (წლების რიცხვი)

დავუშვათ, თუ ეს პროექტი, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, 30 წლის (t=30) განმავლობასი საშუალოდ წელიწადში პირობითად (p=25000.00) 25 000,000 ლარ შემოსავალს მოგვიტანს და თუ ვიცით, რომ ბანკის პროცენტი ანაბარზე 10%-ია (r=0.10), მაშინ მისი დღევანდელი ღირებულება რთული პროცენტების კოეფიციენტების გამოყენებით [5, გვ. 337] იქნება:

$$PV = 25000.000 \cdot \left(\frac{1}{(1+0.10)^{30}}\right) = 1432725 \text{ ლარი.}$$

ეს თანხა წარმოადგენს მის სავარაუდო ღირებულებასაც.

დასკვნა

ჩვენ არ ვიცით, ანაკლიის პორტის მშენებლობაზე გამოცხადებულ საკონკურსო დოკუმენტებში გაცხადებულ სავარაუდო ღირებულების საანგარიშოდ გამოიყენეს თუ არა მისი მომავალი შემოსავლების დღევანდელი ღირებულების განსაზღვრის (დისკონტირების) ფორმულა. საერთოდ კი, ასეთი მსხვილი, კაპიტალტევადი პროექტების შესრულებისას ამ მათემატიკური აპარატის გამოყენება აუცილებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Каранатова Л. Г. Принципы и методы формирования системы управления государственними закупками, ж. «Власть и экономика», №3, 2017.

2. United Nations Procurement Practitioner's Handbook, 2006, p.p.24-25.

3. ეფექტიანობის უზრუნველყოფა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში, ეფექტიანი აუდიტის ანგარიში, თბ., 2014.

4. ღუდუშაური ზ. ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2015.

5. Фридман Дж., Орудей Н. анализ и оценки приносящей доход недвижимости, М., 2005.

REFERENCES:

1. Karanatova L. G. Principles and methods of forming a public procurement management system, g. "Power and Economics", No. 3, 2017.

2. United Nations Procurement Praktiotioner's Handbook, 2006, p.p.24-25.

3. Ensuring efficiency in the public procurement system, effective audit report, Tbilisi, 2014.

4. Ghudushauri Z. Financial Management, Tbilisi, 2015.

5. Friedman J., Guns N. analysis and evaluation of income-generating real estate, M., 2005.

PROBLEMS OF MARKET RESEARCH IN PUBLIC PROCUREMENT

Ekaterine Vepkhviashvili
Doctoral Student
of Samtskhe-Javakheti State University

RESUME

In the article - "Problems of Market Research in Public Procurement" - the author sees the need to study the market situation in the context of correctly determining the estimated value of the goods (services or work) to be procured. The article says that the tender document of the State Procurement Agency of Georgia fixes the estimated value of the goods to be tendered. The author gives some examples from Georgian public procurement practice where this estimated value was based neither on market information nor on previous procurement experience conducted by the Agency.

Besides, when the construction works of large facilities are put up for tender to buy (for example, the construction of the port of Anaklia), it will be difficult to obtain the market information to determine its optional value. Therefore, it should be determined by the present discounted value of the future revenue received from it. The article gives its calculation formula and calculates it with conditional numbers.

Key Words: State procurement; Tender; Auction; Estimated cost of goods; Supplier; Competition; Market research.

ფარმაცევტულ ბიზნესში მმართველობითი სისტემის ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი მიმართულებები

სოფიკო ღვინიანიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

განხილულია თანამედროვე ქართული ფარმაცევტული ბიზნესის მნიშვნელოვანი გამოწვევები და პარალელურად მათზე საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების ანალიზი: ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ხარჯთ-ეფექტიანობის, მედიკამენტების ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის სხვადასხვა მექანიზმები. სახელმწიფოს ჩართულობის მნიშვნელობა და როლი ფარმაცევტული ბიზნესის მმართველობითი სისტემის ეფექტიანობის ასამაღლებალად.

საკვანძო სიტყვები: ფარმაცევტული ბიზნესი, ხელმისაწვდომობა, ხარჯთ-ეფექტურობა, რეფერენტული ფასი.

შესავალი

ჯანმრთელობის დაცვა მოქალაქეების კონსტიტუციურად გარანტირებული უფლებაა, თუმცა დღესდღეობით მსოფლიო დგას დიდი გამოწვევის წინაშე, რადგან ჯანმრთელობის დაცვის ფასი სწრაფად მზარდია და ბევრად წინ უსწრებს ქვეყნების ეკონომიკის ზრდას.

"ჯანდაცვის სისტემის მნიშვნელოვანი გამოწვევები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ჯანდაცვის სისტემების ხარჯთ-ეფექტურობა, მედიკამენტების ფასები და ხელმისაწვდომობა, სამედიცინო მომსახურების ხარისხი, სამედიცინო განათლების სისტემა, პირველადი ჯანდაცვა"[1].

ფარმაცევტული სექტორის მუშაობის შეფასების საერთა-

1 **ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი, საერთაშორისო ფონდი "კურაციო" ტალღა XI.**

შორისო ინდიკატორებია ეფექტიანი, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი ფარმაცევტული პროდუქციის არსებობა ბაზარზე. ვინაიდან, სწორედ ეს კრიტერიუმები განაპირობებენ მკურნალობის ხანგრძლივობას, ხარისხს და პაციენტის გამოჯანმთელებაზე გაწეულ დანახარჯებს, რაც საბოლოოდ პირდაპირ კავშირშია ჯანდაცვის სისტემის ხარჯთ-ეფექტიანობასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ფარმაცევტული ბიზნესი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი და მომგებიანი ბიზნეს საქმიანობაა, დარგის სპეციფიურობიდან და სენსიტიურობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულებაა აქტიური ჩართულობა და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება მედიკამენტების ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით.

ამდენად, ჯანდაცვის სისტემების ხარჯთ-ეფექტიანობის გაზრდა და განსაკუთრებით კი წამლის კომპონენტზე გაწეული დანახარჯის შემცირება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ჯანდაცვის სისტემის წარმატებისთვის.

ძირითადი ნაწილი

ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობა ფარმაცევტულ სეგმენტში მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციების თანახმად ფასდება შემდეგი ინდიკატორებით: ხარისხი, უსაფრთხოება და ეფექტიანობა. ასევე მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომობა და სოციალური სამართლიანობა, რაც გულისხმობს, რომ მაღალი სტანდარტების სამედიცინო მომსახურება მისაწვდომი იყოს თითოეული მოქალაქისთვის– სოციალური, ეთნიკური და სხვა ტიპის დისკრიმინაციის გარეშე, მოთხოვნის და საჭიროების, და არა გადახდის უნარის საფუძველზე.

ამ კრიტერიუმების ანალიზის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ ფარმაცევტული ბაზრის სეგმენტი საქართველოში გარკვეულწილად დაუბალანსებელია. მედიკამენტებზე რეგიონში ფასები ერთ-ერთი მაღალია და სტაბილურად მზარდია. წელსაც, საქსტატის ექვსი თვის მონაცემებით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მედიკამენტების ფასები

6%-ით გაიზარდა.[1] ასევე საყურადღებოა მონაცემები ფარმაცევტული ბაზრის შეფასების შესახებ რამდენიმე საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის შედეგების მიხედვით. კერძოდ:

• "შინამეურნეობების დაახლოებით 27,8% აღნიშნავს, რომ მედიკამენტების შეძენა მათთვის უმთავრესი პრობლემაა. "[2]

• "მედიკამენტებზე დანახარჯი განსაკუთრებით პრობლემურია მოსახლეობის უღარიბესი კვინტილისთვის, რადგან სწორედ ამ ტიპის დანახარჯის გამო მათი 90% განიცდის ჯანდაცვაზე კატასტროფულ დანახარჯს."[3]

• "ევროპის რეგიონში საქართველო ლიდერობს ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში მედიკამენტებზე გაწეული ხარჯებით, რომელთა წილიც 35,7%-ს უტოლდება. ჩვენს ქვეყანაში მედიკამენტებზე გაწეული ხარჯების პროცენტული წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2-ჯერ აჭარბებს ეუთოს ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს."[4]

დღეისათვის, ერთი მხრივ, სახეზეა სახელმწიფოს დამოკიდებულება ჯანდაცვის სისტემის ხელშეწყობისკენ, გაზრდილი ჯანდაცვის ბიუჯეტის, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, გაუმჯობესებული ჯანდაცვის პროგრამებით და მზაობა უზრუნველყოს მოსახლეობის ჯანდაცვაზე უკეთესი ზრუნვა, თუმცა აშკარაა, რომ მედიკამენტების ნაწილში სახელმწიფო არ ერევა ფასების რეგულირებაში და სეგმენტი ოპერირებს თავისუფალი ბაზრის პრინციპების რეჟიმში. არსებული საბაზრო მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ მიდგომა "ბაზარი არეგულირებს ფასებს" არაეფექტურია, რადგან მრავალი წელია მედიკამენტებზე მზარდი ფასებია, ხელმისაწვდომობა კი არასტაბილური.

დარგის სწორად განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ადექვატურად შეფასდეს არსებული გამოწვევები, დაიგეგმოს ეფექტური ქმედებები, რათა უზრუნველყოფილი იქნას ბისზ-

1 www.geostat.ge

2 მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა, UNICEF 2017

3 სახელმწიფო დანახარჯების მიმოხილვა, მსოფლიო ბანკი 2017

4 ფარმაცევტული საშუალებების ფასწარმოქმნის მექანიზმები მოსახლეობაში მედიკამენტებზე უკეთესი ხელმისაწვდომობისთვის, ფონდი კურაციო, 2019

ნესის გაჯანსაღება, თავისუფალი ბიზნეს ურთიერთობების ჩამოყალიბება, მცირე და საშუალო სუბიექტების ხელშეწყობა, საეჭვო ბიზნეს გარიგებებისა და შეთანხმებების აღმოფხვრა.

ფარმაცევტული ბიზნეს სექტორის ანალიზი გვიჩვენებს, რომ არსებული რეგულაციები არასაკმარისი და ხარვეზულია. საჭიროა უფრო ეფექტიანად განხორციელდეს წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და საკანონმდებლო ბაზის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის (WHO) მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებთან ჰარმონიზაცია.

არსებობს საერთაშორისო პრაქტიკაში უკვე გამოცდილი, წარმატებული მოდელები მედიკამენტებზე ფასების რეგულირების კუთხით. მოკლედ შევეხები რამოდენიმეს.

ფასნამატის რეგულირება – ეს მიდგომა გამოიყენება მრავალ ქვეყანაში, როგორც საბითუმო, ასევე საცალო ქსელში, ან ორივეში ერთდროულად. ძირითადად "სასიცოცხლოდ აუცილებელი" ე.წ. ესენციალური მედიკამენტების ფასების დასარეგულირებლად. იგი მედიკამენტებზე დამატებითი ხარჯების კონტროლის კარგი საშუალებაა, რეგულაციების პოლიტიკის თვალსაზრისით კი იოლი და შედარებით ადვილად აღსასრულებელი მოდელია.

მედიკამენტების "ეტალონური ფასების" (რეფერენტული ფასების) დადგენა – რაც გულისხმობს რამდენიმე მსგასვი ეკონომიკურ-სოციალური ქვეყნის ფასების დადგენას და მათ გამოყენებას ეტალონურ ფასად. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებზე დაყრდნობით, Uუნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში *"ეტალონური ფასების" მოდელი,* ფართედ და წარმატებულად გამოყენება. მოდელის წარმატებისთვის, მნიშვნელოვანია შესადარებელი ქვეყნების ზუსტად შერჩევა და პარტნიორი ქვეყნების მზაობა ურთიერთ-თანამშრომლობაზე.

გენერიკული მედიკამენტების გამოყენების ხელშეწყობა – როგორც ცნობილია მედიკამენტების ეს ჯგუფი შედარებით კარგად შესწავლილი და დროში გამოცდილია. Aამდენად, მათი გამოყენების პროპაგანდა ბევრად ეთიკურია და მკურნალობის

ფასების შემცირების საშუალებასაც იძლევა. ადვილია გენერიკული მედიკამენტების ბაზარზე შესვლა, ურთიერთ-ჩანაცვლება და მკურნალობის სხვადასხვა გაიდლაინებისა და სქემების შემუშავება. Uუდაოა, რომ გენერიკებით მკურნალობა მნიშვნელოვნად ამცირებს ჯანდაცვის სისტემის დანახარჯებს, გენერიკების ცნობადობის და მოხმარების ამაღლების დანერგვა რეგულაციების დონეზე ზრდის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობას, ამცირებს მკურნალობის ხარჯებს, ასტიმულირებს ადგილობრივი წარმოების გაფართოებას და მრავალმხრივ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა.

დასკვნა

ამდენად ქართული ფარმაცევტული ბიზნესის მმართველობითი სისტემის შეფასებისას შესაძლოა ითქვას, რომ სახელმწიფო რეგულაციების ლიბერალიზაციის მაღალი ხარისხი სახეზეა – გამარტივებულია ბაზარზე შესვლის და ოპერირების პირობები, ბარიერები ხშირ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაც გარკვეულწილად უარყოფითად აისახა ბიზნეს გარემოზე და ვიღებთ ბაზრის მდგომარეობას, როცა კონკურენციის წესებისა და პრინციპების დაცვის მონიტორინგი შესუსტებულია, ყველა ქმედება ინიღბება თავისუფალი ბაზრისა და საბაზრო ლოგიკის საშუალებით.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია შედგეს კონსენსუსი ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის რეგულაციების ინოვაციური მეთოდების მეტად დანერგვის სტიმულირებისთვის. საჭიროა გამკაცრდეს რეგულაციები ბაზარზე არსებული მედიკამენტების ხარისხის კონტროლისა, ხელმისაწვდომობის და ფარმაკო-უსაფრთხოების კუთხით, საჭიროა დაისახოს სწორი კომუნიკაციის გზები სამედიცინო პერსონალთან და მომხმარებელთან გენერიკების დანერგვის გაფართოებისა და პოპულარიზაციისათვის, საჭიროა ადგილობრივი მწარმოებლების ხელშეწყობა რეგულაციების დონეზე, ასევე მედიკამენტების ჭარბად მოხმარებისა და თვითმკურნალობის კონტროლი მედიკამენტების მიმოქცევის საერთაშორისოდ აღიარებული მექანიზმების დანერგვით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფარმაცევტული პროდუქტების ფასების პოლიტიკა, WHO გაიდლაინი, ჟენევა, შვეიცარია 2015

2. ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი, საერთაშორისო ფონდი "კურაციო" ტალღა XI

3. მარიდაშვილი მ., თანამედროვე მმართველობითი სისტემების განვითარების თავისებურებანი საქართველოში – საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენცია "თანამედროვე მეცნიერების მიღწევები და გამოწვევები" უფა რუსეთი, ივლისი 28, 2015

4. მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა , UNICEF 2017

5. სახელმწიფო დანახარჯების მიმოხილვა, მსოფლიო ბანკი 2017

6. ფარმაცევტული საშუალებების ფასწარმოქმნის მექანიზმები მოსახლეობაში მედიკამენტებზე უკეთესი ხელმისაწვდომობისთვის საქართველოში, თბილისი 12 დეკემბერი 2019. ფონდი კურაციო, 2019

7. www.geostat.ge

REFERENCES:

1. WHO Guideline on Country Pharmaceutical Pricing Policy Geneva, Switzerland 2015

2. Healthcare System Barometer XI, Curatio International Foundation

3. Maridashvili M., Moderm Management Development Features in Georgia - International Scientific and Practical Conference "Achievements and challenges of modern science",Ufa, Russian Federation, July 28, 2015.

4. Population Welfare Survey, UNICEF 2017

5. Overview of Government Expenses, World Bank 2017

6. Dialogue on Pharmaceutical pricing policies to improve the population`s access to pharmaceuticals in Georgia, Tbilisi, December 2019

8. www.geostat.ge

THE MAIN DIRECTIONS OF INCREASING THE EFFICIENCY OF THE MANAGEMENT SYSTEM IN THE PHARMACEUTICAL BUSINESS

Sofiko Gvinianidze,
Doctoral Student at Caucasus International
University, Business Faculty

RESUME

The article provides the analysis of important challenges of the modern Georgian Pharmaceutical Business in parallel with International best practices. The various mechanisms for increasing the physical and financial availability and cost-effectiveness of medicines in the health care system, also the importance and role of state involvement in improving the efficiency of pharmaceutical business management system are discussed in the article.

Key Words: Pharmaceutical business, availability, cost-effectiveness, reference price.

ენტროპიული მენეჯმენტის საკითხები ჯანდაცვაში

ქეთევან ომანაძე
ბიზნესის ადმინიტრირების მაგისტრი

რეზიუმე

მართვის თანამედროვე სფერო გამოირჩევა მრავალფეროვნებით და მას საკმაოდ რთული აგებულება აქვს, კონკურენციის დონე საკმაოდ მაღალია და, შესაბამისად სხვადასხვა პროცესები,ღირებულებები,სწრაფად ცვალებადი მოვლენები ზემოქმედებას ახდენს მართვის პროცესზე.გადაწყვეტილების მიღების პროცესი მრავალფაზიანი და დინამიურია. იგი მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს, რომლის მსვლელობის პროცესში შეიძლება შეიცვალოს მოცემულობები.ინოვაციური ეპოქა აყენებს კონკურენტული გარემოს შექმნის ახალ პირობებს და ეს გულისხმობს,ინფორმაციულ-ქსელური ეკონომიკის მართვის მთავარი ინსტრუმენტების ფლობას, რომლის გარეშეც შეუძლებელია კონკურენტული უპირატესობის მოპოვება და მომავლის მართვა გლობალურ დონეზე.

საძიებო სიტყვები: მართვა, პროცესი, ეკონომიკა, უპირატესობა, ინოვაცია, ჯანდაცვა, ორგანიზებულობა.

ძირითადი ტექსტი

მძლავრი გლობალიზაციის პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია კრეატიული მენეჯმენტის განვითარების თანამედროვე ტენდენციების გამოყენება, ამ მხრივ დღეისათვის გვაქვს სამი ძირითადი მიმართულება და ესენია: სინერგეტიკული მენეჯმენტი, ექსტრიმ მენეჯმენტი და ენტროპიული მენეჯმენტი.

ყურადღებას შევაჩერებ ენტროპიულ მენეჯმენტზე და ვისაუბრებ მის არსზე კომპანიებისა და სექტორების განვითარებაში.

ენტროპია ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და გარდაქმნას,

მოტრიალებას ნიშნავს. ზოგადი მონაცემებით ენტროპია გვიჩვენებს, სისტემის მოწესრიგებულობის ხარისხს.

ენტროპიის საკითხის გასარკვევად საინტერესოა ცნობილი შვეიცარიელი მეცნიერის კარლ გუსტავ იუნგის (1875-1961) კვლევები. იუნგის თანახმად არსებობს აზროვნების ორი ტიპი-ლოგიკური და ინტუიციური.დღეს ცნება ენტროპია ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაშიც იხმარება. ეკონომისტებს, მარკეტინგისა და მენეჯმენტის სპეციალისტებს, ენტროპია მისი შექცევადი და არაშექცევადი ბუნების გამო აინტერესებთ, რადგან ასეთი ურთიერთსაპირისპირო პროცესები მარკეტინგსა და მენეჯმენტში არაერთი და არც თუ ისე იშვიათია.

ენტროპიასა და ენტროპიულ მიდგომებს ბიზნესს პროცესებში,მარეტინგსა და მენეჯმენტში სპეციალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ეფექტიანი მენეჯმენტის ფორმირებისა და რეალიზაციის მექანიზმი ფართოდ არის აღიარებული,როგორც ეკონომიკური ზრდის მძლავრი სტიმულატორის ფუნქციის მქონე,რომლის მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკის პარამეტრების დინამიკიდან გამომდინარე შესაძლებელი ხდება კონკრეტული ტენდეციების პროგნოზირება.

აღსანისნავია, რომ ეფექტიანი მართვის სტაბილური ეკონომიკური ზრდის ანალიზს შესწევს ძალა,ამოვიცნოთ მაკროეკონომიკური წონასწორობის ობიექტური მახასიათებლები. ეკონომიკის რეგულირება შეუძლებელია ეფექტიანი მართვის თეორიული და პრაქტიკული კონცეფციის განხორციელებისთვის. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ენტროპიის თეორიამ მიიყვანა მეცნიერება და პრაქტიკა მისი საწინააღმდეგო მოვლენის ნეგენტროპიის არსებობის დადგენამდე. ენტროპიისა და ნეგენტროპიის ფაქტორების მოქმედების შედეგები სხვა მოვლენებზე, მათი დასუსტებით ან გაძლიერებით, გადაცემით, მკვეთრად ეხება ეკონომიკურ სისტემებს, მის შემადგენელ ნაწილებს,მათ შორის ჯანდაცვის სექტორსაც.

ჯანდაცვის სექტორი ეკონომიკის სპეციფიკური დარგია. თუმცა საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ ის არ განსხვავდება ჩვეულებრივი ბაზრისგან. ეს სპეციფიკა, რომელიც

ახასიათებს ჯანდაცვის სექტორს განაპირობებს სამედიცინო ბაზარზე ეკონომიკური ურთიერთობის განსაკუთრებულ ფორმებს, რაც მოიცავს სათანადო მექანიზმების შემუშავებას.

ჯანდაცვის სექტორში, ისევე როგორც ქვეყნის ეკონომიკაში , საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური ერთეულები და სუბიექტები ამ სისტემებისათვის დამახასიათებელი ენტროპიული თვისებებიდან გამომდინარე,მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი ანტიენტროპიული ფაქტორი, როგორიცაა მენეჯმენტი. ენტროპიასა და ნეგენტროპიას, როგორც ეკონომიკაში არსებულ წყვილს მნიშვნელოვანი როლი აქვთ ისეთი სტრატეგიების გვერდით,როგორიცაა მართვა და მენეჯმენტი, გადაწყვეტილების მიღება და დეგრადაციის საწინააღმდეგო ფაქტორები.

ენტროპიის თეორიები და დებულებები საფუძვლად უნდა ედოს თანამედროვე მენეჯერულ საქმიანობას, გადაწყვეტილების სწორად მიღებას,რის გარეშეც მათი ეფექტურობა იქნება არასასურველი, სრულიად გაურკვეველი შედეგით,რაც შესაძლებელია კომპანიის კრახის, წარუმატებლობის მიზეზი გახდეს. ორგანიზებულობის, წესრიგის ე.ი ნეგენტროპიის ფაქტორმა უნდა უზრუნველყოს, ენტროპიის დამანგრეველი და განვითარების შემზღუველი ძალების შებოჭვა.

ქაოსის,უწესრიგობის შემცირების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს პროცესების, სისტემის მართვის სრულყოფა, თვითორგანიზების უნარის ზრდა. თუ აღმოიფხვრა ენტროპიის ზომაგადასული ზრდის გამოვლინება, სისტემა იფუნქციონირებს ნორმალურად, ადამიანთა ინტერესების შესაბამისად.

თანამედროვე ჯანდაცვის სექტორის კონცეფცია საბაზრო სისტემის შემადგენელი ნაწილია,რომელსაც გააჩნია საკმაოდ ძლიერი გამოყენებითი პოტენციალი. სტრატეგიული მოქმედებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს განსაზღვრული იყოს აქტუალური და კომპლექსური ფაქტორები. ხელმძღვანელის სწორი ორიენტირებით საჭიროა გამოკვეთილი იყოს არა მხოლოდ მიზნები, არამედ სწორი წესები და პროცედურები იდეის განსახორციელებლად. მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად მონაცემებისა და ინფორმაციის მოპოვება მათივე

ანალიზითურთ, განეკუთნება საქმიანობის იმ სფეროს, რაზეც დამოკიდებულია მიღებული გადაწყვეტიების წარმატება.

სამეცნიერო-საინფორმაციო ლიტერატურული წყაროების შესწავლის საფუძველზე არსებობს ფაქტორთა კომპლექსი, რომლებიც განაპირობებს ვითარების განვითარების გზების სისწორეს, მათი გამოვლენის სფეროების მიხედვით:

1. პოლიტიკური ფაქტორები- პოლიტიკური სიტუაციის სტაბილურობა, ეთნიკური და ეროვნული კონფლიქტები წარმოიშობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოლიტიკური საფუძვლების სტაბილურობის ხარისხი;

2. ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები- ბუნებრივი რესურსების ათვისების შესაძლებლობა, ბუნებრივი რესურსების საკმარისობა, ნელეულის პერსპექტიულ ადგილმდებარეობათა დაზვერვა-აღმოჩენა;

3. ინფრასტრუქტურული სფერო-სატრანსპორტო ხელმისაწვდომობა, სერვისის ნებისმიერი სახეობის უზრუნველყოფის დონე(საბანკო, სადაზღვევო, კომუნალური) ელექტრონული დოკუმენტბრუნვის განვითარება და უზრუნველყოფა, კავშირის მოდიფიკაცია,ზოგადად, კომუნიკაციების არსებობა და ტექნოლოგიურად დახვეწა-განვითარება;

4. დემოგრაფიული ვითარება- მოსახლეობის ბუნებრივი კვლავწარმოება, მოსახლეობის საშუალო ასაკი, მიგრაციის ნაკადი, მოსახლეობის შემადგენლობის დადგენა შრომისუნარიანობის მიხედვით;

5. საკადრო უზრუნველყოფა- სპეციალისტების მომზადება, პროფესიული და პროფესიონალური შემადგენლობა, პროფესიების მიხედვით კვალიფიკაციური სტრუქტურის შექმნა, შრომისადმი მოტივირებული მიდგომა;

6. მეცნიერულ-ტექნოლოგიური დონე-სამეცნიერო-კვლევითი ბაზის მდგომარება, ტექნიკური პოტენციალის განვითარების მდგომარეობა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებადობა, ორგანიზაციული მენეჯმენტი;

7. რესურსული უზრუნველყოფა-ფინანსური რესურსები, ტერიტორიის მატერიალური ყოფა პირობები;

8. სოციალური გარემო-სოციალური ინსტიტუტების განვითარებულობა, სოციალური სფეროს ფუნქციონირების სტაბილურობა,მოსახლეობის ყველა ფენისათვის სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა.

ჯანდაცვის სისტემაში სწორი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტორები.აუცილებელია მრავალფეროვანი საფრთხეების კონტროლი.

ორგანიზებულობის, წესრიგის ე.ი. ნეგენტროპიის ფაქტორებმა უნდა უზრუნველყონ ენტროპიის დამანგრეველი და განვითარების საწინააღმდეგო ძალების ბლოკირება.როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, სრული ორგანიზებულობა და წესრიგი რეალობაში მიუღწეველია, რადგანაც არსებობს ინფორმაციის დეფიციტი და ბევრი სხვა არგუმენტირებული მიზეზი,რომლებიც აფერხებს ამ ყოველივეს. აქედან გამომდინარე საკითხი ენტროპიისა და ნეგენტროპიის ბალანსის შესახებ რთული ფენომენია, რასაც ახასიათებს როგორც წესრიგის, განვითარების, ასევე ქაოსისა და რეგრესის მომენტები.

დღესდღეობით გლობალიზაციის პროცესებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კონკურენცია უფრო გამწვავდება მომავალში, რაც თავის მხრივ აისახება მომსახურების გაწევისა და მართვის პროცესებზე.სისტემის მართვა ადვილია თუ მმართველმა კარგად იცის უპირატესობები, სუსტი და ძლიერი მხარეები ასევე სწორად განახორციელებს ენტროპიის მართვას.

დასკვნა

ამრიგად, ენტროპიული და კრიზისული სიტუაციებიდან სტრუქტურების გამოყვანისათვის მიზანშეწონილია საპირისპირო მართველობითი შესაძლებლობების გამოვლენა, რაც შეიძლება სწრაფად და ენტროპიის გადაყვანა მოწესრიგებულობის მდგომარეობაში.ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია პროცესების კონტროლი, მართვისადმი სისტემური მიდგომა, არგუმენტირებული ვარიანტების მიზანმიმართულად წარმათვა.

თუ ჯანდაცვის სექტორში შეიქმნება ქაოსური და უმართავი პროცესი, ამ შემთხვევაში ყოველმა დაგვიანებულმა ნაბიჯმა შეიძლება გამოიწვიოს სტრუქტურის დაშლა, რადგან მათი მთელი რიგი ძალისხმევა მიმართულია კმაყოფილ მომხმარებელზე ანუ შემოქმედ სუბიექტზე, რომლებიც არიან კანონებისა და თანამედროვე ტენდენციების აქტიური მოტივატორები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე. ყურაშვილი გ. მახარაშვილი ი.“კრეატიული მენეჯმენტის მნიშვნელობა თანამედროვე მართველობით საქმიანობაში“. თსუ შრომათა კრებული. 2018

2. აბრალავა ა. „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები“

3. სვანაძე ლ. „ეკონომიკური ფსიქოლოგია“ თბილისი 2015

4. ფრანგიშვილი ა. იმნაიშვილი, ლ. ბენაშვილი, ა. „ციფრული მრავალფუნქციური მიმდევრული სქემების სინთზი.გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი , 2006

5. ბარათაშვილი ე. მარიდაშვილი მ. „ინოვაციური მენეჯმენტის რეგიონული ასპექტები -სოციალური ეკონომიკა“ თბილისი 1(19).2012

6. Dooneley,L. O’sullivan ,D. Cormican,K. (2003) “Idea Management for Organisational Innovation”. International Journal of Innovation Management,7(04)

8. https://idfi.ge/ge/is-medical-market-a-regular-market თენგიზ ვერულავა (მედიცინის აკადემიური დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი) 19 თებერვალი 2016.

REFERENCES:

1. Baratashvili. E. Kurashvili.G. Makharashvili. I. “The Importance of Creative Managments in Modern Enlightenment Activities.” Collection of Works TSU. 2018

2. Abralava. A. “Global Innovative Problems in Economics and Busines” 2014

3. Svanadze.L.”Economic Psychology” 2015

4. Prangishvili. A. Imnaishvili.L. Benashvili. A. "Synthesis of Digital Multifunctional Sequentail", Publishing bu Technical University. Georgia, Tbilisi, 2006

5. Baratashvili.E. Maridashvili. M. "Regional Aspects of Innovation Management-Social Economy".Georgia,Tbilisi. 1(19).2012

6. Dooneley,L. O'sullivan ,D. Cormican,K. (2003) "Idea Management for Organisational Innovation". International Journal of Innovation Management,7(04)

7. https://idfi.ge/ge/is-medical-market-a-regular-market- Tengiz verulava (MD.PhD) Fubruary 19.2016.

ENTROPIC MANAGEMENT ISSUES IN HEALTHCARE

Qetevan Omanadze
MBA

RESUME

The modern field of management is characterized by diversity and it has a rather complex structure, the level of competition is quite high and, consequently, the different processes, values, and rapidly changing events affect the management process. The decision-making process is multistep and dynamic. It requires a significant amount of time, during which the actual givens may be changed.

The innovation era sets the new conditions for creating a competitive environment, which implies the possession of key management tools of the information and network economy, without which it is impossible to gain a competitive advantage and manage the future at the global level.

Key Word: Management, process, economy, advantage, innovation, healthcare, organization.

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

PUBLICATION REQUIREMENTS FOR SCIENTIFIC ARTICLES:

Please consider:

The articles to be published in the journal should include the **new results** of scientific research in the theoretical and other practical fields of economics, such as: Economic reform; Modern problems of economics; History of economic doctrines; Legal Provision of Market Economy; Finances, Banks, Exchange Markets; Regional Economy; Sectoral Economy; Current issues of Business, Marketing, Management; World economy; Reviews on monographs and textbooks published recently.

All received scientific articles will be peer-reviewed by the Editorial Board and will be published in case of positive reviews and assessment. The accepted articles will be posted on the website, in the electronic journal.

The articles are published in Georgian, Russian, English, German and French languages, in the original language.

THE REQUIREMENTS OF FORMATTING SCIENTIFIC ARTICLES:

The minimum volume of the article is 5 pages A4 format;

Resumes must be in Georgian and **English** (essential) languages (minimum **100-250** words);

Key words in Georgian and English languages;

Title of the article in Georgian and English languages;

Name, surname, academic degree of the author (authors) in Georgian and English,

E-mail and telephone number;

Introduction to the article, Basic text and Conclusion;

List of References in Georgian and English languages;

For Georgian text, please use the Georgian font **AcadNusx.**

For English and Russian texts please use **Times New Roman;**

Font size 12, the interval 1,5cm , Line Spacing- 2 cm.

ჟურნალი“ეკონომიკა“
გამოდის 1918 წლიდან.

გამოცემა გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით:
საქართველოს ეკონომისტი (1918 N1- N6),
ეკონომისტი (1925-1926),
საქართველოს ეკონომისტი (1926-1931),
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931-1941),
საქართველოს ეკონომისტი (1958-1967),
საქართველოს სახალხო მეურნეობა (1967 N4 დან-1973),
ეკონომისტი (1974-1990),
ეკონომიკა (1991 წლიდან -).

სხვა სათაურით

საქართველოს ეკონომისტი.
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა.
საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ეკონომისტი.
ეკონომიკა.
Экономист Грузии.

ISSN: 0206-2828.
განახლებული ISSN 2587-4713

UDC: 338(922)(05)

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 15.08.2020 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.08.2020 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11,5